პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 ივნისი **სამშაბათი** 2010

№ 138 (13 126) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

G ჯგუფი



» გვერდი 3

## პორტუგალია სკანდალით იწყებს

# ესეც მსოფლიოს ჩემპიონი...




ზიდანმა საფრანგეთის ნაკრები გალანძღა

» გვერდი 6



ანტიჩი: ნამდვილ სერბეთს გერმანიასთან ნახავთ

» გვერდი 4

F ჯგუფი



## ...თავის სტიქიაში

» გვერდი 2

# ფრთხილი ჰოლანდია და უსახური დანია

E ჯგუფი



» გვერდი 2



კაპელოს საფიქრალი: **კინგის შინისკენ?**

» გვერდი 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

F ჯგუფი

# იტალია ჩვეულ სტიქიაში

14 ივნისი. ქეიფ თაუნი. გრინ პოინტი. 65 000 მაყურებელი

**იტალია-პარაგვაი 1:1**

**იტალია (4-2-3-1):** ბუფონი (46. მარკეტი) - ძამბროტა, კანავარო, კიელინი, კრიშიტო - დე როსი, მონტოლივო - მარკიზიო (59. კამორანეზი), იაკუინტა, პეპე - ჯილარდინო (72. დი ნატალე).

**პარაგვაი (4-4-2):** ვილიარი - ბონეტი, ალკარასი, და სილვა, მორელი - ვერა, სანტანა, კასერესი, ა. ტორესი (60. სანტანა) - ვალდესი (68. სანტა კრუსი), ბარიოსი (76. კარდოსო).

**გოლები:** 0:1 ალკარასი (39), 1:1 დე როსი (68)

**მატჩი დაიწყო:** იტალია; **დარტყმა:** 6(5)-7(1); **ჯარიმა:** 15-14; **კუთხური:** 8-4; **გაფრთხილება:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**არბიტრი:** ბენიტო არჩუნდია (მექსიკა)

**საინტერესო მომენტები**

20' - **რიკარდო მონტოლივომ** მოედნის ცენტრში მცველისგან ბურთის სახით საჩუქარი მიიღო, დაიძრა მეტოქის საჯარიმოსკენ და დაარტყა კიდეც, თუმცა პარაგვაელთა კიპერი აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

22' - მარჯვენა ფრთიდან წამოწყებული პარაგვაელთა იერიში, კარგი პასით და **არეულიო ტორესის** სახიფათო დარტყმით დასრულდა.

40' - სტანდარტული სიტუაცია პარაგვაელებმა გოლად აქციეს: დაახლოებით 35 მეტრიდან საჯარიმო რბილად ჩაგდებულ ბურთს **ანტოლინ ალკარასმა** დაჰკრა თავური და **ჯანლუიჯი ბუფონს** შანსი არ დაუტოვა - 0:1.

50' - იტალიელთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, **ვერამ** ისარგებლა და დაარტყა, ბურთმა კარის **მარკეტისაგან** ახლო ცხრიანს ჩაუწუილა.

52' - მონტოლივომ დაარტყა საჯარიმოს მისადგომებიდან და მეკარემ იმარჯვა.

63' - **სიმონე პეპემ** კუთხური ჩააწოდა, კარიდან გამოსული პარაგვაელთა კიპერი ბურთს ასცდა და **დანიელე დე როსის** ანგარიშის გაქვითვის საშუალება მისცა - 1:1.

66' - მარცხენა ფრთიდან პარაგვაელთა გარღვევას, შესანიშნავი პასი და **სანტანას** არაზუსტი დარტყმა.

78' - სიმონე პეპემ **ანტონიო დი ნატალესგან** გრძელი გადაცემა მიიღო, საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა, თუმცა მეკარემ იმარჯვა.

82' - მონტოლივოს შორეული დარტყმა ისევ და ისევ პარაგვაელთა კიპერმა, **ვილარმა** მოიგერია.



შეგვიძლია შევიდეთ „სკუადრა აძურას“ გულშემატკივრების მდგომარეობაში - ისე როგორ იქნება, რომ იტალია არ დაიტანჯოს და ტიფოზებიც ანალოგიურ დღეში არ ჩააგდოს. **მარჩელო ლიპიმ** კი თქვა რიხით დავიწყებთო, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა - იტალიამ ტრადიციული სტარტი აიღო და პირველივე შეხვედრაში ორი ქულა დაკარგა. შედეგი პარაგვაელთათვის ნამდვილად მისწრებაა, იტალიელებისთვის კი, მოდით ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი ამბავი.

მარჩელო ლიპიმ 4-3-2-1 ტაქტიკა აირჩია და შეტევის წინა ხაზზე **ალბერტო ჯილარდინო** გაამწესა. მოულოდნელად, სათადარიგოთა სკამზე დარჩა ანტონიო დი ნატალე, ძირითადში კი გარემარბებად **ვინჩენცო იაკვინტა** და სიმონე პეპე ვიხილეთ. ეს უკანასკნელი მეტად აქტიური იყო, ძალიან ბევრი ირბინა და საგოლე გადაცემაც მიითვალა აქტივში, მაგრამ ამასთან, ბევრი წუნიც ჰქონდა. ჩრდილში იყო იაკვინტა და მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა არ დაუკლია, მისგან მაინც მეტს მოველოდით. თუმცა, ლიპი უცნაური კაცია და შესაძლოა ზუსტად იმას მოელოდა და მოითხოვდა, რაც ვინჩენცოსგან მიიღო.

**ხერარდო მარტინომ** მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და **როკე სანტა კრუზი** სათადარიგოთა სკამზე დატოვა. ძირითადში **ბარიოსის** და **ვალდესის** ტანდემი გაამწესა, რომლებმაც თავი არ დაზოგეს, მაგრამ მთები გადაატრიალეს-თქო, ვერც ამას დავიჩემებთ. სანტა კრუზი მეორე ნახევარში ჩაერთო თამაში, თუმცა თავის გამოჩენა ვერც მან მოახერხა. სამაგიეროდ, გაიტანა ალკარასმა და გახსნა კიდეც ანგარიში. თავური დარტყმით შეარხია **ჯიჯი ბუფონის** კარის ბადე და უნდა აღინიშნოს, რომ იმ ეპიზოდში უკეთ შეეძლოთ თამაში **დანიელე დე როსის** და **ფაბიო კანავაროს**. სწორედ ისინი ედგნენ ახლოს ალკარასს, რომელმაც საგოლე დარტყმის განხორციელება მოახერხა.

მეორე ნახევარში მარჩელო ლიპიმ ტაქტიკა და... მეკარე შეცვალა. იტალია 4-4-2-ზე გადააწყო. მოედანზე **მაურო კამორანეზი** გამოჩნდა, რომელმაც მარჯვენა ფლანგი ჩაიბარა, **სიმონე პეპემ** კი ოდნავ უკან დაიხია და მარცხენა ნახევარმცველის პოზიცია დაიკავა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამან გაამართლა. იტალიამ კიდევ უფრო აქტიურად შეუტია და გაათანაბრა კიდეც ანგარიში - კუთხურის შემდეგ პარაგვაელთა მეკარე გამოსვლისას შეცდა და დე როსი საჭირო ადგილზე აღმოჩნდა - 1:1.

კიდევ რა შეიძლება ითქვას იტალიაზე? - „აძურამ“ არ ითამაშა დაცვიდან და ეს აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ. პირიქით, გუნდი შეტევაზე გახლდათ ორიენტირებული და ბურთსაც აკონტროლებდა. შეხვედრის ბოლო ოცი წუთი სულაც სრული ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით წარმართა და რამდენჯერმე ახლოსაც იყო მეორე გოლის გატანასთან. იტალიას აქვს პოტენციალი და ეს ნათლად გამოჩნდა - მცირე იყო ტექნიკური წუნი, თუმცა ტემპი იყო დაბალი და ალბათ, ამ მხრივ უნდა მოუმატონ ყველაზე მეტად აძურელებმა. დიდია შანსი, მომდევნო შეხვედრაში ლიპიმ შემადგენლობა გადაახალისოს. რაც შეეხება ბუფონის შეცვლას, ამაზე ლიპი იტყვის მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე, მანამდე კი გეტყვით, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა იტალიის ნაკრების მეკარე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩში შეცვალეს. 1994 წელს, ნორვეგიასთან მატჩში, კარში ჩადგა **ლუკა მარკეჯანი**, რომელმაც შეცვალა... **რობერტო ბაჯო**. საქმე ისაა, რომ იმ თამაშში „აძურას“ მეკარე **ჯანლუკა პალიუკა** გააძევეს...

**საუკეთესო ფეხბურთელი**

ანტოლინ ალკარასი (პარაგვაი)

**გარდა იმისა, რომ გოლი გაიტანა, დაცვაშიც უბადლოდ ითამაშა და არაერთხელ ჩაშალა იტალიელთა მწვავე იერიში. აქტიურად ერთვებოდა შეტევებში და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამპლუით მცველი გახლავთ. ყველგან ასწრებდა ყოფნას: მარჯვნივ, მარცხნივ და ცენტრშიც. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელობაზე მას მხოლოდ კანავარო თუ გაუწევს კონკურენციას, რომელმაც რიგ ეპიზოდებში ძველი ფაბიო გაგვახსენა. თუმცა, გაშვებული გოლის ეპიზოდში უკეთ შეეძლო თამაში.**

**მატჩის შემდეგ**

მარჩელო ლიპი (იტალიის ნაკრების მწვრთნელი): **„ძალიან გული მწყდება. გამარჯვება დავიმსახურეთ, ხელში კი მხოლოდ ერთი ქულა გვიჭირავს. ისე გამოვიდა, რომ პარაგვაიმ კარში პირველივე დარტყმა გოლად აქცია და ეს მოჰყვა სტანდარტულ სიტუაციას. მეორე ტაიმში ჩემმა ბიჭებმა შესაბამისი რეაქცია გამოავლინეს და კარგი თამაშიც გააჩაღეს, მეტოქე კი დაცვაში ჩაჯდა და მეორე ნახევარში არაფერი შეუქმნია... სამწუხაროდ, ვერ მოვიგეთ. აშკარაა, რომ შეტევაში თამაში უნდა გამოვასწოროთ და მომავალი მატჩის წინ სწორედ ამაზე ვიმუშავებთ. ბუფონი? მას წელი ასტიკვდა და ბუნებრივია, საჭიროდ ჩავთვალეთ მისი შეცვლა. ითამაშებს თუ არა მომდევნო მატჩში, ჯერ არ ვიცი. ვნახოთ... ექიმები მეტყვიან“.**

**ლაშა ნიკლაური**

E ჯგუფი

# ფრთხილი ჰოლანდია და უსახური დანია

14 ივნისი. იოჰანესბურგი. სოკერ სიტი. 83 465 მაყურებელი

**ჰოლანდია-დანია 2:0**

**ჰოლანდია (4-2-3-1):** ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, მატიისენი, ვან ბრონკორსტი - ვან ბომელი, დე იონგი (88. დე ზეუ) - კუიტი, სნეიდერი, ვან დერ ვაარტი (67. ელია) - ვან პერსი (77. აფელაი).

**დანია (4-4-1-1):** სორენსენი - ლ. იაკობსენი, კიაერი, აგერი, ს. პოულსენი - რომედალი, იორგენსენი, კ. პოულსენი, ენევოლდსენი (56. გრონკიაერი) - კალენბერგი (73. ერიკსენი) - ბენდტნერი (62. ბეკმანი).

**გოლები:** 1:0 ს. პოულსენი (46), 2:0 კუიტი (85)

**მატჩი დაიწყო:** დანია; **დარტყმა:** 15(10)-7(4); **ჯარიმა:** 13-20; **კუთხური:** 6-2; **გაფრთხილება:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**არბიტრი:** სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

**საინტერესო მომენტები**

20' - მარჯვენა ფლანგზე **ვან ბომელმა** გაინავარდა, **ვან დერ ვაარტი** მოძებნა კარგი გადაცემით და ამ უკანასკნელმა მეტად სახიფათოდ, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

30' - **დანიელ აგერმა** გრძელი გადაცემით **რომედალი** მოძებნა, მის ჩაწოდებულს კი **ბენდტნერმა** დაჰკრა თავური და მცირე მანძილით ააცილა ბურთი კარს.

37' - დანიელთა რამდენიმესვლიანი კომბინაცია რომედალის დარტყმით დასრულდა, თუმცა **სტეკელენბურგი** აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

45' - რიკოშეტის შემდეგ ბურთი **ვან პერსის** მიუვიდა, საშუალო დისტანციიდან დაარტყა, თუმცა არაზუსტად.

46' - ვან პერსიმ მარჯვენა ფლანგზე მიიღო ბურთი, ჩააწოდა, რასაც **საიმონ პოულსენის** მიერ გატანილი ავტოგოლი მოჰყვა. უხეიროდ დაარტყა თავური, რის შემდეგაც ბურთი დანიელ აგერს მოხვდა და ისე შეგორდა კარში - 1:0.

52' - სიმონ კიაერმა დაუშვა შეცდომა და ვან პერსი საკუთარ კიპერს პირისპირ შეჰყარა. „არსენალის“ ფორვარდმა დააგვიანა დარტყმა და ბურთი პირით ხაზს იქით გაექცა.

72' - შეცვლაზე შესულმა **ელიამ** დაარტყა ძალიან სახიფათოდ, მაგრამ დანიელთა მეკარემ ითამაშა კიდევ უკეთესად.

80' - **ვესლი სნეიდერმა** შორი დისტანციიდან გაისროლა, მცირე რიკოშეტის შემდეგ ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

86' - სნეიდერმა შესანიშნავი გამჭოლი გადაცემით ელია გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მისი დარტყმული ძელს მოხვდა, დამატებაზე კი **კუიტმა** იმარჯვა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა - 2:0.

88' - კუიტის ჩაწოდებას **სორენსენის** შეცდომა მოჰყვა, **აფელაიმ** მეკარისაგან დაუცველ კარში გადაგზავნა ბურთი, თუმცა დანიელთა მცველმა ივარგა და ჰოლანდიელებს მესამე ბურთის გატანის საშუალება არ მისცა.




კუიტი 2:0

გაგრძელება მე-3 გვერდზე

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

E ჯგუფი



# ფრთხილი ჰოლანდია და უსახური დანია

« მე-2 გვერდიდან

ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ თამაშის ფრედ დასრულების შემთხვევაში ორივე გუნდი კმაყოფილი დარჩებოდა. პრიცეპში, დანიელებისთვის რომ საყაიმო შედეგი უფრო ალებული ქულა იქნებოდა, ვიდრე დაკარგული ქულები, ეს ლოგიკურიც არის, ჰოლანდიელთა ინერტული თამაში კი ბევრისთვის მოულოდნელი გამოდგა. ვისაც მატჩისთვის თვალი არ მიუდევნებია და მხოლოდ შედეგი გაიგო, ალბათ უკვირს ის, რასაც ახლა კითხულობს, მაგრამ ფაქტია, რომ ჰოლანდიელებმა განსაკუთრებული ვერაფერი გვიჩვენეს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს გუნდი ფავორიტთა სიიდან უნდა ამოვილოთ და ჩამოვწეროთ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გუნდმა გაიმარჯვა და პირველი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. თანაც, ნუ დაგვავიწყდება ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი და რიხით დაწყებული ჰოლანდიური ისტორიის ტრაგიკული დასასრული. მოკლედ, უმჯობესია შორს მიმავალი დასკვნების გამოტანისგან თავი შევიკავოთ და უბრალოდ, განვლილი თამაში, როგორც ცალკე ალებული, განვიხილოთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, **ბერტ ვან მარვიიკმა** 4-2-3-1 ტაქტიკა აირჩია და შეტევის წინა ხაზზე ვან პერსი გაამწესა. მის უკან ვესლი სნეიდერი, **ვან დერ ვაარტი** და **დირკ კუიტი** მოქმედებდნენ. აქედანვე ალვნიშნოთ, რომ არც ერთ მათგანს საუკეთესო შეხვედრა არ ჩაუტარებია. ვან დერ ვაარტი საკმაოდ ინერტული იყო და შეგვიძლია ვთქვათ, რომ თამაში ჩააგდო. კუიტმა გოლი გაიტანა და ეს უკვე დიდი პლუსია, მაგრამ მთლიანობაში, მასაც უკეთ შეეძლო თამაში. მათგან საუკეთესო გახლდათ სნეიდერი და მეორე გოლისას შესანიშნავი გადაცემაც მიითვალა აქტივში, მაგრამ გარკვეული პრობლემები მასაც ჰქონდა - საჯარიმო დარტყმები არ უვარგოდა არაფრად. სამაგიეროდ, ძალიან კარგად გაისარჯნენ შეცვლაზე შესული ფეხბურთელები: **ელია** და **აფელაი**. სწორედ მათი მოედანზე გასვლის შემდეგ გააქტიურდა ჰოლანდიის ნაკრები და მისთვის ჩვეული ტემპით და სტილით ათამაშდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორივე მათგანმა სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრაზე განაცხადა პრეტენზია და სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ მომდევნო მატჩისთვის ვან დერ ვაარტი უკვე სათადარიგოთა სკამზე დარჩება.

რა შეიძლება ითქვას დანიაზე? - კარგი არაფერი. **მორტენ ოლსენმა** საფეხბურთო ხრიკს მიმართა და წინასამატჩოდ განაცხადა, რომ ნიკლას ბენდტნერის გარეშე მოუწევდა ფონს გასვლა. რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა - „არსენალის" ფორვარდი ძირითადში იყო და ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდის როლს ასრულებდა. დიახ, ოლსენმა ზედაცვითი ტაქტიკა აირჩია და გუნდი 4-4-1-1-ით განალაგა. სასარტო შემადგენლობაში ვერც **ტომასონი** ვიხილეთ და ვერც **ლარსენი**.

პირველ ტაიმში, სკანდინავიელები ტოლსწორად ეპაექრნენ ჰოლანდიელებს და რიგ ეპიზოდებში თითქოს აჯობეს კიდეც, აი ნაანტრაქტევს კი აშკარად დაიღალნენ, გაჩერდნენ და კაპიტულაცია გამოაცხადეს. მომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ, მით უმეტეს, სტენოგრამას შეგიძლიათ გადახედოთ და ყველა საინტერესო ეპიზოდი აღიდგინოთ. თუმცა, საიმონ პოულსენის გოლზე მაინც უნდა ვთქვათ ოროდე სიტყვა - ასე მოუქნელად და უხეიროდ ეთამაშოს მცველს, მართლაც იშვიათია. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ავტოგოლიდან ხუთიოდე წუთში უკვე სიმონ კიაერმა გამოიჩინა თავი და ვან პერსის შესანიშნავი გამჭოლი გადაცემა გაუკეთა. როგორც ჩანს, გუშინ დანიელი მცველები საკუთარ კიპერზე გაბრაზებულნი გახლდნენ.

რის ხარჯზე გაიმარჯვა ჰოლანდიამ? - მათი წარმატება პირველ რიგში დანიელთა სუსტი ასპარეზობის დამსახურებაა. სკანდინავიელებისგან აშკარად მეტს ველოდებოდით, თუმცა მივიღეთ ძალიან მშრალი, ყოველგვარ იმპროვიზაციას მოკლებული ფეხბურთი. შეიძლება ვინმემ იკითხოს, სად სკანდინავია და სად იმპროვიზაციაო, მაგრამ დანიის ოქროს გუნდი, რომელმაც ევროპის 1996 წლის ჩემპიონატი მოიგო, სწორედ ძლიერი ინდივიდუალისტებით და არაპროგნოზირებადი ფეხბურთელებით გახლდათ დაკომპლექტებული - მარტო ძმები **ლაუდრუპების** გახსენება რად ღირს. დღეს კი, რჩება შთაბეჭდილება, რომ დანია ახალგაზრდა ნიკლას ბენდტნერის იმედზეა. ძნელად წარმოსადგენია, რომ ასეთი დანია შორს გაფრინდეს. რაც შეეხება ჰოლანდიელებს, მათი რეალური ძალა ჯერ კიდევ უნდა გამოჩნდეს.

**საუკეთესო ფეხბურთელი**

ელჯერო ელია (ჰოლანდია)

**დანიიდან ერთადერთი ფეხბურთელი, ვისი გამორჩევაც შეიძლება, რომედალი გახლავთ. აქტიურობდა და მარჯვენა ფლანგიდან რამდენჯერმე შექმნა ხიფათი მეტოქის კართან. ჰოლანდიელთაგან ვან დერ ვილის გამორჩევა შეიძლება, რომელმაც თავის ფლანგზე ყველაფერი გადაკეტა და რამდენჯერმე, წინაც ეფექტურად გაიჭრა. თუმცა, საუკეთესო ფეხბურთელად მაინც ელჯერო ელია უნდა დავასახელოთ. სწორედ მისი გამოსვლის შემდეგ ვიხილეთ ნამდვილი ჰოლანდია და ამაში, ახალგაზრდა ფეხბურთელს უდიდესი წვლილი მიუძღვის.**

**ლაშა წიკლაური**

G ჯგუფი

# მატა მატა პორტ ელიზაბეთში

## პორტუგალია სკანდალით იწყებს

ესეც „სიკვდილის ჯგუფი"! დღეს, 18 საათზე აღმოსავლეთ კონცხის პროვინცია „სიკვდილის ჯგუფად" მონათლულ G ჯგუფის პირველ და, შესაძლოა, გადამწყვეტ შეხვედრას მასპინძლობს. ამ ჯგუფში უდავო ფავორიტად პენტაკამპეონე ბრაზილიას მიიჩნევენ, ამიტომაც, ცხადია, **კარლუშ კეირუშის** პორტუგალიის ნაკრებისა და **სვენ გორან ერიქსონის** კოტ დ'ივუარის გუნდის დაპირისპირებას ბევრი მეორე ადგილისთვის ბრძოლად მიიჩნევს.

შეიძლება ითქვას, „ნელსონ მანდელა ბეის" სტადიონზე ეს გუნდები დღეს ურთიერთშეხვედრების ისტორიის პირველ თავს დაწერენ. აქამდე ეს გუნდები ერთმანეთს არსად გადაყრიან. „სპილოები" მუნდიალზე მეორედ ითამაშებენ. მათი დებიუტი 4 წლის წინათ, გერმანიაში შედგა. **დიდიე დროგბამ** და კომპანიამ მაშინ ჯგუფში ერთი თამაში მოიგო და ორი დათმო არგენტინასა და ჰოლანდიასთან.

პორტუგალიელებმა მუნდიალზე უკვე ოთხჯერ ითამაშეს, აქედან პირველად და ბოლოს ძალზე წარმატებულად, 1966 წელს ეუსებიო საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, პორტუგალიის ნაკრები კი მე-3 ადგილზე გავიდა. 1986 და 2002 წლებში პორტუგალია ჯგუფში ჩარჩა, ხოლო 2006 წელს გუნდმა მე-4 ადგილი დაიკავა.

კოტდივუარელთა წარმატება დიდად არის დამოკიდებული, შეძლებს თუ არა გუნდის კაპიტანი დიდიე დროგბა თამაშს. 4 ივნისს იაპონიის ნაკრებთან სპარინგში „ჩელსის" ფორვარდმა ხელი მოიტეხა. ახლა კი ლამის ნახევარი დასავლეთი აფრიკა დროგბას ხელს შეჰყურებს. საინტერესოა, როგორ ათამაშებს მუნდიალზე აფრიკულ გუნდს შვედი სპეციალისტი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ ჩაუდგა სათავეში „სპილოებს".

ნინა მუნდიალზე ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ პორტუგალიას კინაღამ ჩაუვარდა საკვალიფიკაციო ეტაპი, კეირუშის გუნდმა პლეი ოფში ბოსნიის ნაკრების დამარცხებით მოიპოვა სამხრეთი აფრიკის საგზური, თუმცა ბოლო ამხანაგური მატჩები გვანახებს, რომ პორტუგალია ნელნელა იბრუნებს ფორმას. სამუნდიალე მზადება კი **ნანის** ტრავმამ შეაფერხა, „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი დღეს უკვე პორტუგალიაშია, მისი თამაში მუნდიალზე გამოირიცხა. ისევე როგორც კოტ დივუარის ნაკრებს, პორტუგალიასაც ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი, რომლის თამაშზეც დიდად არის დამოკიდებული ნაკრების წარმატებად - **კრიშტიანო რონალდო**. რონალდო და დროგბა მსოფლიო დონის ვარსკვლავები არიან, ბუნებრივია, რომ არცთუ ფავორიტ ნაკრებებში ისინი გამორჩეული ფეხბურთელები არიან.

2002 და 2006 წლების ჩემპიონატებში ერიქსონმა თავისი გუნდები მეოთხედფინალში გაიყვანა, ბუნებრივია ამის გაკეთება კოტ დივუართან ერთად ძალიან ძნელი იქნება. მით უმეტეს, რომ შვედი სულ რალაც 74 დღეა აფრიკელთა მწვრთნელი.

რომელ ფეხბურთელებზე გვმართებს ყურადღების გამახვილება? ბუნებრივია, დროგბასა და რონადლოზე. თუმცა ერთია, დროგბამ შეიძლება ვერ ითამაშოს. ამ შემთხვევაში აფრიკული გუნდიდან გირჩევთ **კოლო ტურეს** თამაშს დააკვირდეთ. დროგბას არყოფნაში მას კაპიტნის სამკლავური ანდეს, „მანჩესტერ სიტის" ცენტრალურ მცველს დიდი ჯაფა დაადგება, მისი ერთ-ერთი მისია კრიშტიანო რონალდოს განეიტრალებაც იქნება. იყო დრო, ინგლისურ პრემიერლიგაში ტურესა და რონალდოს დუელი ბევრჯერ შემდგარა.

დავუბრუნდეთ დიდიე დროგბას ტრავმას. ჯერჯერობით ოფიციალურად არც ის უთქვამთ, რომ დროგბას თამაში გამოირიცხა და არც ის, რომ მან შეძლო გამომჯობინება. ერიქსონმა კი უკვე განაცხადა, რომ დაიწყო ეგრეთ წოდებული B გეგმის შემუშავება - დროგბას გარეშე. დროგბას გამოჩენა დიდი ფსიქოლოგიური პლუსი იქნება აფრიკული გუნდისთვის.

15 ივნისი. პორტ ელიზაბეთი. ნელსონ მანდელა ბეი. 18:00

**კოტ დ'ივუარი–პორტუგალია**

სავარაუდო შემადგენლობები

**კოტ დივუარი (4-2-3-1):** ბარი - კ. ტურე, ებუე, ბოკა, ტიენე - ი. ტურე, ზოკორა - ჟერვინიო, რომარიკი, ტიოტე - დროგბა.

**პორტუგალია (4-2-3-1):** ედუარდო - მიგელი, კარვალიო, ალვეში, დუდა - მეირელეში, ველოზო - რონალდო, დეკუ, სიმაო - ალმეიდა.

**არბიტრი:** ხ. ლარიონდა (ურუგვაი)



დროგბა ირწმუნება, ყველაფერი კარგად იქნება

პორტუგალიის ნაკრებში კი სკანდალია - ლისაბონში ჩასულმა ნანიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ... ის მომავალი კვირისთვის უკვე მზად იქნებოდა სათამაშოდ. პორტუგალიაში უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ ნანის სამშობლოში გაბრუნების უკან რალაც იმალება. ნანიმ ცეცხლზე ნავთი იმითაც დაასხა, რომ განაცხადა **დეკუც** ტრავმირებულია და მისი თამაშიც პირველ მატჩში გამორიცხულიაო, მაგრამ დეკუ არავის ამოუგდია ნაკრებიდანო. ვნახოთ, თუ ეს მართალია (ამას დღესვე გავიგებთ, როცა გუნდები ჰიმნების მოსასმენად გავლენ), მაშინ მართლაც „რალაც" ხდება პორტუგალიის ნაკრებში.

ამბობენ, რომ პორტუგალიის ნაკრების მარცხენაფლანგელი **სიმაო** გამოფიტულია, თუმცა ის მაინც შეძლებს თამაშს თავის ფლანგზე, მარჯვნივ კი ჩვეულებრივად კრიშტიანო რონალდო ითამაშებს. **უგო ალმეიდამ** მოზამბიკის ნაკრებთან დუბლი შეასრულა, შესაძლოა ამით მან სასტარტოში ადგილი მოინადირა.

**კარლუშ კეირუში:** *„ხვალ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველ მატჩს ვთამაშობთ. რა დროს ნანის ტრავმაა. ახლა ჩვენ მხოლოდ ამ მატჩზე უნდა ვიფიქროთ, როგორ ვაჯობოთ მეტოქეს. თუკი ნანი მართლაც ოთხ დღეში გამოჯანმრთელდება კარგი იქნება, თუმცა ახლა ნამდვილად არ არის ამის დრო, ჩვენ არ უნდა დავკარგოთ კონცენტრაცია, ნანიზე კი შემდეგ ვისაუბროთ".*

**დეკუ:** *„ჩვენ ვიცით, რომ ნანიმ მხარი დაიზიანა და მას კარგა ხანი დასჭირდება გამოსაჯანრთელებლად. ბუნებრივია, ფეხბურთელები ყველა ინფორმაციას ვერ ვფლობთ. ნანისი კარგად მესმის ის ძალზე გულდაწყვეტილია".*

**კრიშტიანო რონალდო:** *„ჩემი მიზანი ყოველთვის ერთია - ვიყო საუკეთესო. მინდა „ავფეთქდე" ამ მუნდიალზე. არა მგონია, რომ ვინმესთვის რამის დამტკიცება მჭირდებოდეს, როცა ვამბობ „ავფეთქდეს" ვგულისხმობ, ვითამაშო ისე კარგად, როგორც შემიძლია და დავეხმარო გუნდს მოგებებში. ამბობენ, რომ ნაკრებში ნაკლებად გამაქვს გოლები, ამაზე არ ვწუხვარ, რადგან გოლები კეტჩუპივით არის, როცა ის ბოთლიდან გადმოდის, გადმოდის თითქმის მთლიანად, გოლებიც ასე მოვა ერთბაშად. ვიმედოვნებ, რომ კოტ დივუარის ნაკრებს გავუტან. ორ საწყის თამაშს თუ მოვიგებთ, ჯგუფური ეტაპიდან გავალთ. შემდეგ კი, როგორც ჩემი მეგობარი სკოლარი იტყვის ხოლმე „მატა მატაა", ყველაფერი შეიძლება მოხდეს".*

რონალდოს სიტყვებს განვმარტავთ, მატა მატა ესპანურად ნიშნავს - მოკალი ან მოგკლავენს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# რით სჯობს ჩრდილოეთ კორეის ნაკრები ბრაზილიას?

15 ივნისი. იოჰანესბურგი. ელის პარკი. 22:30

**ბრაზილია–ჩრ. კორეა**

სავარაუდო შემადგენლობები

**ბრაზილია (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, ტიაგო სილვა, ბაშტოში - ჟილბერტო სილვა, რამირესი - ელანო, კაკა, რობინიო - ლ. ფაბიანო.

**ჩრდ. კორეა (5-4-1):** მიონ გუკი - ჯუნ ილი, ნამ ჩოლი, სონ ჩოლი, კვან ჩონი, ჩოლ ჯინი - ინ გუკი, იუნ ჰაკი, ნამ ჩოლი, იონ ჯო - ტაე სე.

**არბიტრი:** ვ. კასაი (უნგრეთი)

„სიკვდილის ჯგუფის" მეორე წყვილი მეტად არათანაბარია - იოჰანესბურგის „ელის პარკზე" ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი იდუმალებით მოცულ ჩრდილოეთ კორეის ნაკრებს ეთამაშება. გუნდს, რომელმაც ამ მუნდიალზე უკვე გაითქვა სახელი სუპერარაორდინალური საქციელით - კორეელებმა 26 წლის ფორვარდი **კიმ მიონ ვონი** მესამე გოლკიპერად გააფორმეს. თუმცა მათი ვირეშმაკობა ახლა უკვე დაცინვის ობიექტია, რადგან ფიფამ კორეელებს კიმის მხოლოდ მეკარედ გამოყენების უფლება მისცა. საბრალო კიმი, მოუწევს მთელი მუნდიალის სათადარიგოთა სკამზე გატარება. კორეელთათვის კი არა გვგონია მუნდიალი სამ მატჩზე მეტ ხანს გაგრძელდეს.

» მე-7 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერბეთი

# ანტიჩი: გერმანიასთან სულ სხვა სერბეთს ნახავთ!

## მწვრთნელმა შეცდომები აღიარა, კუჟმანოვიჩმა კი სამშობლოს მოუბოდიშა


სერბეთის ნაკრების მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო

სერბეთის ნაკრებმა ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში მთელ მსოფლიოს იმედები გაუცრუა. **რადომირ ანტიჩის** გუნდისგან ყველა გაცილებით უკეთეს თამაშს და შედეგს ელოდა, მაგრამ სერბებმა განასთან ამაზრზენად ითამაშეს და დამარცხდნენ. როგორც იცით, განამ გამარჯვების გოლი პენალტით გაიტანა, რომელიც სერბების საყრდენი ნახევარმცველის, **ზდრავკო კუჟმანოვიჩის** ბრალი იყო - „შტუტგარტის" ჩამშლელმა შუახაზელმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა. თუმცა მატჩის შემდეგ კუჟმანოვიჩმა მთელ სერბეთს ბოდიში მოუხადა. შეცდომები ანტიჩმაც აღიარა და გულშემატკივრებს დაჰპირდა, მეორე ტურში, გერმანიასთან სულ სხვა სერბეთს იხილავთო.

*„ვფიქრობდი, რომ განასთან შეხვედრაში წარმატებას მშვიდი თამაშით უფრო მივაღწევდით, ვიდრე აგრესიული ფეხბურთით. როგორც ჩანს, ყველაფერი სწორად ვერ გავთვალე, რადგან შედეგი თვალსაჩინოა - ჩვენ წავაგეთ. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩემი ფეხბურთელები ზედმეტად ნერვიულობდნენ. ეს თამაში უკვე ჩავლილია და ჩვენც წინ უნდა გავიხედოთ. მეორე შეხვედრა ჯგუფისა და ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ გერმანიასთან გვიწევს და ამ მატჩისთვის ძალიან კარგად უნდა მოვემზადოთ,"* - განუცხადა ანტიჩმა ჩვენს სერბ კოლეგებს.

მწვრთნელი გულშემატკივრებს იმასაც ჰპირდება, რომ მისი გუნდი გერმანიასთან სულ სხვა ფეხბურთს ითამაშებს. *„განასთან განცდილი მარცხი გვაიძულებს, გერმანიასთან და ავსტრალიასთან მატჩებისას შევუტიოთ. ყურების ჩამოყრის უფლებას არავის მივცემ. ორი თამაში დაგვრჩა და ჯგუფიდან გასვლა ჯერ კიდევ შეგვიძლია. ასე რომ, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ,"* - ამბობს 61 წლის სპეციალისტი.

გუნდის კაპიტან **დეიან სტანკოვიჩსაც** სჯერა, რომ ის და მისი თანაგუნდელები თამაშს გამოასწორებენ და გერმანიასთან წარმატებას მიაღწევენ. *„გერმანიის ნაკრების დამარცხება საოცრად ძნელია, მაგრამ მე მჯერა ჩვენი გუნდის. განასთან ნაგების შემდეგ, უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს. ასე რომ, მოედანზე თითოეულმა ჩვენგანმა თავი უნდა დადოს,"* - ამბობს 31 წლის სტანკოვიჩი.

კუჟმანოვიჩმა კი თანაგუნდელებს, მწვრთნელს და სერბეთის ნაკრების გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადა: *„სისულელე გავაკეთე და თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. მინდა, ყველას ბოდიში მოვუხადო. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს!"*

აქვე გეტყვით, რომ გერმანიასთან (18 ივნისს) ანტიჩი დაცვის ცენტრში დორტმუნდელ **ნევენ სუბოტიჩს** ათამაშებს, რადგან **ალექსანდარ ლუკოვიჩი** განასთან მატჩში გაძევების შემდეგ დისკვალიფიცირებულია.

ავსტრალია


ტიმ კეჰილის (№4) გასახდელისკენ უთითებენ

# კეჰილი: შვაინშტაიგერი მსახიობია!

ავსტრალიის ნაკრების ლიდერი **ტიმ კეჰილი** გერმანიის ნაკრების ლიდერ **ბასტიან შვაინშტაიგერს** მისდგა. როგორც იცით, გერმანიისა და ავსტრალიის ნაკრების მატჩში 30 წლის კეჰილი მსაჯმა მოედნიდან სწორედ შვაინშტაიგერთან უხეშობისთვის გააძევა. „კენგურუების" ლიდერი მიიჩნევს, რომ წითელ ბარათს არ იმსახურებდა და ამბობს, შვაინშტაიგერი ნამდვილი მსახიობია, ჩემი ფოლი ისე კარგად გააფორმა, რომ მსაჯს აღარც კი ვამტყუნებო.

*„ეს ჩემი კარიერის ყველაზე საშინელი მატჩი იყო. ყვითელ ბარათს ნამდვილად ვიმსახურებდი და ამას არც უარვყოფ, მაგრამ გაძევება ნამეტანი იყო,"* - განაცხადა „ევერტონის" 30 წლის ფეხბურთელმა, რომელიც მსაჯმა **მარკო როდრიგესმა** გერმანიასთან მატჩის 56-ე წუთზე გააძევა.

კეჰილი: *„შვაინშტაიგერი კარგი მსახიობია და იმ ფოლისგან ისეთი ტრაგედია შექმნა, ლამისაა, მსაჯიც კი გავამართლო. იცით, გერმანელ ფეხბურთელსაც არ ვამტყუნებ, რადგან ფეხბურთი ასეთია. წარმატების მიღწევისთვის ბრძოლაში ყველაფერი მოსულა, მათ შორის ასეთი საზიზღარი სიმულაციაც. ასე რომ, შვაინშტაიგერის კარგად მესმის. უბრალოდ, იმედი მაქვს, რომ ფიფას ჩინოსნები ამ მომენტს განმეორებით ნახავენ, ყველაფერს კარგად გააანალიზებენ და დისკვალიფიკაციას არ მომისჯიან."*

ზოგადად, პირდაპირ წითელი ბარათის მიღების შემდეგ, ფეხბურთელები ორ მატჩს ტოვებენ ხოლმე. თუ კეჰილსაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, გამოვა, რომ დიდი შანსია, მუნდიალზე ველარ ითამაშოს, რადგან გერმანიასთან ნაგების (0:4) შემდეგ, ავსტრალიის ნაკრების შანსები, ითამაშოს მერვედფინალში, ძალიან შემცირდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ინგლისი

# კაპელომ სკამზე რატომ დამსვაო...


დევიდ ჯეიმსი

როგორც ირკვევა, უკმაყოფილების გამოხატვა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებსაც შესძლებიათ - მეკარე **დევიდ ჯეიმსი** განაწყენდა, **ფაბიო კაპელომ** სათადარიგოთა სკამზე რატომ დამსვაო. „პორტსმუთის" კარის დარაჯი აცხადებს, რომ ის ჯანზეა და მზადაა ითამაშოს. დაგვეთანხმებით, უცნაურია! როგორც ჩანს, გუნდში ურთიერთობის პრობლემაა, თორემ, როგორ შეიძლება, მეკარე ჯანმრთელად იყოს, მწვრთნელები კი ამბობდნენ, რომ მას მუხლი სტკივა და ამიტომ ვერ ითამაშებს. ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე, როდესაც ინგლისელები სამხრეთაფრიკულ გუნდს „პლატინუმ სტარზს" ეთამაშებოდნენ, კაპელომ ჯეიმსი სკამზე დასვა, რათა მას არაფერი გამიზეზებოდა და **რობერტ გრინსა** და **ჯო ჰარტს** ენდო. შემდეგ, დადგა ინგლისელთა პირველი მატჩის დღეც გრინის თამაშმა რა შედეგიც გამოიღო, ყველამ ვნახეთ - გნებავთ, ღელვას მიაწერეთ და გნებავთ უილბლობას, ამერიკელი **კლინტ დემპსის** დარტყმული „ვესტ ჰემის" მეკარემ ხელში ვერ შეიმარგა და ინგლისმა ორი ქულა დაკარგა შეხვედრაში, რომელსაც იგებდა. როგორც ბრიტანული პრესა წერს, მატჩის შემდეგ, როდესაც კაპელოს ასისტენტი, **ფრანკო ბალდინი** ჯეიმსთან ხელის ჩამოსართმევად მივიდა, ვეტერანმა დიდი სიხარული არ გამოამჟღავნა. ჯეიმსი ამბობს:

*„მე სრულიად ჯანმრთელი გახლავართ. ისევე, როგორც ჯო (ჰარტი) მეც მზად ვიყავი მოედანზე გასასვლელად. უცნაური რამ მოხდა - კვირის დასაწყისში იყო შემთხვევა, როდესაც გუნდთან ერთად კი არ ვივარჯიშე, ტრენაჟორების დარბაზში შევედი და ამის გამო, იქიდან გამოსულს დამხვდა ჭორი, თითქოს ტრავმა მქონდა და თამაშს ვერ შევძლებდი. მერწმუნეთ, აშშ-ის ნაკრებთან თამაშის დღეს შემადგენლობა თამაშის წინ, ავტობუსში ჩასხდომამდე ხუთი წუთით ადრე გამოცხადდა. მანამდე, ჩვეულებრივად, ისევე, როგორც ყველა სხვა, მეც ველოდი, რომ განაცხადში ვიქნებოდი. ჩვენ ყველანი მზად ვიყავით და შინაგანად სათამაშოდ ვემზადებოდით. თამაში ყველას უნდა, მათ შორის მეც".*

გრინზე საინტერესო რამ თქვა ალჟირელთა მწვრთნელმა **რაბა საადანემ**. მოგეხსენებათ, სლოვენებთან შეხვედრაში მისი გუნდის მეკარე **ფაუზი ჩაუჩიმაც** ინგლისელი გოლკიპერის ბადალი შეცდომა დაუშვა და **რობერტ კორენს** გოლი გაატანინა. საადანემ კი თქვა:

*„გრინი ასეთი მდგომარეობიდან გამოსვლას დაჩვეულია. ვფიქრობ, ასეთი ეპიზოდები დიდ ფეხბურთელებს ფსიქოლოგიურ დაღს არ ასვამს. რომ ვნახე, როგორ ითამაშა ინგლისელთა გოლკიპერმა შესვენების შემდეგ, მივხვდი, რომ ის არ დათრგუნვილა".*

ასეთი მდგომარეობიდან გამოსვლას ნაჩვევიაო. ხომ კარგია? ესე იგი, ინგლისის ნაკრებს კარში უდგას კაცი, რომელიც „აი, ასეთ" მდგომარეობაში პერიოდულად ვარდება ხოლმე...

# ბოდიში ინგლისელ ერს!


რობერტ გრინის უმძიმესი შეცდომა

საინტერესო ფაქტია - **რობერტ გრინმა** ერს ბოდიში მოუხადა. ყოჩაღმა გოლკიპერმა, რომელმაც აშშ-ის ნაკრებთან საოცრად შეცდა, თანაგუნდელებსაც მოუბოდიშა და სრულიად ინგლისსაც. თამაშის მეორე დღეს მან განაცხადა: *„თანაგუნდელებს შესვენებისასვე მოვუბოდიშე, ახლა კი მინდა მილიონობით ადამიანს ვუთხრა, რომ ძალიან ვწუხვარ გული რომ ვატკინე".*

ინგლისური გაზეთები სიამაყით წერენ, რომ მათ მეკარეს რასაკვირველია შეეძლო თავი ჩაეხარა და პრესა-ტელევიზიასთან შეხვედრას საერთოდ არიდებოდა, მით უფრო, რომ თანაგუნდელები მხარში ამოუდგნენ და მისი გაკრიტიკება ერთსაც არ უცდია, მაგრამ გრინმა ეს არ იკადრა. ის თავაწეული მივიდა საპრესკონფერენციო დარბაზში და მთელ ინგლისს ალალად ჩახედა თვალებში. ახლა ჟურნალისტები წერენ, რომ **კლინტ დემპსის** გოლის გამო გრინს თუნდაც სანაკრებო კარიერა დაამთავრებინონ, ის ისტორიას ვაჟკაც ადამიანად შემორჩება.

საინტერესოა, რომ გრინს მხარში მხოლოდ ინგლისელები კი არა, ამერიკელი ფეხბურთელებიც ამოუდგნენ. აი, მაგალითად, რა თქვა ცნობილმა **ლენდოდ დონოვანმა:**

*„ჩვენ ანგარიშის გათანაბრებამ და ქულის მოპოვებამ ძალიან გაგვახარა, მაგრამ ამავდროულად მინდა ინგლისელებს ვთხოვო, რობერტს ძალიან ნუ გააკრიტიკებენ. არც კი მინდა წარმოვიდგინო, რას ფიქრობს და განიცდის ის ახლა. ინგლისის ნაკრები კი არა, ჩვენ, ამერიკელები, ჩვენს გასახდელში, თამაშის შემდეგ ვამბობდით, რომ ძალიან ცუდია, როდესაც რომელიმე ფეხბურთელს ასეთი უილბლობა დარევს ხელს. ერთხელაც გთხოვთ, ნუ დააჭერთ რობს ნიხლს, პირიქით, გაამხნევეთ, რათა მძიმე მდგომარეობა დასძლიოს".*

თავად გრინმა მსოფლიოს ჩემპიონატის ახალი ბურთის, „ჯაბულანის" დადანაშაულებაზე უარი თქვა: *„ბურთს არაფერში ვადანაშაულებ. მე ის უნდა დამეჭირა და აქ სხვა აზრი არ არსებობს. იმ ეპიზოდში ბურთმა საკმაოდ შორიდან იფრინა და ვერ გეტყვით, რატომ ვერ მოვახერხე მისი ხელში შემაგრება. უხეშად შევცდი და ახლა მთელი ცხოვრება ამ მომენტის თანხლებით მომიწევს ცხოვრება. რა უნდა მითხრას ხალხმა? არაფრის თქმა არ არის საჭირო. მე შევცდი და ასეთია ცხოვრება. ძალიან მესიამოვნა მეორე ტაიმში ჟოზი ალტიდორის დარტყმა რომ მოვიგერიე. მიხარია, რომ გოლის გაშვების შემდეგ თავი არ ჩავხარე. 30 წლის ვარ და, როგორც ჩანს, გამოცდილებამ თავისი გაიტანა".*

# დამარცხება კინგში


ლედლი კინგი

დიდი შანსია, დაშავებული **ლედლი კინგი** სამშობლოში დაბრუნდეს - ინგლისის ნაკრების დაცვა კიდევ უფრო დასუსტდა, კრიზისი ღრმავდება. კინგს ამერიკელებთან შეხვედრაში საზარდულზე კუნთი ეტკინა და როგორც ექიმებმა თქვეს, შეიძლება, სამკვირიანი უქმობა დასჭირდეს. „ტოტენჰემის" მცველი შეხვედრის დასაწყისშივე დაშავდა, თითქმის მაშინვე, როდესაც კაპიტანმა **სტივენ ჯერარდმა** ანგარიში გახსნა, ეს კი, მოგეხსენებათ, მე-4 წუთზე მოხდა. **ფაბიო კაპელოსა** და მის ასისტენტებს ამის შესახებ **ჯონ ტერიმ** მაშინვე გამოსძახა მოედნიდან. მოგეხსენებათ, ინგლისელთა იტალიელმა თავკაცმა კინგი მაინც დატოვა ტაიმის ბოლომდე მოედანზე და შემდეგ ლივერპულელი **ჯეიმი კარაგერით** შეცვალა.

» მე-7 გვერდზე

ვუვუზაანთ კაკოს ჩანაწერები...

# ეგრე რამ გაგანაზათ, ჯო!!!

ხო თქვა იმ დალოცვილმა ილიამა, რო მოყვარეს პირში უძრახეო?! ჰოდა, დაალოს ეხლა პირი ყველამ, ვისაც ვუვუზაანთ კაკოს სიმართლის გაგონება უნდა. ჩემზე უთქვამთ, საზიზღარი კაცია, მაგის მოსაწონი ამქვეყნად არაფერი ხდებაო. საზიზღარი კი არ ვარ, სიმართლე მიყვარს და იმაი არ გეუბნებით, თქვენცა?! დამდგარხართ და ინაზებით ქალიშვილებივით, ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ე რა ფეხბურთ თამაშობენ, არაფრად ვარგაო. ბაბო გაგითხოვდათ, უფრო მაგარ ხართ ნაჩვევი, აი! თქვენა, თქვენი თავი მართლა ბარსელონელები და მანჩესტერელები ხო არ გგონიათ, ვეჟო, ზემო მაჩხაანელები, ბანძელები და ვერტყვიჭალელები ხართ! სად უყურებთ ამაზე უკეთესსა, ხობის სტადიონზე თუ ხონისაზე? იქნებ, ვაკეში ან საბურთალოზე, ჰა? ჰაი, ჰაი... ეგ ვაკელები და საბურთალოელები ინტერნეტბირჟაზე ერთმანეთ ეუბნებიან ლინკი მითხარი, ფეხბურთ კომპუტერში უნდა ვუყუროო. გითხრა, ეგ რათ უნდათ? რათა და ჩეთაობას ვერა წყდებიან, თორე ჯერ ტელევიზორში ნანახი ფეხბურთის დედა ვატირე და კომპუტერში ხო საერთოდ. გახსნიან პატარა „ფორტოჩკასა" და იქ უყურებენ. ვინმე რამეს რო მოწერთ, დაბლა ჩააგდებენ და პასუხ აკაკუნებენ. ჩაგდებულ „ფორტოჩკაში" კიდე მსოფლიო ჩემპიონატია. ვაი, შენს კაკოს!!!!

ეგრე რამ გაგანაზათ, ჯო!!! ვუვუზელას ხმას ვერ ვუსმენთ, ნევროზი გვემართებაო - „ფირუზი, ამოდი კაკაო დალიე". თქვენ რო მუსიკაი ეძახით და ყურსარჭობით თავში რო იბაგუნებთ, ვუვუზელას ხმა იმაი აღარ ჯობია? ჩართავენ ფართხუნაშარვლიანი ზანგების დოლზე დაკრულ ლექსებსა და...

ტელევიზორსაც არ შაეხედება. გადაცემაა და მთელი დღე იმაი არკვევენ, ვინ რაზე დადო დასანვავი ფული. კაცო, თქვენ ფულ უყურებთ თუ ფეხბურთს, ჰა? ფეხბურთისა მითხარით რამე, თორე ნადირ ბელჰაჯსა ბაბო პირველ ტაიმშივე გაუთხოვდება თუ მეორეში, ერთი ოხერი არ არი? ოთხმოცმა პროცენტმა მულლაზანზარის მოგებაზე ფული იმიტომ დადო, რომ კუში მალალი ჰქონდაო. ვაიმეეე... კუშ უყურებ, ვეჟო თუ ფეხბურთს? მერედა, ის მაგიჟებს - ჩვენ, „დუხების" მაღაზიის სტაფი საფრანგეთს იმიტომ „ვბალეშჩიკობთ" (ამ დასანვავმა სიტყვამ ხო გადამრია), რომ „კრისტიან დიორი" გვევასებაო!..

სამაგიეროდ, რაც კარგია, ფეხბურთია. ოღონდ, არც არგენტინა ვარგა, არც გერმანია და არც ვინმე. ყველა ნაგავია. თან ერთმანეთზე ნაგავი, მაგრამ ყველაფერ ეგა სჯობიან! მარადონაი, რა გუნდი ყოლიაო... რა ვიცი, ალბათ, ის ტყიდან გამოვარდნილი კაცი თუ მეეწონათ, ხონასიო თუ რაღაც საფრთხობელა. ხონას, ჩვენ სოფელში ხონაშვილ რობერტაი ეძახიან, ეხლა ქალაქში წავიდა, ვაზისუბანში „სტაიანჩიკია". თმა ყალყზე რო უდგას კაც, იმ არგენტინელზე გეუბნებით, რა ვერ გაიგეთ. ჰო, ეგ თუ მოგეწონათ-მეთქი, თორემა, მესი მე იქ ვერ დავინახე და ნიგერიას ცოტაც რო გეეჭინთნა, ბურთივით მრგვალ მარადონას პირველ დღესვე აუხსნიდა, რო მწვრთნელად კი არა, ჯუგაანელების ნახირში მეძროხედაც არ ვარგა. გერმანია კიდე ცარიელა მოედანზე გამოვიდა (აბა, მეორე გუნდი მე იქ ვერ დავინახე) და ოთხი გოლის მეტი ვერ გაიტანა. ეგრე, ცარიელაზე ქვემოთა კორეამაც შააგდო ორი.

აი, ეგრეთია სიმართლე. კიდე მოგწერდით, მაგრამ ეხლა მუთაქა ვანოი მივყვები ტრაქტორზე „პაჩებნიკია" გამოსაცვლელი. არ ინაღვლოთ, კიდე მოგწერთ.

თქვენი
ვუვუზაანთ კაკოი

www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !

BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
ვაჟიანის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

E ჯგუფი

# აფრიკამ ვერც აქ გაიბრწყინა

14 ივნისი. ბლუმფონტეინი.
ფრი სტეიტი. 30 620 მაყურებელი

**იაპონია-კამერუნი 1:0**

**იაპონია (4-2-3-1):** კავაშიმა - კომანო, ნაკაზავა, ტანაკა, ნაგატომო - ანდო, აბე - ჰასებე (88. ინამოტო), ოკუბო (82. იანო), მაცუი (69. ოკაზაკი) - ჰონდა.

**კამერუნი (4-3-3):** სულეიმანუ - მბია, ნკულუ, ბასონგი, ასუ-ეკოტო - მაკუნი (75. ჯერემი), მატიპი (54. ემანა), ენო - მოტინგი (76. იდრისუ), ეტოო, ვებო.

**გოლები:** 1:0 ჰონდა (39)

**მატჩი დაიწყო:** კამერუნი; **დარტყმა:** 3(3)-7(3); **ჯარიმა:** 18-28; **კუთხური:** 0-3; **გაფრთხილება:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენშა (პორტუგალია)

**საინტერესო მომენტები**

37' - **ბასონგმა** მიიღო საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი, ძლიერად დაარტყა, თუმცა იაპონელთა მეკარემ იმარჯვა.

38' - იაპონელებმა მარჯვენა ფლანგიდან შეუტიეს, ჩაწოდების შემდეგ ბურთი კამერუნელ მცველებს გადააფრინდა და **ჰონდას** მიუვიდა, მისი დარტყმული უზადო გამოდგა და 1:0.

49' - **სამუელ ეტოომ** აიღო თამაში საკუთარ თავზე, მარჯვენა ფლანგზე ერთბაშად სამ ფეხბურთელს აუარა გვერდი და **მოტინგის** შესანიშნავი პასი მისცა, ამ უკანასკნელის დარტყმული კი მცირე მანძილით ასცდა იაპონელთა კარს.

80' - **ჰასებემ** დაარტყა საშუალო დისტანციიდან, კამერუნელთა მეკარემ ნახტომში მოიგერია ბურთი.

85' - კამერუნელმა **მბიამ** შორიდან დაარტყა უძლიერესად და ხარიხა შეაზანზარა.



სანახაობრივი თვალსაზრისით, შეხვედრა მეტად მწირი და ღარიბი გამოდგა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ პირველად კარის მიმართულებით ფეხბურთელებმა 37-ე წუთზე დაარტყეს. ეს კამერუნელმა ბასონგმა გააკეთა და ცოტა რომ გამართლებოდა, შეეძლო ანგარიშიც კი გაეხსნა. თუმცა, სულ რაღაც ერთ წუთში უკვე საპირისპირო კართან შეიქმნა მომენტი და პირველი გოლიც გავიდა - ჰონდა ყველაზე უკეთ გაერკვა ვითარებაში და კამერუნელებს მატჩის ერთადერთი გოლი გაუტანა.

მუნდიალის დაწყებამდე, ექსპერტები და სპეციალისტები აცხადებდნენ, რომ ორივე გუნდი გამოცანა გახლავთ. იაპონელებზე შეგვიძლია გავიზიაროთ ეს მოსაზრება, მაგრამ, აი კამერუნის ნაკრებზე რა მოგახსენოთ - პრინციპში, რასაც ველოდით, ის ვიხილეთ. ფაქტია, რომ ეს ის კამერუნი აღარ არის, რომელმაც 1990 წლის მუნდიალზე მთელი მსოფლიო აალაპარაკა. და საერთოდ, როდესაც საუბარია იმაზე, რომ რომელიმე აფრიკულმა გუნდმა ციდან ვარსკვლავები უნდა მოწყვიტოს და მინიმუმ ნახევარფინალს უწიოს, სიმართლე გითხრათ, ცოტა გვიკვირს კიდეც. ჯერჯერობით ვერ ვხედავთ ასეთ გუნდს და ასეთ აფრიკულ პოტენციალს. ვიმეორებთ, ჯერჯერობით, რადგან კოტ დივუარი გვყავს სანახავი.

კამერუნელთა თავკაცმა **პოლ ლე გუენმა** გუნდი 4-3-3 ტაქტიკით განალაგა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ აფრიკელებს ზემტევი ფეხბურთი უნდა ეთამაშათ. ვერ ვიტყვით, რომ კამერუნი დაცვაზე იყო ორიენტირებული, მაგრამ ვერც ის ვიხილეთ, რისი მოლოდინიც გვქონდა. დარჩა შთაბეჭდილება, რომ კამერუნი შეუთამაშებელი გუნდია და ფეხბურთელებს ერთმანეთის არ ესმით. თავისთვის თამაშობდა სამუელ ეტოო, თითქოს მოწყვეტილი იყო გუნდს, რამაც აშკარად შეუშალა ხელი შესაძლებლობების გამოვლენაში. მხოლოდ ერთხელ გაიბრწყინა, როდესაც მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა, ერთბაშად სამი მცველი ჩამოიცილა და გამოზომილი გადაცემა გააკეთა - თუმცა, პარტნიორმა ვერ დაუფასა გარჯა და არაზუსტად დაარტყა. ეს იყო და ეს, დანარჩენ შემთხვევებში „ინტერის“ ფორვარდი სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა.

იაპონელებმა ტრადიციულად ბევრი იშრომეს და მოედნის თითოეულ მონაკვეთზე თავგამოდებით იბრძოლეს. აზიელებმა მობილური და მოძრავი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, თუმცა კრეატივი და ტექნიკური არსენალი აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებდა. ამ მხრივ, იაპონელებმა წინა მუნდიალებზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს, თუმცა ჯერ კიდევ წინ არის როგორც მინიმუმ ჯგუფური ეტაპის ორი შეხვედრა და ვნახოთ, იქნებ ამ კუთხითაც გაიხსნან. მთლიანობაში, ნორმალურად ითამაშეს და ალბათ დაიმსახურეს კიდეც გამარჯვება.

**საუკეთესო ფეხბურთელი**

კეისუკე ჰონდა (იაპონია)

**ვერ ვიტყვით, რომ ჰონდამ საოცარი ფეხბურთი გვიჩვენა, მაგრამ სხვებისგან მაინც გამორჩეული გახლდათ. სწრაფია, ბურთს ძალიან კარგად ფლობს და ნებისმიერ შანსს იყენებს იმისთვის, რომ კარში დაარტყას. თანაც, საკმაოდ კარგ დარტყმას ფლობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა და თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა. კამერუნელთაგან საუკეთესო მბია გახლდათ, ბევრი იშრომა დაცვით ფაზაში და როდესაც მიხვდა, რომ თავდამსხმელებს არაფერი გამოსდიოდათ, შეტევაშიც გაიჭრა. ერთხელ ახლოსაც იყო გოლთან, თუმცა მისი დარტყმული ხარიხამ აისხლიტა.**

**მატჩის შემდეგ**

პოლ ლე გენი (კამერუნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„დაცვის თამაშით მთლიანობაში კმაყოფილი დავრჩი, თუმცა ერთი შეცდომა დავუშვით და ეს მატჩის წაგებად დაგვიჯდა. მაგრამ, ასეთი შეცდომისგან არავინაა დაზღვეული და ჯობდა, შეტევაში გვეთამაშა გაცილებით უფრო აქტიურად. ტაქტიკა-სტრატეგია შესაბამისი შევარჩიე, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. სამუშაო ბევრია და ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ საამისო დრო დღეს უბრალოდ არ გვაქვს. წინ კიდევ ორი მატჩია და ჯგუფიდან გასასვლელად ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ“.**

ლაშა წიკლაური

ურუგვაი



დიეგო ფორლანი

# ფორლანი: ყველაფერი იდეალურადაა

ურუგვაი-საფრანგეთის მატჩის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა **დიეგო ფორლანი** იყო. ურუგვაელთა ასპარეზობას გულმოდგინედ ადევნებს თვალს დიეგოს მამა **პაბლო ფორლანი**, რომელიც თავის დროზე ასევე ცნობილი ფეხბურთელი და ნაკრების წევრი იყო. *„როცა ჩემი შვილი კარგ ფორმაშია, მის გუნდს ბევრის მიღწევა შეუძლია. ახლა სწორედ ეს ბედნიერი მომენტია“*, - ამბობს უფროსი ფორლანი.

მამამისით დიეგოც ამაყობს: *„მამაჩემის უდიდესი დამსახურებაა, რომ მე დღეს ასეთი ცნობილი ფეხბურთელი ვარ. მან 1966 და 1974 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე მიიღო მონაწილეობა, ეს მუნდიალი ჩემთვისაც მეორეა და ვეცდები, ურუგვაელ ხალხს დიდი სიხარული ვაჩუქო“.*

დიეგოსთვის პირველი კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, სადაც ურუგვაის ნაკრები ჯგუფში ჩარჩა, თავად ფორლანი კი მაშინ სულაც არ მიეკუთვნებოდა გუნდის წამყვან მოთამაშეთა რიცხვს (თუმცა კი სენეგალის ნაკრების კარში მაინც შეძლო გოლის გატანა). *„მას მერე რვა წელიწადი გავიდა და ბევრი რამ შეიცვალა. ახლა მაშინდელზე გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა დამეკისრა, მაგრამ ეს არ მაშინებს. საკმარისი გამოცდილება მაქვს იმისთვის, რომ ასეთ მნიშვნელოვან მომენტებში ჩემს გუნდს მაქსიმალურად გამოვადგე“*, - ამბობს დიეგო, რომელსაც ურუგვაის ნაკრების მთავარ კოზირად არა მაღალი დონის შემსრულებელთა სიმრავლე, არამედ ძლიერი კოლექტიური თამაში მიაჩნია. *„შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ყველაფერი იდეალურად გვაქვს. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სრულყოფილად მოვემზადეთ და მეორე ტურში კიდევ უფრო ხარისხიან ფეხბურთს ვითამაშებთ. სირთულეების გადალახვას კი მიჩვეულნი ვართ. იოლად არც მუნდიალის საგზური მოგვიპოვებია. შესარჩევი ტურნირის ბოლომდე გაურკვეველი იყო, შევძლებდით თუ არა სამხრეთ აფრიკის საგზურის მოპოვებას, მაგრამ დიდი საბრძოლო სულისკვეთება გამოვავლინეთ და მიზანს მივაღწიეთ“.*

ფორლანს თავისი გუნდის პროგრამა-მინიმუმად მუნდიალის მერვედფინალში გასვლა მიაჩნია: *„ჯერ ჯგუფური ეტაპი უნდა დავძლიოთ, მერე კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს. დიდი ხანია, ურუგვაულ ფეხბურთს განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევია და ჩვენს თაობას ყველა მონაცემი აქვს იმისთვის, რომ ნავსი გატეხოს. ცხადია, ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ამის ძალა მაინც შეგვწევს“.*

ლევან ჯანეზაშვილი

აშშ



ლენდონ დონოვანი ინგლისელებთან ერთ-ერთი საუკეთესო იყო

# ელოდეთ სიურპრიზებს!

ამერიკელთა ლიდერი **ლენდონ დონოვანი** მიიჩნევს, რომ ინგლისთან მიღწეული ფრე მისი გუნდის სამხრეთაფრიკული წარმატების მხოლოდ დასაწყისია. *„ვამაყობ იმ შემართებით, რომელიც მე და ჩემმა თანაგუნდელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის სასტარტო მატჩში გამოვავლინეთ. დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ამაზე გაცილებით მეტს მივაღწევთ. ძალიან ძლიერ მეტოქეს ტოლი არაფერში დავუდეთ და ქულა დამსახურებულად მოვიპოვეთ. ზოგი ამბობს, რომ იოლ ჯგუფში მოვხვდით და მერვედფინალში გასვლა არ უნდა გაგვიჭირდეს, მაგრამ ასე ნამდვილად არაა. სლოვენიაც და ალჟირიც ანგარიშგასაწევი მონინაალმდეგეები არიან და თუ მათთანაც ისევე არ დავიხარჯეთ, როგორც ინგლისთან, ჯგუფიდან გასვლას ვერ შევძლებთ. თუმცა საბედნიეროდ, მეტოქეები კარგად გვყავს შესწავლილი, ამასთანავე, საკუთარ შესაძლებლობებსაც შესანიშნავად ვიცნობთ და სწორედ აქედან გამომდინარე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჯგუფურ ეტაპს დავძლევთ“.*

დონოვანმა არც ინგლისის ნაკრების მიმართ დაიშურა კომპლიმენტები: *„დარწმუნებული ვარ, ინგლისელები ამ ჩემპიონატზე შორს წავლენ. ეს არის სოლიდური გუნდი, რომელიც ნიჭიერი ფეხბურთელებითაა სავსე. ინგლისის ნაკრებს ყველა რგოლში ჰყავს მსოფლიო დონის ვარსკვლავები. დარწმუნებული ვარ, ფაბიო კაპელოს გუნდი შემდეგ მატჩებში გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას დატოვებს“.*

ეს მუნდიალი დონოვანისთვის მესამეა. კორეა-იაპონიაში ამერიკის ნაკრებთან ერთად მან მეოთხედფინალამდე მიაღწია, სადაც მომავალ ვიცე-ჩემპიონ გერმანიასთან დამარცხდა, ოთხი წლის შემდეგ კი აშშ-ის ეროვნულმა გუნდმა ჯგუფიდან გასვლა ვერ შეძლო, მაგრამ გერმანიაში ერთი ხეირიანი მატჩი მაინც ჩაატარა, ეთამაშა რა ფრედ მომავალ ჩემპიონ იტალიას.

ლენდონის ოცნებაა, მესამე ჩემპიონატზე თავისი ქვეყნის ნაკრებთან ერთად უწინდელებზე დიდ წარმატებას მიაღწიოს: *„კარგად ვიცი, რომ ამის მიღწევა ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ინგლისთან შეხვედრაში დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერ ფავორიტთან ტოლსწორად ბრძოლა შეგვიძლია. ასე რომ, ჩემი გუნდისგან კიდევ ელოდეთ სიურპრიზებს“.*

ლევან ჯანეზაშვილი

ამბები

## რეჰაგელი: შეცდომებს გამოვასწორებთ

საბერძნეთის ნაკრების თავკაცი ჯერაც არ კარგავს იმის იმედს, რომ სასტარტო მატჩში განცდილი მარცხის მიუხედავად, მისი გუნდი ჯგუფიდან გასვლას შეძლებს. *„შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და მის გამოყენებას ბოლომდე შევეცდებით. ძალიან კარგად ვიცი, რატომ დავმარცხდით სამხრეთ კორეასთან და დარწმუნებული ვარ, მომავალ შეხვედრაში მასთან დაშვებულ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ“*, - აცხადებს **ოტო რეჰაგელი**. საბერძნეთის ნაკრები მომდევნო მატჩს 17 ივნისს, ნიგერიასთან ჩაატარებს.

## ბუფონი გრინს თანაუგრძნობს

*„მინდა, მას მხარდაჭერა გამოვუცხადო. ვიმედოვნებ, მსგავსი რამ მე სიზმარშიც კი არ შემემთხვევა. ასეთი შეცდომა ნებისმიერ მეკარეს შეიძლება მოუვიდეს, მაგრამ კარგი იქნება, ეს მაინცდამაინც მსოფლიოს ჩემპიონატზე თუ არ დაემართება“*, - ამ სიტყვებით სცადა იტალიის ნაკრების მეკარე **ჯანლუიჯი ბუფონმა** ინგლისელი კოლეგის, **რობერტ გრინის** დამშვიდება.

## ეს გუნდი არ არის

**ზინედინ ზიდანმა** საფრანგეთის ნაკრები და **რაიმონ დომენეკი** საჯაროდ გააკრიტიკა: *„დომენეკი ნაკრებში სიტუაციას ვერ მართავს. ვფიქრობ, ამაზე გაჩუმება აღარ ღირს. მთავარი ის კი არაა, რომ იგი შემადგენლობას არასწორად არჩევს, ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას გუნდური თამაშის არქონა წარმოადგენს, რაც უპირველეს ყოვლისა, სწორედ მწვრთნელის ბრალია. ურუგვაისთან მატჩში საფრანგეთს მოედანზე გუნდი არ ჰყავდა, ჩვენმა ნაკრებმა ყველა სახიფათო მომენტი ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე შექმნა“.*

ლევან ჯანეზაშვილი

პარლამენტის ბიბლიოთეკა

ინგლისი

# დამარცხება კინგში

« მე-5 გვერდიდან

რასაკვირველია, კინგის გამოკლება სხვა არაფერია თუ არა ის, რაც ზემოთ ვთქვით - დაცვაში კრიზისის გაღრმავება. ინგლისელებმა პირველი დარტყმა ხომ სამხრეთ აფრიკაში ჩასვლისთანავე ინვნიეს, როდესაც ვარჯიშზე **ემილ ჰესკისთან** შეჯახების გამო, **რიო ფერდინანდი** დაშავდა და სამშობლოში დაბრუნება მოუხდა. ბედის ირონიით ფერდინანდს უშუალოდ მისი შემცვლელიც მიჰყვა, რასაც მხოლოდ დიდი უილბლობა შეიძლება ვუწოდოთ.

*„ეს ზუსტად მაშინ მოხდა, როდესაც სტივენ ჯერარდმა გოლი გაიტანა, - უამბო ჟურნალისტებს ტერიმ, - ლედლი მომიტრიალდა და მითხრა, რომ ბარძაყში ძლიერ ტკივილს გრძნობს. ვერ გეტყვით, რამდენი ხანი დასჭირდება მას გამოჯანმრთელებისთვის, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის უახლოეს შეხვედრებში მოედანზე დაბრუნება რომ გაუჭირდება, ფაქტია. შემდეგ მოედანზე კარა შემოვიდა და კინგის ადგილი ღირსეულად დაიკავა, მაგრამ მანამდე, ვფიქრობ, მე და ლედლი ჩინებულად ვუგებდით ერთმანეთს“.*

მიუხედავად იმისა, რომ ჯეიმი კარაგერს დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს და ზოგადადაც მრავლისმნახველი ფეხბურთელია, კინგის გამოკლება, საყოველთაო აზრით, კაპელოს დიდ პრობლემას შეუქმნის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ლივერპულელი კარაგერი ძველებურად სწრაფი აღარ არის, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ბევრი გამორჩეული სისწრაფის ფორვარდია, რომლებთანაც მას გამკლავება დასჭირდება. სწორედ მას გაუსწრო ამერიკელმა თავდამსხმელმა **ჯოზი ალტიდორმა** მეორე ტაიმში, როდესაც შეხვედრის ანტიგმირმა **რობერტ გრინმა** იხსნა გუნდი მეორე გოლის გაშვებისგან. კარაგერის გარდა ინგლისს შეუძლია **მეტიუ აპსონსა** და **მაიკლ დოუსონს** დაეყრდნოს.

**ილია ბაბუნაშვილი**

არგენტინა

# მესი: უჩვეულო პოზიციაზე სხვანაირი ბურთით

მსოფლიოს ჩემპიონატის ბურთის შესახებ ბევრმა ვარსკვლავმა გამოთქვა კრიტიკული მოსაზრება. გუშინდელი დღიდან მათ რიცხვს არგენტინის ნაკრების ლიდერი **ლიონელ მესიც** შეუერთდა. ლეომ თქვა, რომ ახალი ბურთი მასაც არ მოსწონს და ეუცხოება.

*„პირველივე თამაშში (ნიგერიასთან, 1:0) შევამჩნიე, რომ ბურთი ძალზე სხვანაირია. ვფიქრობ, ის პრობლემურია არა მარტო მეკარეებისთვის, არამედ ჩვენთვის, მინდვრის ფეხბურთელებისთვისაც. იმედი მაქვს, ამ ბურთს მალე შევეჩვევი, რადგან სხვა გზა არც მაქვს, ბურთს ხომ არავინ შეცვლის“,* - განაცხადა მესიმ პრეტორიაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

მესი ნიგერიასთან თავისი თამაშით უაღრესად კმაყოფილი დარჩა. *„ჩემთვის ცოტათი უჩვეულო პოზიციაზე ვითამაშე, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარ. დიეგო მარადონამ შედარებით უკან დამხია და უფრო გამთამაშებლობა დამავალა, მთხოვა, უფრო ნახევარმცველი იყავი, ვიდრე თავდამსხმელიო. დიეგო მოედანზე სრულ თავისუფლებას მანიჭებს, რაც ძალიან კარგია. ნიგერიელებმაც მომცეს იმის საშუალება, რომ ჩემს სტილში მეთამაშა,“* - აღნიშნა 22 წლის ლეომ.

მესი ზოგადად არგენტინის ნაკრების თამაშითაც კმაყოფილი დარჩა. მისი აზრით, „ალბისელესტემ“ კინაღამ ჩაგდებული შესარჩევი ეტაპის შემდეგ უდიდესი პროგრესი განიცადა და ახლა სულ სხვა გუნდია - გუნდი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება შეუძლია.

**გოტფრიდ ლენცი**

კამათის საგანი

# ბურთი კი არა, საშინელებააო...

გერმანული „ვოლფსბურგისა“ და ალჟირის ნაკრების ნახევარმცველმა **ქარიმ ზიანიმ** მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური ბურთი „ჯაბულანი“ გააკრიტიკა: *„ეს ბურთი კი არა, უბრალოდ, საშინელებაა. არ მესმის, როგორ გასცეს ასეთი ბურთით მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის ნებართვა. ცდილობ მის მიღებას, დამუშავებას და სულ სხვა მხარეს ხტის. ჩემპიონატზე თავდამსხმელებს თავი ხეირიანად რომ არ გამოუჩენიათ, ეს სწორედ „ჯაბულანის“ ბრალია, რადგან ამ ბურთით ფორვარდი ვერც მცველის მოტყუებას ახერხებს და ვერც ნორმალურად დარტყმას. „ჯაბულანი“ გამუდმებით იცვლის მიმართულებას და ტრაექტორიას. ერთი სიტყვით, ის ფეხბურთისთვის უვარგისია“.*




მართლა ასეთი კოშმარულია ჯაბულანი?

ზიანის მოსაზრებას კატეგორიულად არ იზიარებს „ჯაბულანის“ მწარმოებელი „ადიდასის“ წარმომადგენელი **თომას შაიკვანი:** *„ახალი ბურთით ძალიან კმაყოფილები ვართ. ჩემპიონატზე უკვე რამდენიმე მატჩი გაიმართა და საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ უმაღლესი დონის პროდუქტი შევქმენით. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ინგლისის ნაკრების მეკარემ გოლი „ჯაბულანის“ გამო გაუშვა, ძალიან ცდება. ყველას ვურჩევ, არგენტინა-ნიგერიის შეხვედრა გაიხსენოს, სადაც ნიგერიელთა გოლკიპერმა რამდენიმე რთული დარტყმა მოიგერია. ასე რომ, ახალი ბურთი მეკარეებს საკუთარი ოსტატობის გამოვლენაში ხელს ოდნავადაც არ უშლის. ფეხბურთელები „ჯაბულანის“ უკვე ეჩვევიან. ჩვენს კრიტიკოსებს კი ვეტყვი, რომ „ადიდასი“ ბურთებს 1963 წლიდან აწარმოებს და „ჯაბულანი“ ჩვენ მიერ შექმნილი საუკეთესო ბურთია“.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

G ჯგუფი



დუნგა: აკი სტილი დავკარგეთო?

# რით სჯობს ჩრდილოეთ კორეის ნაკრები ბრაზილიას?

« მე-3 გვერდიდან

ძალებთან ერთად ამ გუნდების ისტორიაც მეტად არათანაბარია - თუკი ბრაზილიის ნაკრებმა წინა 18-ვე მუნდიალზე იასპარეზა და აქედან ხუთი მოიგო, კომუნისტური კორეა სულ რაღაც მეორედაა მუნდიალზე, 1966 წელს გუნდმა ჯგუფური ეტაპი გაიარა, თუმცა მეოთხედფინალში პორტუგალიის ნაკრებთან 3:5 წააგო.

ბრაზილიის ნაკრები მე-6 ტიტულისთვის ბრძოლას იწყებს, გუნდი ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. **დუნგას** გუნდს ხშირად აბრალებენ, რომ ის ტრადიციულ, ბრაზილიური ფეხბურთის სტილს ღალატობს. თუმცა ეს დუნგასა და მის შეგირდებს ნაკლებად ადარდებთ.

სხვათა შორის, მთლად უიმედოდ არ არის კორეელთა თავკაცი **ან იონ ჰაკი:** *„ვიცით, რომ ბრაზილიის ნაკრების ყველა ფეხბურთელი გამორჩეული ვარსკვლავია. ვიცით, რომ ბრაზილიის ნაკრებს თითქმის არა აქვს ნაკლი, ვიცით, რომ ჩვენი შანსები სულაც არ არის დიდი, მაგრამ წინასწარ დამარცხებულები სულაც არ ვართ - გამარჯვებულის მენტალობა, ორგანიზებულობა და ბრძოლაში ერთსულოვნება - ეს ის თვისებებია, რაც, ჩემი აზრით, ჩვენ ბრაზილიაზე მეტი გვაქვს“.*

ამას ამბობს იმ ნაკრების მწვრთნელი, რომლის გუნდიც ფიფას რეიტინგში 105-ე ადგილზეა, მეტოქედ კი პირველი გუნდი ჰყავს.

სელესაოს ტრავმები თითქმის არ აწუხებს. ჯერჯერობით კიდევ არის ეჭვქვეშ გოლკიპერ **ჟულიო სეზარის** თამაში, რომელმაც ტანზანიასთან სპარინგში დაიზიანა ხელი. თუკი „ინტერის“ გოლკიპერი ვერ გამოჯანმრთელდება, მის ადგილს კარში გომეში დაიკავებს. ტანზანიასთან გამორჩეულმა **რამირესმა** შეიძლება სასტარტო შემადგენლობას გამოჰკრას ხელი. რა ხდება ჩრდილოეთ კორეელთა ბანაკში, არავინ უწყის.

სხვათა შორის, დუნგას ნაკრები ყველაზე გამოცდილია მუნდიალზე - ბრაზილიის ნაკრების საშუალო ასაკია 29 წელი და 60 დღე, ხოლო ჩრდილოეთ კორეის გუნდი ყველაზე ახალგაზრდული - 25 წელი და 140 დღე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

F ჯგუფი

# თუ სლოვაკებს რამე უნდათ...

15 ივნისი. რუსტენბურგი.
როიალ ბაფოკენგი. 15:30

**ახ. ზელანდია-სლოვაკეთი**

სავარაუდო შემადგენლობები

**ახ. ზელანდია:** პასტონი - რეიდი, ნელსენი, სმიტი, სიგმუნდი - კილენი, ვისელიჩი, კრისტიე, ბერტოსი - სმელცი, ფალონი.

**სლოვაკეთი:** მუჩა - პეკარიკი, შკრტელი, დურიცა, ჩეხი - ვეისი, შტრბა, ჰამშიკი, შტროხი - ვიტეკი, შეშტაკი.

**არბიტრი:** ჯერომ დეიმონი (სამხ. აფრიკა)

გავუსწოროთ თვალი რეალობას და ვაღიაროთ, რომ ფეხბურთის გულშემატკივრებში ეს მატჩი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იწვევს. არც სლოვაკეთისგან და არც ახალი ზელანდიისგან დიდ შედეგებს არავინ ელოდება. F ჯგუფში ფავორიტებად იტალიის და პარაგვაის ნაკრებები მიიჩნევიან და საყოველთაო მოლოდინით, მერვედფინალში სწორედ ეს გუნდები უნდა გავიდნენ. თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ სლოვაკებმა შესარჩევ ეტაპზე ბრწყინვალედ იასპარეზეს, მათი ასე ერთი ხელის მოსმით ჩამოწერა მაინც ნაადრევი გვგონია.

სლოვაკები კარგ ფორმაში არიან და ამაზე მათ მიერ გამართული ბოლო ამხანაგური შეხვედრა მეტყველებს. ევროპელებმა კოსტა რიკის ნაკრები გაანადგურეს 3:0-ზე და მთლიანობაში, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. გუნდის უდავო ლიდერი **მარეკ ჰამშიკია,** რომელიც იტალიის სერია A-ში ასპარეზობს და „ნაპოლის“ ღირსებას იცავს. სლოვაკების მთავარი კოზირი ორგანიზებული თამაში და გუნდური სულისკვეთებაა. აი, რას ამბობს გუნდის ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი ჰამშიკი:

*„სამხრეთ აფრიკაში ტურისტების რანგში ნამდვილად არ ჩამოვსულვართ და გვსურს, რაც შეიძლება მაღალ შედეგს მივაღწიოთ. ჩვენი უმთავრესი ამოცანა ჯგუფიდან გასვლაა, შემდეგ კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მერწმუნეთ, ამის ძალა ნამდვილად შეგვწევს“.*

ახალ ზელანდიაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით - მაისში ავსტრალიის კონტინენტის წარმომადგენლებმა ამხანაგურ პაექრობაში სერბებს აჯობეს, 1:0 დაამარცხეს და თითქოს ძალის დემონსტრირებაც მოახდინეს. თუმცა, მაინც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ გუნდმა ხმაურიანი სენსაცია შემოგვთავაზოს.

**ლაშა ნიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

ზესტაფონი. შეჯამება

## გია გეგუჩაძე

# დაცვა და თავდასხმა უნდა გავაძლიეროთ

**სეზონის შეფასება დეტალებში, ამჯერად მთავარი მწვრთნელის მხრიდან. აზრი ახალწვეულებზე და სამომავლო გეგმები, „დინამოს“ ბრალდება და მიზანი ევროტურნირებზე - „ზესტაფონის“ თავკაც გია გეგუჩაძეს ამ და სხვა საინტერესო თემებზე გავესაუბრეთ.**

**- საუბარი გასული სეზონის შეფასებით დავიწყოთ. კმაყოფილი ხართ?**

- კმაყოფილი ვერ ვიქნები, რადგან მეტის მიღწევა გვსურდა და არ გამოგვივიდა. ასე რომ, ჩემი გუნდის ასპარეზობას ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაზე დადებითად ვერ შევაფასებ.

**- მაინც, რატომ ვერ განახორციელეთ მიზანი - რა ფაქტორებს დაასახელებდით, ტრავმებს, მსაჯობას, საქართველოში მოედნების ცუდ მდგომარეობას...**

- მიზეზი არაერთია, მაგრამ მიზეზებზე ყურადღების გადატანა არ მჩვევია. ამაზე გუნდთან და ჩემს შტაბთანაც მქონდა საუბარი და ყველას ვუთხარი, მიზეზი ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ-მეთქი. ყველა მიზეზის დაძლევა და უკეთესი შედეგის ჩვენება შეგვეძლო, უბრალოდ, ხასიათის მეტი სიმტკიცე გვჭირდება. ამასთან, ყველა თამაშზე მეტი მოტივაციაა საჭირო, ამის გამო ბევრი დაუგეგმავი ქულა დავკარგეთ. ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენში მოედნების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის. ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩანაფიქრის განუხორციელებლობის მიზეზები საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ.



**- გასული ჩემპიონატისთვის გადამწყვეტი უმთავრესად „ოლიმპთან“ თქვენი გუნდის საშინაო მატჩი იყო, რომელიც მომხდარი ინციდენტის გამო არბიტრმა შეწყვიტა და შეხვედრა არ დასრულებულა. მაინც რა მოხდებოდა, იმ მატჩის არბიტრ გიორგი ვადაჭკორიას შეხვედრა რომ ჩაემთავრებინა?**

- ვფიქრობ, თამაშის გაგრძელება არბიტრის მხრიდან სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა.

**- ამით თუ შეიცვლებოდა სატურნირო ცხრილი? ის მატჩი რომ მოგეგოთ, მაშინ რა იქნებოდა?**

- შეიძლება ფრე ყოფილიყო, შეიძლება მოგვეგო კიდეც, გადაჭრით ძნელია რამის თქმა... ის ინციდენტი რომ არ მომხდარიყო, სამი საკვანძო ფეხბურთელი დისკვალიფიკაციის გამო არ გამოგვაკლდებოდა. ამ მოთამაშეების დისკვალიფიკაციით სერიოზული დანაკლისი განვიცადეთ.

**- რომელი მატჩები დაგამახსოვრდათ კარგად და ცუდად. ვგულისხმობ როგორც შედეგს, ასევე გამართულ, სწორ თამაშს...**

- ჩვენს თამაშში არაერთი კარგი და ცუდი მომენტები ყოფილა. იყო მატჩები, რომელშიც თამაშის ხარისხი და შესრულება ძალიან მაღალი იყო, მაგრამ ვერ მოვიგეთ. უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ. ამის მაგალითად „ლოკომოტივთან“ ჩატარებული მატჩები შემიძლია დავასახელო. ზოგ მატჩში ცუდად ვითამაშეთ. ასეთთა შორის უმთავრესად „ვიტ ჯორჯიასთან“ თასის საპასუხო შეხვედრას დავასახელებდი.

**- გასულ სეზონში დუბლშემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელმა არაერთი მატჩი ჩაატარა მთავარ გუნდში. მათ გარჯას როგორ შეაფასებდით?**

- ჩვენი კლუბის პოლიტიკიდან გამომდინარე, ახალგაზრდებს ყოველთვის მიეცემათ მთავარ გუნდში თავის გამოჩენის შესაძლებლობა. თუმცა ეს მათ სწორად უნდა აღიქვან და გაიგონ. ეს მათთვის სტიმული და ავანსად გაცემული იმედია, რომელიც დიდი შრომით უნდა გაამართლონ. ისინი ახლა ყალიბდებიან, უკეთეს დონეზე შეუძლიათ თამაში და მათგან მომავალში მეტს ველით.

**- განვლილ ჩემპიონატში მსაჯობას როგორ შეაფასებდით?**

- მომიტევეთ, მაგრამ მსაჯობაზე არ მიყვარს ლაპარაკი.

**- დასრულდა სეზონი და 4 ფეხბურთელი გამოგაკლდათ, კორღალიძე, გამეზარდაშვილი, მჭედლიშვილი და კაჭკაჭიშვილი. რამდენადაც მახსოვს, ყველა მათგანის საკონტრაქტო ვადა არ ამოწურულა...**

- ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გავწყვიტეთ მათთან კონტრაქტები.

**- ორი ფეხბურთელი დაიმატეთ - ნახევარმცველი შოთა ბაბუნაშვილი და თავდამსხმელი გოგი ფიფია. ახალწვეულებზე რას გვეტყოდით?**

- მათ სრულ ნდობას ვუცხადებთ და საკმაოდ დიდ იმედებს ვამყარებთ. ბაბუნაშვილსა და ფიფიას კარგად ვიცნობ. მათ უკეთეს დონეზე შეუძლიათ თამაში, ვიდრე ეს აქამდე იყო. თუმცა აქვე ვიტყოდი იმასაც, რომ ჩვენს გუნდში დიდი კონკურენციაა და სასტარტო შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად მათაც ბრძოლა მოუწევთ. ერთი სიტყვით, კარგი ფეხბურთელები დავიმატეთ, როგორც მოთამაშეები, ასევე პიროვნულადაც, ორივე მტკიცე ხასიათის მოთამაშეა და ამ კონკურენციაში ბოლომდე იბრძოლებენ.

**- ოთხი ფეხბურთელი გამოგაკლდათ და ორი დაიმატეთ. ალბათ ამით არ დასრულებულა „ზესტაფონის“ გაძლიერება. კიდევ რა პოზიციაზე აპირებთ მოთამაშეების დამატებას?**

- დიახ, ამ ორი ფეხბურთელის შემატებით გუნდის გაძლიერება არ დასრულებულა. ვთვლი, რომ ამ ეტაპზე, ჩვენი გუნდის შუა ხაზი საკმაოდ ძლიერია. ნახევარდაცვაში თითო პოზიციაზე ორი ფეხბურთელი გვყავს და ყველა მათგანს სრულფასოვნად შეუძლია მეორის შეცვლა. ჩემი აზრით, თავდასხმისა და დაცვის ხაზში გაძლიერება გვჭირდება.

**- ალბათ უკვე შეიგულეთ ფეხბურთელები. ავსტრიაში, მოსამზადებელი შეკრების განმავლობაში ახალი მოთამაშეები ხომ არ შემოგიერთდებიან?**

- შეგულებული არავინ გვყავს, ძიების პროცესში ვართ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ავსტრიაში აგენტებმა ფეხბურთელები შემოგვთავაზონ. სასურველია, რომ ქართველი ფეხბურთელი დავიმატოთ, თუმცა უცხოელსაც არ გამოვრიცხავ. იმასაც გეტყვით, რომ ჯერჯერობით არავისთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას.

**- გავრცელებული ხმების მიხედვით, „ზესტაფონში“ მცველი დავით გიგაური და ნახევარმცველი ზვიად ჩხეტიანი შეიძლება გამოჩნდნენ...**

- გიგაურზე არ გვიფიქრია, ზვიად ჩხეტიანი რამდენიმე დღის განმავლობაში ვარჯიშობდა ჩვენს გუნდში, მაგრამ ამ ეტაპზე უარი ვთქვით მის დამატებაზე.

**- ავსტრიაში 2 კვირით იდეალურ პირობებში მომზადება და 4 საკონტროლო მატჩი ძლიერ სპარინგებთან. წესით, „ზესტაფონს“ ეს მოსამზადებელი შეკრება დიდად უნდა წაადგეს...**

- გეთანხმებით, კარგი პირობები, ძლიერი სპარინგები... შევეცდებით, ეს პერიოდი მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ამხანაგური მატჩებისთვის ძლიერი სპარინგები შეგნებულად ავირჩიეთ, რადგან ასეთ მეტოქესთან ნათლად ჩანს გუნდის სუსტი და ძლიერი მხარეები.

**- შარშან „ზესტაფონს“ რამდენიმე წამი დააკლდა შვედური ბარიერის გადასალახავად. წელს ევროპის ლიგაზე პირველი მატჩი 1-ელ ივლისს გიწევთ. საკმარისია დრო სათანადოდ მოსამზადებლად?**

- დრო საკმარისია, მაგრამ ვწუხვარ, რომ ფეხბურთელებს მეტი დასვენების საშუალება არ ჰქონდათ. ჩვენს ფეხბურთელებს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში მოუწიათ თამაშმა და სხვებთან შედარებით, დასვენებისთვის დრო ნაკლები დარჩათ. შესაბამისად, ასეთებს ინდივიდუალურად მივუდექით და შესაბამისი პროგრამით ვავარჯიშებთ.

ერთი სიტყვით, მოსამზადებლად დრო საკმარისია, მაგრამ ევროტურნირზე წარმატებით ასპარეზობისთვის, წილისყრაზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ხშირად ვიხსენებთ „ჰელსინკბორგთან“ მატჩებს და მე მგონი ამან ნეგატიურადაც კი იმოქმედა ჩვენს ფეხბურთელებზე. მართალია, შვედებთან კარგად ჩატარებული ამ მატჩების შემდეგ, ჩვენმა ფეხბურთელებმა უფრო ირწმუნეს საკუთარი ძალების. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოთამაშეებს დიდხანს მოუწიათ ამ შთაბეჭდილებების ქვეშ ყოფნამ. ალბათ ამით აიხსნება, ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ გუნდებთან მატჩებში დაკარგული ქულები.

**- დაბოლოს, „დინამოსგან“ წამოსულ ბრალდებაზე მინდა გკითხოთ. მაინც რა ინფორმაციას გაწვდიდათ ფიზმომზადების მწვრთნელი ივო კატუშიჩი მეტოქე ბანაკიდან?**

- კატუშიჩს რა ინფორმაცია უნდა მოეწოდებინა, უმისოდაც კარგად ვიცნობ „დინამოს“ და ვიცი ამ გუნდის შესაძლებლობები... როგორც ფეხბურთელს უმთავრდება კონტრაქტი კლუბთან და მასთან შეიძლება მოლაპარაკებების დაწყება, ვფიქრობ, ისევე შეიძლება მწვრთნელთანაც. მართალი გითხრათ, ამ თემაზე არ მინდა საუბარი. კატუშიჩს დაუსრულდა საკონტრაქტო ვადა და ახალ კლუბთან გააფორმა კონტრაქტი. ეს იყო და ეს.

**დავით ცაბაძე**

კონტაქტის მცდელობა



# რატომ არ შედგა შეხვედრა?

## ყაველაშვილი: რატომ შევხვდე? არ გახსოვთ, ყიფიანსა და ნემსაძეს როგორ მოექცნენ?!

**კვირას** საღამოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა - სამხრეთ აფრიკიდან დაბრუნებულმა ფედერაციის თავკაცებმა საფეხბურთო ოპოზიციის ლიდერთან **მიხეილ ყაველაშვილთან** შეხვედრა გადაწყვიტეს.

როგორც ცნობილია, ყაველაშვილი მოძრაობა „ჩვენი ფეხბურთის“ თავმჯდომარეა. ის სტუმრად იყო მიწვეული ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „სპეციალურ რეპორტაჟში“. გადაცემაში ყაველაშვილმა ბრძანა, რომ ფეხბურთის ფედერაციას სტრატეგია და სამოქმედო პროგრამა არ გააჩნია.

*„რა თქმა უნდა, 1990 წელს ფედერაციის დამოუკიდებლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარეობდა. ეს თითოეული ჩვენგანის ოცნება იყო. თუმცა პროფესიონალები ჩრდილში მოექცნენ და უფრო მნიშვნელოვანი გახდა პოლიტიკური ნება. იმ დროს პროფესიონალები თავიანთ დონეზე ვერ დადგნენ. იგივე პროცესი მოხდა ბალკანეთში, მაგრამ ამ ქვეყნებმა ახალ ცხოვრებას კარგად აუღეს ალღო და წარმატებებსაც მიაღწიეს...*

*...ქართული სამწვრთნელო სკოლა არ არსებობს, ჩვენი ფეხბურთი დაღმასვლით მიექანება და გაურკვეველ, ქაოტურ მდგომარეობაშია. ვისაც ფეხბურთელის აღზრდა ევალება, საკმარისი ცოდნა არ აქვს. დღეს ფეხბურთი მთელ მსოფლიოში დიდი ტემპით ვითარდება, ჩვენ კი 90-იანი წლების შემდეგ უკან-უკან მივდივართ და დღემდე არ ვიცით, რა გვჭირს.*

*...ფედერაციის სამართავად სამი კრიტერიუმის დაკმაყოფილებაა საჭირო: პირველი — სამართლიანობაა, მეორე - პასუხისმგებლობა და მესამე - პროფესიონალიზმი. ჩემი აზრით, დღევანდელი ფედერაცია ამ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს... ფეხბურთის ფედერაციის მიმართ დიდი ხანია კრიტიკულად ვარ განწყობილი, რადგან ვერ ვხედავ სტრატეგიას, სამოქმედო გეგმას, გაუგებარია მათი პასუხისმგებლობა. გადაწყვეტილებები სპონტანურია და არა - სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე. საფეხბურთო სამყარო უსუსურია და ცვლილებების განხორციელება არ ძალუძს.*

*ფეხბურთს კომპლექსური მიხედვა სჭირდება - ჩვენ არ გვაქვს ინფრასტრუქტურა, არ გვყავს მწვრთნელები, იმ დონის ფეხბურთელები, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ მოვხვდეთ. არადა, ფედერაციას მინიმუმ 4-წლიანი სამოქმედო გეგმა უნდა ჰქონდეს, რომ ვიცოდეთ, რა მიმართულებით აპირებს ფეხბურთის განვითარებას.*

*...ვაპირებ თუ არა ფედერაციასთან თანამშრომლობას?! არა, რადგან დასაწყისშივე იყო დაშვებული შეცდომა - არასწორი მოქმედებები. ყველაფრის თავი და თავი არაკომპეტენტურობა და ფეხბურთისადმი არასერიოზული დამოკიდებულებაა. არადა, ბევრი ნიჭიერი ბავშვი გვყავს და ვერ ვზრდით“.*

ფედერაციის ხელმძღვანელობა დაინტერესდა ყაველაშვილის მოსაზრებებით და ფედერაციაში შეხვედრა სთხოვა, რაც ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზეც დაიწერა. მხოლოდ საღამოს დავადგინეთ, შედგა თუ არა საფეხბურთო ხელისუფლება-ოპოზიციის შეხვედრა.

*„ტელეკომპანია „იმედში“ მიხეილ ყაველაშვილის გამოსვლას ფედერაციის ხელმძღვანელებმაც უყურეს და შეხვედრა შესთავაზეს... როგორ? ჩვენი ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით. სამწუხაროდ, ბატონი მიხეილი წინადადებას არ გამოეხმაურა, ფედერაციაში არ მოვიდა და შეხვედრაც არ შედგა“,* - გვითხრა ფედერაციის პიარ-მენეჯერმა **თათია ბურდულმა.**

*გუშინ საღამოსვე მიხეილ ყაველაშვილს დავუკავშირდით:*

**- ფეხბურთის ფედერაციის წინადადება თქვენთვის მიუღებელი იყო?**

- ჯერ უნდა დაერეკათ, შეხვედრა შეეთანხმებინათ და ფედერაციის ინტერნეტგვერდზე განცხადება მერე გამოექვეყნებინათ. სურვილი ერთია და, შეთანხმება საჭირო არ იყო? მე არავინ დამკავშირებია.

**- საერთოდ, აპირებთ თუ არა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან შეხვედრასა და თანამშრომლობას?**

- შეხვედრას? არ ვაპირებ.

**- რატომ?**

- ჟურნალისტებს არ გახსოვთ, შეხვედრას ძველი ფედერაციის ხელმძღვანელებიც რომ ცდილობდნენ? გაუგებარია, ჩემი გეგმების წარდგენას რატომ მთხოვენ? საკუთარ პროგრამას მხოლოდ მაშინ განვახორციელებ, როცა ფედერაციაში ჩემი გუნდით მივალ, ამ ფედერაციას კი საკუთარი სამოქმედო გეგმა უნდა ჰქონდეს. თანამშრომლობა გვსურსო - არც ისე დიდი ხნის წინანდელი წარსული გავიხსენოთ, როგორ მოექცნენ ჩემი გუნდის წევრ ლევან ყიფიანს, რომელმაც ფედერაციასთან თანამშრომლობის სურვილი გამოხატა და რეალური ნაბიჯიც გადადგა, აღარაფერს ვამბობ გიორგი ნემსაძეზე... მერე ისე გამოიყვანეს, თითქოს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მომხდართან კავშირში არ იყო და დელეგატებმა გადაწყვიტეს, ვინ ერჩიათ ფედერაციის აღმასკომში და ვინ - არა. რა, მართლა ასე იყო? სულ ერთი და იგივე ლაპარაკია... იშრომონ და ხალხს საქმე აჩვენონ, მე არავიზე ნაკლებად არ გამიხარდება. მე კი ჩემს პროგრამასა და სტრატეგიას მაშინ წარვადგენ, თუ არჩევნებში მონაწილეობას გადავწყვეტ. ასე არ ხდება, სპონტანურად შევხვდეთ, ვითანამშრომლოთ და ასე შემდეგ. ფეხბურთსა და ურთიერთობებს წესების დაცვა უყვარს. მე სხვის გუნდში თამაშს არ ვაპირებ, ეს საკუთარ გუნდში მირჩევნია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეს მტერი ვარ, პიროვნულად არავის ვეხები და შეურაცხყოფასაც არ ვაყენებ. კრიტიკას მტრობად ტყუილად იღებენ. ჩვენ ერთმანეთს კარგად, პირზე კოცნით ვხვდებით, ოღონდ, ეს არ ნიშნავს, რომ საკუთარ პრინციპებზე უარს ვიტყვი.

**მერაბ მამულაშვილი**

## განცხადება

საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ აკადემია 20 ივნისს 11:00 საათზე დიღმის საწვრთნელ ბაზაზე აცხადებს 1994-95 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა მიღება-შერჩევას.

ტელეფონი 877 49 55 04; 899 26 30 01

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# კარპინი: რატომ არ გავარუსეთ ჯანო?!

## რომანცევს ანანიძის მომავლის სჯერა

მოსკოვის „სპარტაკმა" სეზონისთვის მზადება ტარასოვკის ბაზაზე განაახლა. „სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ჯანო ანანიძე** განსაკუთრებული მონდომებით ემზადება.

მოსკოველთა დირექტორატის წევრმა **ოლეგ რომანცევმა** ის მიზეზები ახსნა, რომლის გამოც, მისი აზრით, რუსეთის პრემიერლიგის პირველ წრეში ქართველს და მის თანატოლ **იაკოვლევს** თამაში იშვიათად უწევდათ.

*„ამ შემთხვევაში, უპრიანი იქნება ეგრეთ წოდებული „მეორე სეზონის" სინდრომის ხსენება. გასულ სეზონში ამ ახალგაზრდებს ნაკლებ მოთხოვნებს უყენებდნენ - გულშემატკივრებიც, ჟურნალისტებიც, სპეციალისტებიც. ამის გამო, ისინი ლაღად თამაშობდნენ. ახლა უკვე ყველამ გაიცნო და შეღავათს არავისგან უნდა ელოდონ, რაც ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიურად ცუდად მოქმედებს. ვფიქრობ, მცირე დრო გავა, ამ ფსიქოლოგიური ტვირთისგან გათავისუფლდებიან და ათამაშდებიან. ორივესთან ვურთიერთობ და შემიძლია გითხრათ, რომ საკუთარი თავის მიმართ მოთხოვნები არც ერთს არ შეუმცირებია და არც „ვარსკვლავური" დაავადება აწუხებს რომელიმეს. ნორმალურიცაა, რაც სურთ, ყველაფერი ისე რომ არ გამოსდით. ორივე გულიანად ვარჯიშობს და უახლოეს პერიოდში ორივე საუკეთესო ფორმაში იქნებიან. როგორც წესი, ახალგაზრდა ფეხბურთელები პასუხისმგებლობას განსაკუთრებით გრძნობენ. ისინი არა მხოლოდ მონდომებით ემზადებიან, ვარჯიშის შემდეგ დამატებითაც იტვირთებიან. რაოდენობა კი, ადრე თუ გვიან, ხარისხშიც გადავა",* - ამბობს რომანცევი.


ჯანო ანანიძე

„სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი კარპინმა** (რომელიც შეთავსებით გუნდის გენერალური დირექტორია) რუსეთის ნაკრებში არარუსების ნატურალიზაციის თემა წამოჭრა და ანანიძის დაკარგვის გამო სინანულით ილაპარაკა: *„წესით, სპარტაკელი ველინგტონის ნატურალიზაციით რუსეთის ნაკრების მწვრთნელები უნდა დაინტერესდნენ. თუმცა, ისევე როგორც ანანიძის შემთხვევაში, ძველმა სამწვრთნელო შტაბმა აქტიურობა არ გამოავლინა".*

პროფლიგა

## როდის გაიმართება კონფერენცია?

ბოლო დღეებში რესპონდენტებმა ინტერვიუებში ახსენეს, რომ პროფლიგის კონფერენცია 17 ივნისს გაიმართებოდა. თუმცა ამის შესახებ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფიციალური ვებგვერდი არაფერს იუწყებოდა. ინფორმაცია ლიგის პრესატაშე **მიხეილ აბაიშვილთან** გადავამოწმეთ:

*„მე არ ვიცი, საიდან იღებენ კლუბები ინფორმაციას იმაზე, თუ როდის გაიმართება პროფლიგის კონფერენცია. თუმცა ის კი შემიძლია გითხრათ, რომ გავრცელებული ხმები, თითქოს კონფერენცია 17 ივნისს უნდა გაიმართოს, სიმართლეს არ შეეფერება. როდის გაიმართება, ჯერ ესეც არ არის გადაწყვეტილი. მალე დადგინდება და მერე გვეცოდინება, რა საკითხები შევა დღის წესრიგში* , - გვითხრა აბაიშვილმა.

ტრანსფერი

# ამისულაშვილი 2 წლით ქაისერში!

**ალექსანდრე ამისულაშვილმა** რუსეთს თავი დააღწია და კარიერას თურქეთში გააგრძელებს. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებული ცენტრალური მცველის საკითხი უკვე გადაწყვეტილია, რაც გუშინ ამისულაშვილთან დაახლოებულმა წყარომ გვაცნობა.

როგორც ცნობილია, 27 წლის ქართველი მცველის გადაბირებით რუსეთის პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი დაინტერესდა, მათ შორის, გროზნოს „ტერეკი" და სამარის „კრილია სოვეტოვი". თუმცა, გუშინ თითქოს პირი შეკრესო, ორივე მათგანმა ქართველი მცველის მიმართ ინტერესი კატეგორიულად უარყო.

*„ჩვენი ზაფხულის სატრანსფერო გეგმები ღიად განვაცხადეთ, რომ ცენტრალური მცველისა და ჰავბეკის შეძენა გვსურდა. ეტყობა, ამის გამო მედიამ ჩათვალა, რომ ამისულაშვილისა და ალექსანდრე ბელოზეროვის აყვანას ვაპირებდით. ორივე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ამ მომენტისთვის არც ერთ მათგანთან კონტრაქტის გაფორმება არ იგეგმება",* - განაცხადა „ტერეკის" პრესატაშე **ყაზბეგ ხაჯიევმა**.

ანალოგიური განცხადება „კრილია სოვეტოვის" ბანაკიდანაც გაისმა. ჩეჩნეთში რუსების დაფუძნებული კლუბის პრესსამსახურის განცხადებაში გარკვევით იყო მინიშნებული, რომ ამისულაშვილი კარიერას სავარაუდოდ თურქეთში გააგრძელებდა. უფრო მკვეთრი გახლდათ სამარაში გამომავალი გაზეთის, „ვოლჟსკაია კომუნას" ინფორმაცია: *„როგორც ჩანს, „კრილიაში" ქართველი მცველის ალექსანდრე ამისულაშვილის გადასვლის თემა საბოლოოდ დაიხურა. ნალჩიკის „სპარტაკში" გამოსვლით ცნობილი ფეხბურთელმა ერთ-ერთ თურქულ კლუბთან კონტრაქტი უკვე გააფორმა".*

ალბათ, ყველაფერი გასაგებია: დანამდვილებით ვიცით, ორივე კლუბი ამისულაშვილის გადაბირებით დაინტერესებული იყო, მაგრამ ხელი მოეცარათ და ახლა საწინააღმდეგოს ამაყად ამტკიცებენ. რას ვიზამთ, ეს ფეხბურთში მიღებული და დამკვიდრებული საკლუბო ამპარტავნობაა.

ქართველი მცველი კი ამჟამად ანთალიაში იმყოფება და როგორც შევიტყვეთ, „ქაისერთან" პირადი კონტრაქტი შეათანხმა. კლუბში, რომლის მთავარი მწვრთნელიც **შოთა არველაძე** გახდა, ალეკო ამისულაშვილი უახლოესი 2 წლის განმავლობაში ითამაშებს. „ქაისერი" ამისულაშვილის კარიერაში მეათე კლუბი იქნება.

ცნობილი გერმანული ინტერნეტპორტალის „ტრანსფერმარკტის" შეფასებით, ალეკო ამისულაშვილის სატრანსფერო ფასი 1,1-დან 1,2 მილიონ ევრომდე მერყეობს. სხვათა შორის, „სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, 2007 წლის ნოემბერში ვლადივოსტოკის მცხოვრები გოგონას მიერ ამისულაშვილის წინააღმდეგ წამოწყებული სასამართლო პროცესი საბოლოოდ შეწყდა. გამოძიებამ 25 წლის ვლადივოსტოკელი ალისას ჩვენების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მიზანშეუწონლად მიიჩნია, რადგან გოგონა წინააღმდეგობრივ ჩვენებას იძლეოდა და საფუძვლის არქონის გამო საქმე შეწყდა. საბოლოოდ დადგინდა, რომ 25 წლის მეძავი ცნობილი ფეხბურთელისგან ფულის გამოძალვას ცდილობდა და სწორედ ამ მოტივით დააბრალა გაუპატიურება.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



ოლიმპი

# სპარინგები დაგეგმილია

სეზონისთვის მომზადება ქართული გუნდებიდან ყველაზე ადრე რუსთავის „ოლიმპმა“ დაიწყო. 4 ივნისს, ფაქტობრივად, **თემურ მახარაძემ** ახალი გუნდი შეკრიბა. გუნდი უკვე დატოვა ბევრმა ფეხბურთელმა, რომელთაგან უმრავლესობა ძირითადის წევრი გახლდათ: ორმა მეკარემ (**გრიგოლ ჭანტურია, მირზა მერლანი**), ხუთმა მცველმა (**ალექს ფრაგა, ნოდარ მაჭავარიანი, ემანუელ ელოხი, ოლეგ გველესიანი, აქვსენტი გილაური**), სამმა ნახევარმცველმა (**გია კვარაცხელია**, კაპიტანი **დავით იმედაშვილი, პავლე დათუნაიშვილი**) და თავდამსხმელმა **ანდერსონ აკინომ** - ანუ, სულ 11-მა ფეხბურთელმა. ჯერ კიდევ უცნობია **დავით გიგაურის** ბედი, რომელმაც „ოლიმპში“ დარჩენის იმედად, „ზესტაფონი“ უარით გაისტუმრა, მაგრამ რუსთავში მისი პოზიცია ჯერ კიდევ გაურკვეველია.

საკმაოდ სოლიდურია ნამატიც: დაიმატეს „ვიტ ჯორჯიას“ ლიდერები **გია ბედიაშვილი, ლექსო კვახაძე, ლაშა ჯაფარიძე, ლუკა რაზმაძე**, აზერბაიჯანული კლუბებიდან - **დავით ბოლქვაძე** და **რევაზ გენაძე**. თითოეულმა მათგანმა კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ძველი შემადგენლობიდან ბევრი ფეხბურთელი არ დარჩენილა. ამის მიუხედავად, შეინარჩუნეს საკვანძო მცველი **თემურ ლონლაძე, გელა ხუბუა** და **დენის დობროვოლსკი**, აგრეთვე, თავდამსხმელები **გიორგი ჭედია, სანდრო იაშვილი** და ტრავმისგან განკურნებული **რეზო ჯიქია.**

ამჟამად კლუბში ოთხი ლეგიონერი ვარჯიშობს: ჩერნიგორიელი ცენტრალური მცველი **იგორ კუცი**, ესტონელი მარცხენა მცველი **ურმას როობა**, ბრაზილიელი **მანზატო** (იგივე **კარლოს ენრიკე მანზატო დოს სანტოსი**) და ალბანელი **რომეო ჰამზაი.** მანზატო და ჰამზაი თავდამსხმელები არიან.

დღევანდელი მონაცემებით, გუნდის ხელმძღვანელობაზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა მანზატომ და მისი საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ბრაზილიელს თავი ქუდში აქვს - საქართველოს ჩემპიონში თუ არ დატოვეს, ყაზახეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი გუნდი კონტრაქტს გაუსინჯავად სთავაზობს. დანარჩენ ლეგიონერებს კი დღემდე აკვირდებიან.

საბოლოოდ, გასასინჯი ფეხბურთელების ამბავი საკონტროლო შეხვედრების შემდეგ გადაწყდება. რუსთავის „ოლიმპი“ უახლოეს დღეებში სამ საკონტროლო მატჩს გეგმავს:

16 ივნისი. თბილისი. დილმის ბაზა. 18:00
**დინამო-ოლიმპი**

19 ივნისი. რუსთავი. ფოლადი. 18:00
**ოლიმპი-ვიტ ჯორჯია**

22 ივნისი
**დინამო-ოლიმპი**

ამ ბოლო მატჩის გამართვის ზუსტი დრო და ადგილი ჯერჯერობით უცნობია. **თემურ მახარაძე** გუნდს რუსთავში ავარჯიშებს. მეორე შეკრება შავიზღვისპირეთში იგეგმება, მესამე კი, სავარაუდოდ, თურქეთში. კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, უცხოურ შეკრებამდე გუნდი სრულად დაკომპლექტდება.

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერები

# გურულის ქორწილი და... ალანია

## ხიზანეიშვილმა თურქეთი დატოვა

ივნისი პიკზეა და სატრანსფერო ციებ-ცხელებაც მატულობს. ვლადიკავკაზის „ალანიასთვის“ სასურველ ფეხბურთელად კიდევ ერთი ჩვენებური დასახელდა - ლვოვის „კარპატის“ თავდამსხმელი **სანდრო გურული.** უკრაინულ ვებგვერდ sport.oboz.ua-ს ინფორმაციით, ლვოველთა გუნდი შესაძლოა ქართველმა ლეგიონერმა დატოვოს. „ალანიას“, რომელიც რუსეთის პრემიერლიგაში მე-11 ადგილზეა, თავდასხმაში უჭირს. ვლადიკავკაზელებს 11 მატჩში მხოლოდ 12 ქულა აქვთ და ოდენ 12 ბურთის გატანა მოახერხეს. ჯერჯერობით, გურული, რომლის სატრანსფერო ფასი 600 ათასი ევროა, „ალანიასთან“ ერთად არ ემზადება, მაგრამ შესაძლოა ეს ტრანსფერი ამ თვეშივე გადაწყდეს, რადგან ოსური კლუბი ჩვენებურს მომხიბლავ ფინანსურ პირობებს სთავაზობს. მიუხედავად ამისა, გურულმა, რომელმაც გასულ სეზონში 25 მატჩი ჩაატარა, შესაძლოა უკრაინა არ დატოვოს, თუ რატომ, ამაზე ქვემოთ, მანამდე კი...



ვლადიკავკაზელებს კიდევ ერთი ჩვენებურის, მცველ **ოთარ ხიზანეიშვილის** გადაბირება უნდოდათ. ოთარს ტრავმისა და ოჯახური პრობლემის გამო თითქმის ორი წელი გაუცდა და გასულ სეზონში მხოლოდ დასკვნით შეხვედრაში ითამაშა მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე „აუგსბურგის“ რიგებში. ხიზანეიშვილი „ალანიას“ თურქეთში, მოსამზადებელ შეკრებაზე შეუერთდა და გუნდთან ერთად რამდენიმე ვარჯიშიც ჩაატარა. თუმცა ამხანაგურ შეხვედრაში „ალანთა“ რიგებში არ გამოჩენილა. მისი ამბით დავინტერესდით და გავიგეთ, რომ ვლადიკავკაზურ კლუბთან შეთანხმება არ შედგა და ოთარი გერმანიაში დაბრუნდა.

ისევ გურულს დავუბრუნდეთ. ზემოთ ვახსენეთ, შესაძლოა სანდრომ უკრაინა არ დატოვოსო. რატომ? იმიტომ, რომ 24 წლის ქართველმა თავდამსხმელმა ახლახან უჟგოროდელ **ანაზე** (გვარი არ არის მითითებული) იქორწინა. ამავე წყაროს ცნობით, სანდრომ ქორწილი მეუღლის მშობლიურ ქალაქში, უჟგოროდში გადაიხადა. აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივი ტრადიციების მიხედვით, ქართველ სასიძოს პატარძლის გამოსყიდვამაც კი მოუწია...

*„უკვე რამდენი ხანია, რაც უკრაინაში ვთამაშობ, მაგრამ აქაურ სახუმარო ტრადიციებს ვერ შევეჩვიე. თავად განსაჯეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი, ქორწილის დაწყებამდე წამით გვერდით გავიხედე და მეუღლე გაქრა, დავკარგე. კარგა ხანს ვეძებე, მაგრამ უშედეგოდ. მერე შემომთავაზეს გამოსასყიდის სანაცვლოდ ანა გამოჩნდებაო, რაც ფული მქონდა, სულ მივეცი, ცოლის გამოჩენა მილიონები დამიჯდა... შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-ფრანგულ-უკრაინული ქორწილი გამოვიდა. მე საფრანგეთში გაზრდილი ქართველი ვარ, პატარძალი უკრაინელი, სუფრა კი ფრანგული შამპანურით იყო სავსე, რაზეც მამაჩემმა, გია გურულმა იზრუნა“,* - უკრაინულ მედიასთან საუბარში აღნიშნა სანდრო გურულმა.

**დავით ცაბაძე**

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/ საკონტრ. მატჩები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი<br>თემურ მახარაძე | აკინო, ფრაგა (ორივე - ბრაზილია), გველესიანი (?), ა. გილაური (?), პ. დათუნაიშვილი (?), ჭანტურია (?), მერლანი (?), გ. კვარაცხელია (?), მაჭავარიანი (ტორპედო), ელოხი (სპარტაკი), იმედაშვილი (ხაზარი, აზერბაიჯანი), გიგაური (?), | გენაძე (გაბალა, აზერბაიჯანი), ბოლქვაძე (სიმურგი, აზერბაიჯანი), ბათიაშვილი (სპარტაკი), ბედიაშვილი, რაზმაძე, ა. კვახაძე, ჯაფარიძე (ყველა - ვიტ ჯორჯია), რომეო ჰამზაი (ალბანეთი), კარლოს ენრიკე მანზატო დოს სანტოსი (ბრაზილია), იგორ კუცი (ჩერნოგორია), ურმას როობა (ესტონეთი) | 4 ივნისიდან - რუსთავში<br>22 ივნისიდან - უცხოეთში |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | გ. კაშია (?), შ. კაშია (?), აკირემი (?), კრსტესკი (?), ჩიკვილაძე (ტორპედო), მომჩილოვიჩი (ფიზმომზადების მწვრთნელი) | ხმალაძე (ჰაპოელი ჰაიფა, ისრაელი) მეტრეველი (გაგრა) | 7 ივნისიდან - თბილისში |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | კორღალიძე, გამეზარდაშვილი (ორივე დაჩია, მოლდოვა), კაჭკაჭიშვილი (?), მჭედლიშვილი (?) | ბაბუნაშვილი (სექციაა, ისრაელი), ფიფია (ბაია) | 1-9 ივნისი - თბილისი<br>10 ივნისიდან - ავსტრიაში<br>პლზენი (ჩეხეთი) 1:2 |
| ვიტ ჯორჯია<br>გელა გომელაური | ბედიაშვილი, რაზმაძე, ა. კვახაძე, ჯაფარიძე (ყველა - ოლიმპი), გ. დათუნაიშვილი (ტორპედო), ვ. კვარაცხელია (ტორპედო) | ძაძამია (გურია), ი. ჭანკვეტაძე (ტორპედო 2008) | 10 ივნისიდან - თბილ[illegible]<br>23 ივნისიდან - უკრაინაში |
| სპარტაკი<br>გოჩა ჩიქოვანი | უხურგუნაშვილი (ბანანცი, სომხეთი), ბათიაშვილი (ოლიმპი), ფოფხაძე (ტორპედო), დემეტრაძე (?), ბურდული (?), მედ ნალო (?), ზონი (?), ნონოსი (?), ბაქრაძე (?), ჩირიკაშვილი (?), ჩივაძე (?), გ. კვახაძე (?), თარხნიშვილი (ტორპედო?), მგალობლიშვილი (?) | ელოხი (ოლიმპი), ჩალაძე (სამტრედია), ზარქუა (ბაია), ვ. უგრეხელიძე (სიონი) | 7 ივნისიდან - თბილისში<br>1 ივლისიდან - უცხოეთში |
| სიონი<br>ხვიჩა ქასრაშვილი | ვ. უგრეხელიძე (სპარტაკი) | | 20 ივნისიდან - თბილისში |
| სამტრედია<br>გელა სანაია | ჩალაძე (სპარტაკი) | გელა სანაია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი) | 10 ივნისიდან |
| ბაია<br>ელგუჯა ქომეთიანი | ფიფია (ზესტაფონი), ჩისამბა ლუნგუ (ურალი, რუსეთი), ზარქუა (სპარტაკი) | | 15 ივნისიდან |
| ტორპედო<br>რამაზ მუმლაძე | ი. ჭანკვეტაძე (ვიტ ჯორჯია) | რამაზ მუმლაძე (ავაზა/ვისოლი,მთავარი მწვრთნელი), ჩიკვილაძე (დინამო), გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია), დ. ფოფხაძე (სპარტაკი), მაჭავარიანი (ოლიმპი), ქვილითაია (ლიკომოტივი), თარხნიშვილი (სპარტაკი), ვ. კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია), ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 11 ივნისიდან - ქუთაისში |
| კოლხეთი (ფ)<br>ბესიკ შეროზია | გ. თოდუა (?), დ. ქირია (?) | | 10 ივნისიდან |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

# ნახკაძორიდან ბაქომდე

ჩვენი ეროვნული საჭიდაო ნაკრებები მსოფლიოს პირველობისთვის მზადების გეგმიურ ეტაპს იწყებენ. მას შემდეგ, რაც მოილიეს სეზონის პირველი ნახევარი, ანუ ევროპის ჩემპიონატისთვის განკუთვნილი ეტაპი, მათ წინაშე ახალი ამოცანა დადგა - მსოფლიოს ჩემპიონატი და იქ ღირსეული გამოსვლა. არადა, ეს ძალზე ძნელი იქნება - პლანეტის პირველობას 6-12 სექტემბერს რუსეთის დედაქალაქი მოსკოვი უმასპინძლებს, იქ ბრძოლა კი ყველასთვის სახათაბალოა, არა მხოლოდ ჩვენების. რუსები სხვაგან რა დღეში არიან და შინ რას იკადრებენ, წინასწარ ხვდება ყველა.

ჩვენმა ნაკრებებმა მსოფლიოსთვის მზადების პირველი ნაბიჯი უკვე გადადგეს - კარტოზია-ბალავაძის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ ტურნირზე წასვლის უმთავრესი კანდიდატები გამოავლინეს, ახლა კი შეკრებებს იწყებენ. პირველ საწვრთნელ შეკრებას ორივე ნაკრები უცხოეთში - სომხურ წახკაძორში გამართავს, სადაც „თავისუფლები“ ხვალ, ბერძენ-რომაელები კი 18 ივნისს გაემგზავრებიან. ეს შეკრება მთლიანად ფიზმომზადებას დაეთმობა, ანუ საბაზო იქნება. იგი ორ კვირას გასტანს, თვის ბოლოს კი ჩვენები თბილისში დაბრუნდებიან და აქ გააგრძელებენ ვარჯიშს.

მსოფლიოს პირველობამდე მათი უახლოესი სამიზნე 16-18 ივლისს ბაქოში გასამართი „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალური ტურნირია, სადაც ორივე სახეობაში დაახლოებით 40-კაციანი გუნდით გამოვალთ. იქ მოსახვედრი ლიცენზია ამდენმა ქართველმა მოიპოვა, ამ ტურნირში გამოსვლა კი სავალდებულოა - თავის არიდება ფინანსური ჯარიმით ისჯება. თუმცა მონაწილეობაზეც სოლიდური გადასახადია და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (FILA) იმაზეც კი მიდის, დაშავებული ლიცენზირებული მოჭიდავე შეიცვალოს, ოღონდ კი რაოდენობაში არ დააკლდეთ - გამოკლება ხომ გადასახადსაც შეამცირებს. ეს ტურნირიც მსოფლიოსთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია. პირობითად ის ბოლო სასტარტო შეჯიბრებადაა მიჩნეული, მაგრამ, თუ ვინმეს დამატებით კიდევ დასჭირდება ტურნირში გამოსვლა, სადმე გაუშვებენ. თუმცა არჩევანი არც ისე დიდია - „თავისუფლებს“ ასეთად მადრიდის და პოლონეთის ტურნირი რჩებათ, ბერძენ-რომაელებს - მხოლოდ პოლონეთისა.

აქვე ბაქოში მოასპარეზეთა სიაზეც ვთქვათ, რომელიც ადრე კი შემოგთავაზეთ, მაგრამ ამჯერად FILA-მაც გამოაქვეყნა თავისი ვერსია, რომელიც ცოტათი განსხვავდება ქართულისგან. კერძოდ, მასში შეყვანილნი არ არიან ის ტიტულოვანი ქართველი ფალავნები, რომლებსაც საკვალიფიკაციო ტურნირებში არ უჭიდავიათ და, შესაბამისად, ჯერ არც საგზურები გააჩნიათ - **ოთარ თუშიშვილი** (66) თავისუფალ ჭიდაობაში, **მანუჩარ ცხადაია** (66), **მანუჩარ კვირკველია** (74), **რამაზ ნოზაძე** (96) ბერძნულ-რომაულში... ჩვენმა ფედერაციამ FILA-ს თხოვნით მიმართა, პერსონალურად მიიწვიოს ისინი ტურნირზე, როგორც ტიტულოვანი სპორტსმენები. იმ შეჯიბრების რეგლამენტი ოლიმპიური ჩემპიონების, წინა წლის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მედალოსანთა მიწვევას ისედაც ითვალისწინებს (ოღონდ ამათთვის მონაწილეობა სავალდებულო არაა, ანუ უარის თქმა შეუძლიათ), თუმცა ამათგან ზოგიერთი ვერც ამ კატეგორიაში ხვდება. მაგრამ არის კიდევ ერთი გზა, რომლითაც ამათი მონაწილეობა ბაქოში შესაძლებელია - შეიძლება, მათ რომელიმე ლიცენზირებული მოჭიდავე ჩაანაცვლონ. მაგალითად, ახლავე ცნობილია, რომ ბერძნულ-რომაულში ვერ იჭიდავებს **შმაგი გულიაშვილი** (74), რომელსაც აპენდიციტი გაუსკდა და ორი ოპერაცია გაიკეთა, მის ნაცვლად კი კვირკველია იასპარეზებს. არ არის გამორიცხული, მწვრთნელებმა ასეთივე როქი სხვებთანაც გააკეთონ და ლიდერებს სატურნირო პრაქტიკა მისცენ. ალბათ, ეს უფრო მოსალოდნელი, ვინაიდან უსაგზუროდ დარჩენილთა უმეტესობა მოსკოვში წასვლის კანდიდატად მოიაზრება, როგორც წონის ლიდერი და კონკურენტზე უკეთესი. სავარაუდოდ, მწვრთნელები მათ მისცემენ სატურნირო პრაქტიკას, თუმცა ჯერ კიდევაა შანსი, FILA-მ ისინი პერსონალურად მიიწვიოს ბაქოში და სხვებს გზაზე არ გადაეღობონ.

გთავაზობთ FILA-სეულ სიას თავისუფალ ჭიდაობაში: **ბესარიონ გოჩაშვილი, ლაშა ლომთაძე, ამირან ელბაქიძე** (55), **მალხაზ ქურდიანი, მალხაზ ზარქუა, გიორგი ბალიაშვილი** (60), შალვა **მუზიაშვილი, პაატა ნოზაძე, გოგა ხუჭუა** (66), **გელა სალირაშვილი, ოთარ ურატაძე, მარადი ზოიძე** (74), **დავით მარსაგიშვილი, არჩილ ქიტიაშვილი, თორნიკე სვანიძე** (84), **გიორგი გოგშელიძე, ბელდუხ გავაშელიშვილი, დაჩი ქერაშვილი** (96), **ლევან ბერიანიძე, დავით მოძმანაშვილი, კობა კერესელიძე** (120).

შეგახსენებთ, რომ სეზონში „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალური ტურნირისთვის ორი შესარჩევი შეჯიბრება იმართება, მაგრამ ჩვენმა „თავისუფლებმა“ მხოლოდ ერთში იჭიდავეს - ბალავაძის ტურნირზე თბილისში, სეზონის დასაწყისში კრასნოიარსკში გამართული ივან იარიგინის მემორიალი კი გამოტოვეს. მოგეხსენებათ, გამწვავებული პოლიტიკური ვითარების გამო ქართული გუნდები რუსეთის ტერიტორიაზე გამართულ ტურნირებში ნაკლებად მონაწილეობენ. ეს საგზურებიც მხოლოდ თბილისშია მოპოვებული, თუმცა ამათგან ერთი - დავით მარსაგიშვილი ბაქოში არ იჭიდავებს. ძალზე პერსპექტიული ყაზბეგელი ფალავანი ჯერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ივნისის ბოლოს ბულგარულ სამოკოვში თანატოლთა ევროპირველობაზე უნდა გამოვიდეს, სულ რაღაც სამ კვირაში კი ბუდაპეშტში მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობაც ელოდება. ცხადია, ასეთი დატვირთული კალენდრის პირობებში ეროვნულ ნაკრებში გამოსვლა მისთვის გაუმართლებელი და უგუნური დატვირთვაა. ამიტომაც არ აძალებენ ბაქოში ჭიდაობას. სავარაუდოდ, მას იქ სხვა შეცვლის.

„თავისუფალთაგან“ განსხვავებით, ბერძენ-რომაელებმა ორივე შესარჩევ ტურნირში იჭიდავეს - უნგრულ სომბათჰეისა და თბილისში, თუმცა საგზურების უმეტესობა მაინც საკუთარ კედლებში მოიპოვეს. FILA-ს მიერ გამოქვეყნებულ სიებში ფინალურ ტურნირზე მოჭიდავე ეს ქართველები მოხვდნენ: **ლაშა გოგიტაძე, ზურაბ კეკელიძე, მინდია წულუკიძე** (55), **რევაზ ლაშხი, გოგა გოგიბერაშვილი** (60), **ანტონ მამაგეიშვილი, მუხრან მაჭუტაძე, საჩინო დავითაია** (66), **გიორგი ცირეკიძე, გენადი გოგიშვილი, შმაგი გულიაშვილი** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე, აკაკი ჯოხაძე** (84), **ვასილ იმერლიშვილი, იოსებ ჯაბიძე, სერგო ნინუა** (96), **ოთარ ბოლქვაძე, გურამ ფერსელიძე, სერგო გოგისვანიძე** (120) მოხვდნენ.

რამდენიმე მოსალოდნელი ცვლილება აქაც გარდაუვალია. კერძოდ, წულუკიძეს, დავითაიას და კიდევ რამდენიმე მონაწილეს ახალგაზრდული ნაკრები ელოდებათ. იმ გუნდის თავკაც **ვლადიმერ ადეიშვილს** ჯერ არ დაუსახელებია ევროპის პირველობაზე წასაყვანი შემადგენლობა, მაგრამ ვინაიდან მსოფლიოს პირველობაც მეტად შეზღუდულ ვადებში იმართება, ახალგაზრდულების მწვრთნელები ორ-ორ შემადგენლობას ამზადებენ და, სავარაუდოდ, ადეიშვილი ეროვნულში არავის გაუშვებს. ყოველ შემთხვევაში, ეროვნულის თავკაცმა **ბეგი დარჩიამ** წულუკიძის შემცვლელად უკვე დაასახელა **გიორგი გვენეტაძე**, დავითაიასი - ცხადაია. გულიაშვილს რომ კვირკველია შეცვლის, უკვე გითხარით, ტრავმის გამო კი ჯერ ისევ გაურკვეველია ჯოხაძის საკითხი. შესაძლოა, მას მხარზე ოპერაციაც დასჭირდეს და ამ შემთხვევაში ვერც ბაქოში იასპარეზებს, მწვრთნელმა კი მის ნაცვლად **დავით ხეთაგური** შეიგულა.

წერილი შეკრებებზე საუბრით დავიწყეთ და ბარემ ასაკობრივ გუნდებზეც ვთქვათ. ახალგაზრდები უკვე დასკვნით შეკრებაზე არიან დუშეთში, ჭაბუკები კი სულ მალე გაემგზავრებიან ბათუმში, ოღონდ ისინი მზადების დასკვნით ეტაპს ახლა იწყებენ, ვინაიდან მათი ევროპირველობა 3-8 აგვისტოს ტარდება ბოსნიურ სარაევოში.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ავიახაზებმა ხელი დაგვიქნია...

**ლეილა მესხის** ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე 12 წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი 14-16 წლის გოგო-ბიჭებისთვის საერთაშორისო ტურნირს ავსტრიის ავიახაზების თასზე. ამ ხნის განმავლობაში აქ ძალები არაერთი ქვეყნის წარმომადგენლებს მოუსინჯავთ, ზოგიერთი მათგანი დღეს დიდ ჩოგბურთშიც გამოირჩევა.

წლეულს შეჯიბრების სახელწოდება შეიცვალა და თბილისის თასი დაერქვა. იგი კვლავ ევროპის ჩოგბურთის ფედერაციის პატრონატით ეწყობა. სპონსორები არიან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და მინერალური წყლების კომპანია „ბორჯომი“. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში მასპინძლებთან ერთად რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, თურქეთის, საბერძნეთის, მოლდოვას, უკრაინის, პოლონეთისა და გერმანიის 120 წარმომადგენელი ჩაება. სასიამოვნოა, რომ ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ სახელოვან ჩოგბურთელთა შთამომავლები. მათ შორის არიან **ალექსანდრე მეტრეველის** შვილიშვილი **ირაკლი მეტრეველი, ლეილა მესხის** შვილები — **გიორგი** და **ლიზი ნადიბაიძეები, იულია სალნიკოვას** (იგი ლეილა მესხთან ერთად წყვილთა თანრიგში საბჭოთა კავშირის ჩემპიონია) ვაჟი **სტეფანოზ ციციპასი** (საბერძნეთი), შერეულ წყვილებში როლან გაროსის ჩემპიონის — **ევგენია მანიუკოვას** შვილი **ვადიმ კუზნეცოვი** და სხვები. ბევრი მათგანი სხვადასხვა ასაკში ტურნირის ფავორიტია.

ახლა კი თვით შეჯიბრების შესახებ: ორივე ასაკის საკვალიფიკაციო ტურნირში ძირითად ბადეში მოსახვედრად 16-16-მა გოგონამ და ვაჟმა იასპარეზა. გუშინ ერთეულთა თანრიგში 14 წლის ჩოგბურთელები ჩაებნენ. გოგონებში გამარჯვების რეალურ კანდიდატებად ითვლებიან საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **ლიზი ნადიბაიძე** (215) და **ეკატერინე ლასარეიშვილი** (187). ლიზიმ პირველ წრეში საკმაოდ იოლად სძლია (6:1, 6:0) თანამემამულე **მარიამ კაციტაძეს**, რომელიც ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან მოხვდა. ლასარეიშვილმა კი რუსეთში მცხოვრები **ანა ყიფიანი** დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა — 2:6, 6:3, 6:3. დანარჩენი პაექრობები ასე დამთავრდა: არევიკ თუმანიანი (სომხეთი, 698)-ანა დობორჯგინიძე (საქართველო) 6:4, 7:5, ნაზალ უნლუგენსი (თურქეთი, 215)-მარგალიტა ჭიჭაშვილი (საქართველო) 6:3, 6:4, მარიამ დგებუაძე (საქართველო, 332)-ელენე ყარანგოზიშვილი (საქართველო) 6:1, 7:5, მარიამ მითაიშვილი (საქართველო)-ნანე ხანტარჩიანი (სომხეთი) 6:0, 6:0, ანა ილიკიანი (რუსეთი)-ქრისტინე გეგეშიძე (საქართველო) 6:1, 6:2, ეგე თომი (თურქეთი, 381)-თამარ კუტუბიძე (საქართველო, 481) 6:4, 6:4.

ვაჟებში ლიდერებად ითვლებიან **შოთა მეფარიძე** და **ალექსანდრე ბაქში**, თუმცა მათ საკმაოდ ძლიერ მეტოქეთა წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ. გაცნობებთ გუშინ გამართული პირველი წრის შედეგებს: ალექსანდრე ბაქში (საქართველო, 267)-ბორის პოკოტილოვი (რუსეთი, 408) 6:1, 6:4, გიორგი დათაშვილი (საქართველო)-ლუკა კოხრეიძე (საქართველო) 6:1, 6:3, არშაკ ხაზარიანი (სომხეთი, 408)-გიორგი ნადიბაიძე (საქართველო) 6:0, 6:0, სანდრო სვანიძე (საქართველო)-ირაკლი მესტვირიშვილი (საქართველო, 600) 6:3, 6:4, ვადიმ კუზნეცოვი (რუსეთი, 227)-ირაკლი მეტრეველი (საქართველო) 6:1, 6:1, სტეფანოზ ციციპასი (საბერძნეთი)-ანტონ ბანდარუკი (ბელარუსი, 408) 7:5, 6:4, დემეტრე მაღრაძე (საქართველო, 600)-სურენ ბაღდასარიან (სომხეთი, 447) 6:4, 6:0, მიქაელ ხაჩატრიანი (სომხეთი)-ლექსო სვანიძე (საქართველო) 6:1, 6:2.

**ვაჟა დანელია**

# შაფათავას და მიქაძის ნახტომი


სოფიო შაფათავა

WTA-ს რეიტინგში საქართველოს საუკეთესო სამეულმა უკან დაიხია, ეს განსაკუთრებით ყველაზე გამოცდილ ჩოგბურთელს, **მაკა ჩახნაშვილს** ეხება, რომელიც 200-ეულიდან გავარდა, მაგრამ დროებით. საქართველოს პირველ ჩოგან **ანა ტატიშვილს** 416 ქულა აქვს და მსოფლიოს 147-ე (-1) ჩოგანია. **ოქსანა კალაშნიკოვა** 368 ქულით მსოფლიო კლასიფიკაციაში 161-ე (-3) პოზიციაზეა. მაკა ჩახნაშვილს 244 ქულა დარჩა, მან 17 საფეხურით დაიხია, ის მსოფლიოს 210-ე ჩოგანია. შემდეგ ორშაბათს ჩახნაშვილს კამპობასოს ტურნირის ნახევარფინალში გასვლისთვის კუთვნილი 24 ქულა დაერიცხება და მან, შესაძლოა, კვლავ დაიბრუნოს ორასეულში ადგილი. შეგახსენებთ, რომ ჩვენი სამეული ლონდონშია, სადაც უიმბლდონის ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ჩაებმება.

თუკი მეწინავეებმა ოდნავ დათმეს პოზიციები, მსოფლიო კლასიფიკაციაში მათ შემდეგ მყოფმა ქართველებმა აშკარად გაიუმჯობესეს მდგომარეობა. სერიოზული წინსვლა აქვს 21 წლის **სოფიო შაფათავას**, რომელიც 52 საფეხურით დაწინაურდა - ქართველი მსოფლიოს 297-ე ჩოგანია. **თათია მიქაძეს** კარიერის საუკეთესო ხანა უდგას, თათიამ 38 საფეხურით წაიწია, ის მსოფლიოს 384-ე ჩოგანია. სხვები: 403 (-10) **მანანა შაფაქიძე** - 85 ქულა; 445 (-1) **სოფიო ქვაცაბაია** - 71; 548 (+5) **ეკა გორგოძე** - 49; 1057 (-) **ანა ჯიქია** - 4.

ვაჟთა რეიტინგში ქართველთა მდგომარეობას უკომენტაროდ გაგაცნობთ: 593 (-1) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 39 ქულა; 1 154 (+6) **ლაზარე კუხალაშვილი** - 4; 1 445 (+1) **გიორგი ცივაძე** - 1; 1 535 (+1) **გიორგი რევაზიშვილი** - 1; 1 535 (+1) **სოზარ გოქაძე** - 1; 1 535 (+1) **ნოდარ ითონიშვილი** - 1. ნიკოლოზ ბასილაშვილი კალიფორნიის ქალაქ დევისში ძირითად ბადეში ითამაშებს, სხვებზე კი რა მოგახსენოთ...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ველოსპორტი

# ნადირაძეს საპრიზომდე ცოტა დააკლდა



საქართველოს ნაკრებმა ამ დღეებში თურქეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა საგზატკეცილო ველორბოლაში. ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. მონაწილეობდნენ გერმანიის, პოლონეთის, რუმინეთის, სლოვენიის, ბულგარეთის, საბერძნეთის, ალბანეთის, ისრაელის და თურქეთის ორი გუნდი. მასპინძელთაგან ერთი შემადგენლობა პროფესიონალი მრბოლებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც ცნობილ კლუბ „ლასას“ წარმოადგენდნენ.

საქართველოდან ტურნირში **გიორგი ნადირაძე**, 4 **ნოდარ კაცაძე** (ორივე – ქობული), **არჩილ მახარაშვილი** (თბილისი) და **ნოდარ ყვავაძე** (ქუთაისი) მონაწილეობდნენ (მწვრთნელები **ხვიჩა ბარბაქაძე** და **ბორის კილასონია**).

ხუთეტაპიანი (165 კმ) რბოლის ურთულეს ტრასაზე გიორგი ნადირაძემ მხოლოდ წამების მეათედით დათმო მესამე საპრიზო ადგილი. ჩვენი ნაკრები კი საბოლოო ჯამში მე-7 ადგილზე გავიდა.

ჭადრაკი

# ნახევარი ქულით ჩამორჩება

ვარნაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში 8 ქვეყნის 82 წარმომადგენელი მონაწილეობს. მათ შორისაა ქართველი დიდოსტატი **დავით ჯოჯუა**, რომელმაც განვლილ სამ ტურში 2,5 ქულა მოაგროვა. შეჯიბრების სტარტზე **ნარმინ სოუნლუს** სძლია, შემდეგ **ხაიალა აბდულას** დაუზავდა, გუშინ კი **ელნურ ბაბაზადე** დაამარცხა.

სამი ტურის შემდეგ შეჯიბრებას უდანაკარგოდ ლიდერობენ **ვლადიმირ გიორგიევი, კრასიმირ რუსევი, ტიხომირ იანევი, მიროსლავ ლევიცკი** და **მირკა პარლიგრასი**. დავით ჯოჯუა დღეს მე-4 აზერბაიჯანელს — **ნარმინ კაზიმოვას** დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს თასის მეორე პრიზიორის, სტუდენტთა საერთაშორისო თამაშების ორგზის ჩემპიონის, სსრ კავშირის ჩემპიონისა და ოთხგზის პრიზიორის
**ოთარ კანდელაკის**
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფ.ს.კ. „დინამო“ და ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი თანაგრძნობას უცხადებს კანდელაკის ოჯახს სახელოვანი ვეტერანი მოჭიდავის
**ოთარ კანდელაკის**
გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

# ევრო 2013-ის გზას ვერ მიმასწავლით?



ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ევროპის მთავარმა საკალათბურთო ორგანიზაციამ B დივიზიონის გაუქმების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. ფიბა-ევროპის ისლანდიელმა შეფმა **ოლაფ რაფნსენმა** განაცხადა - ევრობასკეტის საგზურისთვის ბრძოლის საშუალება ევროპის ყველა ნაკრებს წინა წელს მიეცემაო. ეს ღირებული განცხადებაა, რადგან სწორედ დივიზიონებად დაყოფის შემდეგ ნებისმიერ მეორელიგელს ევროპის ჩემპიონატამდე მისაღწევად ოთხი წელი სჭირდებოდა. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: საქართველოს ნაკრებმა 2011 წლის ევრობასკეტზე მოხვედრისთვის თამაში 2008 წელს დაიწყო - ორი წელი B დივიზიონში იასპარეზა, ხოლო წლეულს A ლიგის გუნდებთან ერთად შესარჩევ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას...

ფიბა-ევროპის ახალი გადაწყვეტილების მიხედვით, შესარჩევი ტურნირის ფორმატი 2012 წლიდან შეიცვლება. ქართველი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, რა სისტემით და რა ვადებში გაიმართება ევრობასკეტი 2013-ის შესარჩევი ტურნირი. ამ კითხვის პასუხი ფიბა-ევროპის ოფიციალურ საიტზე ვერ ვნახეთ. ამიტომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **მერაბ რატიშვილს** ვკითხეთ. იგი ახლახან ესპანეთის კუნძულოვანი მხარიდან, კანარებიდან დაბრუნდა და ამომწურავი ინფორმაციაც ჩამოიტანა. ვიდრე ტურნირის სისტემაზე მოგახსენებდეთ, გეტყვით, რომ ბატონი მერაბი კანარებზე ფიბა-ს მიწვევით იყო - სხვა კომისრებთან და მსაჯებთან ერთად (ესპანეთში არბიტრი **მაკა კუპატაძეც** იყო) სარეიტინგო სემინარები გაიარა.

*- ესპანეთში ევრო 2013-ის შესარჩევი ტურნირის სტრუქტურის შესახებ ფიბა-ევროპის კომპეტენტურ პირებს ველაპარაკე. მართალია, ჯერ მონაწილე გუნდების რაოდენობა გარკვეული არ არის, მაგრამ ზოგადი მონახაზი უკვე არსებობს. ცნობილია, რომ შესარჩევი ტურნირი ყოველგვარი საკვალიფიკაციოების გარეშე ერთი თვის ვადაში მიმოსვლით გაიმართება. მატჩები აგვისტოსა და სექტემბერში ჩატარდება, ისე, როგორც ბოლო წლებში,* - გვითხრა გენერალურმა მდივანმა.

აგვისტო-სექტემბერში შეჯიბრების მოთავება ფიბა-ევროპას ორი მიზეზით სჭირდება. პირველია NBA-ს ფაქტორი - როცა ამერიკაში მატჩები დაიწყება, კალათბურთელს ევროპაში არც ერთი კლუბი არ გამოუშვებს. შესაბამისად, ევროპის მმართველ საკალათბურთო ორგანიზაციას სურს, რომ NBA-ს ვარსკვლავები ნაკრებებსაც დაეხმარონ და ამიტომ შესარჩევი ტურნირის ვადები აგვისტო-სექტემბრით განსაზღვრა. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი: ფიბა-ევროპასა და საკლუბო ორგანიზაცია ულებ-ს შორის გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, ულებ-ის მოთხოვნით ოქტომბრიდან მაისამდე სანაკრებო მატჩები არ უნდა გაიმართოს. რომ ჩატარდეს, ევროლიგისა და ევროთასის კლუბები ნაკრებებში კალათბურთელებს არ გაუშვებენ...

ასე და ამგვარად, გავარკვიეთ, რომ ევრობასკეტი 2013-ის შესარჩევი ტურნირი 2012 წლის აგვისტო-სექტემბერში, 30 დღეში ჩატარდება.

ახლა ფორმატი გავარკვიოთ. 2012-ში შესარჩევში მონაწილეობას არ მიიღებენ ევროპის ჩემპიონატის (2013) მასპინძელი, ოლიმპიადის მასპინძელი (დიდი ბრიტანეთი) და 2012 წლის ოლიმპიადის მონაწილე ევროპული ქვეყნები. ისინი ავტომატურად მიიღებენ ევრობასკეტი 2013-ის საგზურს. ჩნდება კითხვა - რამდენი გუნდი მოხვდება შესარჩევის გარეშე? პასუხს დღეს ვერ გაგცემთ. ეს დამოკიდებულია ევროპის 2011 წლის პირველობაზე ნაჩვენებ შედეგებზე და შემდეგ იმაზე, რამდენი ევროპელი მოხვდება 2012-ის ოლიმპიადაზე. შედარებისთვის გეტყვით, რომ ევრობასკეტი 2011-ის საგზური ავტომატურად მიიღო ათმა ნაკრებმა (ეს ათეული წლეულს თურქეთში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს).

*- ევროპის 51 ქვეყნიდან (ბობოლა საკალათბურთო ქვეყნების გამოკლებით) ვინც 2012 წელს შესარჩევში თამაშის სურვილს გამოთქვამს (მაგალითად, წლეულს დანიელებმა უარი თქვეს B დივიზიონში თამაშზე), ის გუნდები ჯგუფებად გადანაწილდებიან და ევროპის ჩემპიონატის მონაწილეებს 2012-შივე გამოავლენენ,* - გვითხრა მერაბ რატიშვილმა.

ზემოთ ნახსენებ ბობოლებს შესარჩევიდან გასული ნაკრებები დაემატებიან და მივიღებთ 24-გუნდიან შემადგენლობას. შეგახსენებთ, რომ ახლახან ფიბა-ევროპამ ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა 16-დან 24-მდე გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო.

სავარაუდოდ, შესარჩევ ეტაპზე გუნდები 10-12 ჯგუფად დაიყოფიან, რომლებშიც 4-5 გუნდი მოხვდება. რამდენგუნდიანი რამდენი ჯგუფი შეიკრიბება, ამაზე ფიბა-ევროპა ზუსტ პასუხს მას მერე გასცემს, რაც ნაკრებები მონაწილეობის განაცხადს გააკეთებენ და გაირკვევა, რამდენი გუნდი ითამაშებს 2012 წლის შესარჩევზე.

24 საუკეთესო 2013 წელს ევროპის ჩემპიონატზე რომ იასპარეზებს, გასაგებია. დანარჩენებს რა ბედი ელით? ამ კითხვაზე მერაბ რატიშვილმა გვიპასუხა:

*- ვინც ევრობასკეტზე ვერ მოხვდება, 2013 წელს საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმება. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული 2015 წლის ევრობასკეტის საგზურს მიიღებს და 2014 წელს შესარჩევისგან გათავისუფლდება. იდეალური სისტემა არ არის, მაგრამ დივიზიონებად დაყოფას ნამდვილად სჯობს.*

ვფიქრობთ, ფედერაციის გენერალურ მდივანთან ერთად მეტ-ნაკლებად კარგად გავარკვიეთ 2012-2013 წლების საკალათბურთო სქემებში. ახლა ორიოდე სიტყვა საქართველოს ნაკრების პერსპექტივებზე ვთქვათ. ბატონ მერაბთან საუბრისას ყველაზე მეტი კითხვა 2012 წლის ტურნირის შესახებ დავსვით. არადა, არის შანსი (დიდი თუ მცირე, თავად იმსჯელეთ), რომ საქართველოს ნაკრებს ამ შესარჩევში მონაწილებამ არ მოუწიოს, რისთვისაც საჭიროა ჯერ ევროპის პირველობის საგზურის მოპოვება (2010 წელს), შემდეგ ლიტვაში (2011) საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა, რაც ლონდონის ოლიმპიადის (2012) ლიცენზიას გვარგუნებს. თუმცა ეს დღეს ვარდისფერ ოცნებად ჩანს...

გაცილებით დიდი შანსია, ჩვენმა ნაკრებმა 2012 წლის შესარჩევზე ითამაშოს... უფრო სწორად, წარმატებით ითამაშოს. ამის თქმის უფლებას გუნდის დღევანდელი „ადგილმდებარეობა" გვაძლევს - A დივიზიონში 15 ნაკრები თამაშობს, ხოლო 10 ბობოლა წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს. 15+10=25. გამოდის, რომ ევრობასკეტი წლეულს რომ იმართებოდეს და მასში 24 გუნდი მონაწილეობდეს, ქართველები 96 პროცენტით იქ ითამაშებდნენ. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ სადღეისოდ B დივიზიონში რამდენიმე ისეთი გუნდია, რომლებთან სტუმრად მოგება სულაც არ არის იოლი... იმის თქმა გვინდა, რომ ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა 24-მდე გაზრდა ევრობასკეტზე მოხვედრის გარანტიას სულაც არ იძლევა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# გიორგი შერმადინი პანათინაიკოსში რჩება

ამ ზაფხულს **გიორგი შერმადინი** მშვიდად შეუერთდება საქართველოს ნაკრებს. მას არც სატრანსფერო საზრუნავი ექნება და არც ახალი მწვრთნელის მისვლით გუნდში მოსალოდნელ ცვლილებებზე მოუწევს ფიქრი.

არადა, საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში უთამაშებლობის შემდეგ (გიორგი „ოლიმპიაკოსთან" მატჩებში მოედანზე ერთხელაც არ გამოჩენილა) ზოგიერთმა სპეციალისტმა გამოთქვა ვარაუდი, რომ გიორგის გაისად სხვა კლუბში გაანათხოვრებდნენ. ამ საკითხის გასარკვევად შერმადინის აგენტ **ლევან მიქელაძეს** დავუკავშირდით, რომელმაც გვითხრა, რომ გიორგი „პანათინაიკოსთან" კონტრაქტითაა დაკავშირებული და მომავალ სეზონსაც „მწვანეთა" რიგებში გაატარებს.

შერმადინის გარდა გარკვეულია კიდევ ორი პანათინაიკოსელის ბედი - **დიამანტიდისიც** გუნდში რჩება, ხოლო მთავარ მწვრთნელ **ჟელკო ობრადოვიჩს** კლუბის ხელმძღვანელებმა ახალი ორწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს.

რადგან ობრადოვიჩს გიორგის განათხოვრება არ სურს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალი სეზონისთვის მასზე დაყრდნობასაც აპირებს. დაველოდოთ სექტემბერ-ოქტომბერს... მანამდე კი შერმადინს რთული მისია აქვს შესასრულებელი - აგვისტოში **ზაზა ფაჩულიასთან** ერთად საქართველოს ნაკრების ფარქვეშეთი უნდა გაამაგროს.



**ვაჟა სიმონიშვილი**

წყალბურთი



ლიგამუსი

# ლიგამუსი პირველია

თვეც არ გასულა, რაც მწყობრში ჩადგა „ოლიმპიკის" რეკონსტრუირებული საწყლოსნო კომპლექსი, მაგრამ აქაურ 50-მეტრიან აუზში უკვე წყალბურთელთა სამი ტურნირი გაიმართა. ბოლო შეჯიბრება 1997-1998 წლებში დაბადებულთა საქართველოს პირველობა იყო, რომელშიც თბილისის ექვსი გუნდი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ყველა მათგანი ერთნაირად მომზადებული როდი შეხვდა ასპარეზობას, რაც წრიული სისტემით გამართულმა ორთაბრძოლებმაც ცხადყო. გაცნობებთ ტურების მიხედვით შეხვედრათა ანგარიშებს.

**I ტური. „ივერია"- სკოლა - ლიცეუმი 28:1, „ტონუსი" - „ლიგამუსი (2)" 3:10, „ლიგამუსი (1)"-„თბილისი" 24:4.**

**II ტური. „თბილისი"-„ტონუსი" 9:11, „ივერია"-ლიგამუსი (2)" 33:6, ლიცეუმი-„ლიგამუსი (1)" 4:34.**

**III ტური. „ივერია" - „ტონუსი" 38:4, „ლიგამუსი (2)"-„ლიგამუსი (1)" 1:31, ლიცეუმი-„თბილისი" 19:13.**

**IV ტური. „ტონუსი" - „ლიგამუსი (1)" 2:33, „ივერია" - „თბილისი" 36:3, ლიცეუმი-„ლიგამუსი(2)" 13:9.**

**V ტური. „ტონუსი"- ლიცეუმი 10:19, „თბილისი" „ლიგამუს (2)"-თან სათამაშოდ არ გამოცხადდა და ტექნიკური ნაგება (0:5) ჩაეთვალა. „ივერია"-„ლიგამუსი (1)" 11:16.**

ყველაზე დაძაბული ბოლო ტურში „ივერიისა" და „ლიგამუსი 1"-ის შეხვედრა გამოდგა. სამი პერიოდის განმავლობაში თანაბარი პაექრობა იყო. ბოლო შვიდწუთიან მონაკვეთში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საწყლოსნო კლუბ „ლიგამუსის" წევრებმა (**ირაკლი რაზმაძე, სანდრო ღლონტი, გოჩა ვადაჭკორია, გიორგი თურქია, ლაშა ოხანაშვილი, გიორგი ჭედია, ლუკა მგელაძე, ლევან მოსაშვილი, რევაზ იმნაიშვილი, ზურაბ კვირკველია, ნიკა შუშიაშვილი, მიკა თუხარელი**, მწვრთნელები — **სოსო მაისურაძე** და **გოგა დოლიძე**) იმძლავრეს და მეტოქეს 16:11 აჯობეს, რითაც პირველობა მოიპოვეს. მეორე ადგილზე „ივერია" გავიდა, ბრინჯაოს მედლები თბილისის სკოლა-ლიცეუმის წყალბურთელებს ხვდათ.

საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს: ირაკლი რაზმაძე (მეკარე, „ლიგამუსი"), დათო რევია (მცველი, „ივერია"), რევაზ იმნაიშვილი (თავდამსხმელი, „ლიგამუსი"). 70 გატანილი გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა **ანდრო ბითაძე** („ივერია"), რომელიც ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს.

— დღევანდელმა შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ და სწორი გზითაც მივდივართ, უნივერსიტეტთან წყალბურთის კლუბი რომ ჩამოვაყალიბეთ, — გვითხრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ყოფილმა წყალბურთელმა **სერგო რატიანმა**, — საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია უწინდელი ტრადიციების ასაღორძინებლად ძალ-ღონეს არ იშურებს და შედეგიც გამოჩნდა. პირველობის ბოლო შეხვედრის მონაწილეებმა გააზრებული თამაშით მოხიბლეს გულშემატკივრები, რომლებიც მრავლად მოვიდნენ ამ პაექრობის საყურებლად. მიხარია, რომ ლიგამუსელებმა ჩემპიონობა მოიპოვეს. ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა საწყლოსნო სახეობის ფედერაციასთან ერთად ყველაფერს გააკეთებს წყალბურთის პოპულარიზაციისთვის, რადგან სპორტის ამ სახეობას საქართველოში მომავალი აქვს.

**ალექსანდრე ბითაძე**, საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: ფინალური ასპარეზობა საინტერესო და დაძაბული გამოდგა, რასაც ვერ ვიტყვით სხვა პაექრობებზე. ერთი ასაკის წყალბურთელთა გუნდების შეხვედრები 25-30 ბურთების სხვაობით არ უნდა მთავრდებოდეს. მწვრთნელების მუშაობით ვარ უკმაყოფილო. სპორტსმენთა მოსამზადებლად ერთადერთი სოსო მაისურაძე უთმობს ცურვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ცხადია, წყალბურთის თამაშის ტექნიკა-ტაქტიკასთან ერთად, ამიტომაც სრულიად კანონზომიერად გაიმარჯვეს მისმა შეგირდებმა.



ანდრო ბითაძე

გვაწუხებს მეორე დიდი პრობლემაც: საქართველოს პირველობებში მხოლოდ თბილისური გუნდები მონაწილეობენ. ეს ხარვეზიც სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ. ქუთაისში დღეს 40-50 მოზარდი ვარჯიშობს წყალბურთში, მაგრამ აუზის პრობლემა აქვთ. სპეციალური წერილი მივწერე ცენტრალური საცურაო აუზის მეპატრონეს, რათა გვერდით დაუდგეს ყმაწვილებს, იმედია, ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებენ.

უკეთესი სიტუაციაა აჭარაში. იქაური წყალბურთელები ჩაქვში ვარჯიშობენ და 1995-1996 წლებში დაბადებულთა საქართველოს პირველობაში იასპარეზეს კიდეც. კარგი შთაბეჭდილებაც დატოვეს. იმედია, სხვა ასაკებშიც მოამზადებენ გუნდებს.

რაც შეეხება საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს, 22 ივნისს იგი ნოვი სადში გაემგზავრება სერბეთის გუნდთან ერთობლივი საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად. ჩვენი ბიჭები სერბებთან ერთად ბუქარესტში გაემართებიან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, სადაც 1 ივლისიდან მათთან ერთად მასპინძლები, სლოვაკები და თურქები იასპარეზებენ. ეს ტურნირი ქართველ წყალბურთელებს გამოცდილების მიღებასა და ოსტატობის დახვეწაში დაეხმარება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტოები

● IRB -ს ერთა თასი




საქართველო-შოტლანდია A

# ერთი შანსი ბორჯღალოსნებისთვის

საქართველოს ნაკრები დღეს ბუქარესტში IRB-ის ერთა თასის გათამაშების მეორე ტურში თბილისის დროით 16 საათზე იტალიის A ნაკრებს ეთამაშება. „ბორჯღალოსანთა“ რიგებში **ტიმ ლეინმა** რამდენიმე ცვლილება განახორციელა. თუმცა ამაზე და იტალიელებთან დაპირისპირების მნიშვნელობის შესახებ ოდნავ ქვემოთ.

მანამდე კი გვინდა, იმ რეზონანსის შესახებ მოგითხროთ, რაც ჩვენი გუნდის შოტლანდიის A ნაკრებთან გამარჯვებამ გამოიწვია. მთავარი ისაა, რომ რაგბიზე მწერალ არც ერთ ინტერნეტსაიტს ეს ფაქტი უყურადღებოდ არ დაუტოვებია, მაშინ, როცა ამავე ტურნირზე ნამიბიის გამარჯვება მასპინძლებთან და იტალიის A ნაკრების მიერ არგენტინის A ნაკრების მოულოდნელი ძლევა, ფაქტობრივად, არავის უხსენებია.

შოტლანდიელთა ძლევას ის ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რომ ეს იყო აღმოსავლეთევროპული რაგბის სამყაროს წარმომადგენლის მიერ ბრიტანული, ანუ ბობოლა სარაგბო ქვეყნებიდან ერთ-ერთის პირველად დამარცხების ფაქტი.

ცხადია, IRB-მ და განსაკუთრებით ადგილობრივმა, ანუ რუმინულმა მედიამ საქართველოს ნაკრების ამ წარმატებას ყველაზე მეტი ყურადღება დაუთმო.

ერთ-ერთი რუმინული სპორტული ვებგვერდი წერდა:

*„საქართველოს ნაკრებმა უზარმაზარ წარმატებას მიაღწია. მეორე დონის სარაგბო ქვეყანამ პირველად სძლია წამყვანი სარაგბო ქვეყნის ნაკრებს. მერე რა, რომ შოტლანდია A ნაკრებით იყო წარმოდგენილი, ბუქარესტში ქართველებმაც ექსპერიმენტული შემადგენლობა ჩამოიყვანეს. ქართველ მორაგბეთა უმრავლესობის გვარები სულაც პირველად გავიგეთ. ამ დროს მათი ნაკრების ვარსკვლავები საფრანგეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ისვენებენ.“*

ეს კი შოტლანდიის რაგბის კავშირის ოფიციალური ვებგვერდის პოზიციაა:

*„საქართველოს ნაკრებმა დიდი სიურპრიზი შემოგვთავაზა. IRB -ს ერთა თასის გათამაშების პირველივე ტურში ქართველებმა სენსაციურად დაამარცხეს ჩვენი A ნაკრები. დასაწყისში თამაშს ისეთი პირი უჩანდა, რომ საქართველოს ნაკრები უშანსოდ იყო. ჩვენმა ნაკრებმა ლელო მეოთხე წუთზე გაიტანა და პირველი ტაიმი, რომელშიც საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა, 13:3 მოიგო.*

*მეორე ტაიმში ყველაფერი თავდაყირა დადგა და უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველებმა ეს გამარჯვება ალალად დაიმსახურეს. მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების კაპიტანი თედო ზიბზიბაძე სიხარულს ვერ მალავდა - სიტყვები არ მყოფნის, აგიწეროთ, რა ბედნიერი ვარ, - ამბობს ის - საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ძირითადად შინაურ ჩემპიონატში მოასპარეზე ახალგაზრდა მორაგბეებითაა დაკომპლექტებული, უდიდეს წარმატებას მიაღწია. ეს გამარჯვება მათთვის ბრწყინვალე გაკვეთილი და დიდი სტიმულის მიმცემია“.*

*შოტლანდიელთა მწვრთნელი **შონ ლინენი** ზედმეტად მკაცრი იყო საკუთარი გუნდის მიმართ: „ბიჭებმა სამშობლოს უღალატეს,“ - თქვა მან. ლინენი, ცხადია, აჭარბებს. ის მთლად კორექტული არც ჩვენი გუნდის მიმართ იყო: „საქართველოს ნაკრების მორაგბეები მარტივად ირჯებოდნენ. ისინი რაგბის არ თამაშობდნენ. ბურთს გამუდმებით ფეხით იცილებდნენ მაშინ, როცა ჩვენ რაგბის თამაშს ვცდილობდით მისი ყველა კომპონენტის გამოყენებით“.*

ასეა თუ ისე, საქართველოს ნაკრებმა მართლაც ისტორიული გამარჯვება მოიპოვა და კარგი შანსი აქვს, ტურნირიც მოიგოს. საამისოდ კი, დარჩენილ ორ შეხვედრაში გამარჯვებაა საჭირო.

იტალიის A ნაკრებთან სათამაშოდ ტიმ ლეინმა მნიშვნელოვნად შეცვლილი შემადგენლობა შეარჩია. წინა მატჩისგან განსხვავებით პირველ ხაზში ძირითად შემადგენლობაში შერკინების ბურჯი **ვასილ კაკოვინი** და კვაჭი **ირაკლი ნატრიაშვილი** ითამაშებენ.

სამი მესამეხაზელიდან ლეინმა მხოლოდ ერთი, **ლაშა თავართქილაძე** დატოვა. რვა ნომერი **ვიქტორ კოლელიშვილი დავით ბოლღაშვილით** შეცვალა, ხოლო **სიმონ მაისურაძის** ადგილი **შოთა საყვარელიძეს** ანდო.

რამდენიმე ცვლილებაა უკანა ხაზშიც. მგეზავის პოზიციას **მერაბ კვირიკაშვილი** დაიკავებს. შუამარბი **რეზო გიგაური გიგა კორკელიამ** შეცვალა. შოტლანდიელებთან მატჩის გმირი, ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილი** ამჯერად დაისვენებს - მის ნაცვლად გამოცდილი **მალხაზ ურჯუკაშვილი** ითამაშებს.

**საქართველო-იტალია A**

**საქართველო: 15. მალხაზ ურჯუკაშვილი, 14. ალექსანდრე თოდუა, 13. თედო ზიბზიბაძე, 12. გიგა კორკელია, 11. ირაკლი ჩხიკვაძე, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ბიძინა სამხარაძე**

**1. დავით დადუნაშვილი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. ვასილ კაკოვინი, 4. შალვა სუთიაშვილი, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. შოთა საყვარელიძე, 7. ლაშა თავართქილაძე, 8. დავით ბოლღაშვილი**

16. კარლენ ასეიშვილი, 17. ბექა შეყლაშვილი, 18. კახა უჩავა, 19. ვიქტორ კოლელიშვილი, 20. გიორგი როხვაძე, 21. რეზო გიგაური, 22. ლაშა ხმალაძე

იტალია: 15. სამუელ პასე, 14. ტომაზო ბენევენუტი, 13. რობერტო კუარტაროლი, 12. ანდრეა პრატიკეტი, 11. ალბერტო სგარბი, 10. ლუჩანო ორკუერა, 9. ფაბიო სემენცატო

1. მატეო მუჩინატი, 2. კარლო ფესტუჩა, 3. დარიო კისტოლინი, 4. ანტონიო პავანელო. 5. ენრიკო პავანელო, 6. რობერტო ბარბიერი, 7. ფრანჩესკო მინტო, 8. იაკო ერასმუსი

16. დავიდე გიაძონი, 17. ანდრეა დე მარკი, 18. მანტვიდას ტვერაგა, 19. სილვიო ორლანდო, 20. ჯულიო ტონიოლატი, 21. ალბერტო კიეზა, 22. მასიმელიანო რავალე

მსაჯი: მარიუს იონკერი (ს.აფრიკა)

**II ტური**

15 ივნისი: საქართველო-იტალია A , შოტლანდია A-ნამიბია, არგენტინა A-რუმინეთი

**III ტური**

20 ივნისი: საქართველო-ნამიბია, იტალია A -რუმინეთი, არგენტინა A-შოტლანდია A

სატურნირო მდგომარეობა: 1. ნამიბია - 4 ქულა, 2. იტალია A - 4, 3. საქართველო - 4, 4. შოტლანდია A - 1, 5. არგენტინა A - 1, 6. რუმინეთი - 1

● ლეგიონერები

# ქართული ლეგიონის ოქროს სეზონი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის დასასრული ქართველი მორაგბეების კიდევ ერთი წარმატებით აღინიშნა. ფედერალ 1 დივიზიონის პლეი ოფის ნახევარფინალში **ირაკლი მაჩხანელის, ბესო უდესიანისა** და **შოთა საყვარელიძის** „სენ ეტიენმა“ „ბურგ ან ბრესს“ სტუმრად მეორე შეხვედრა მოუგო - 19:16 და ფინალში თამაშის უფლებასთან ერთად ელიტური, მეორე დივიზიონის საგზურიც მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში „სენტ ეტიენმა“ შინ მეტოქე მინიმალური სხვაობით - 23:22 დაამარცხა.

განმეორებით შეხვედრაში მაჩხანელმა სრულად ითამაშა, უდესიანი 44-ე წუთზე შეცვალეს, საყვარელიძე კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად ბუქარესტში იმყოფება.

აღსანიშნავია, რომ წლევანდელი სეზონი ქართული ლეგიონისთვის ყველაზე წარმატებულია. საფრანგეთის ჩემპიონი გახდა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“, ელიტურ, მეორე დივიზიონში პირველი ადგილი დაიკავა და პირველ დივიზიონში თამაშის უფლება მოიპოვა **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენმა“. ირაკლი მაჩხანელის, ბესო უდესიანისა შოთა საყვარელიძის „სენტ ეტიენზე“ უკვე ვთქვით.

ფედერალ 2 დივიზიონში ჯგუფურ ტურნირში გაიმარჯვა და ფედერალ 1 დივიზიონში აღზევდა **მერაბ კვირიკაშვილის, მალხაზ ურჯუკაშვილისა და დიმა პავლოვის** „ფიჟაკი“. ერთი სიტყვით, ქართული ლეგიონისთვის 2009-10 წლების სეზონი საფრანგეთში მართლაც ოქროსი გამოვიდა.

● მსოფლიო რეიტინგი

# ბორჯღალოსნები ერთი საფეხურით დაწინაურდნენ

საქართველოს ნაკრები მსოფლიო კლასიფიკაციაში ერთი საფეხურით დაწინაურდა. „ბორჯღალოსნების“ წინსვლა „პასიფიკ კაპზე“ ტონგას ნაკრების სამოას ეროვნულ გუნდთან 23:24 მარცხმა განაპირობა. ტონგელებს, რომლებიც რეიტინგში 0,02 ქულით გვისწრებდნენ, 0,3 ქულა დააკლეს.

ამრიგად, საქართველოს ნაკრები 68,09 ქულით მსოფლიო რეიტინგში მე-15 ადგილზეა.

● მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# სამხრეთს ინგლისი ეულად დაუპირისპირდება

არგენტინაში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჯგუფური ტურნირი დასრულდა. ჩემპიონობისთვის მებრძოლთაგან ნახევარფინალში სამივე სამხრეთელმა ბობოლამ გააღწია. საკითხავი ისღა იყო, ვინ იქნებოდა ევროპელთაგან საუკეთესო, რომელიც სამხრეთელებს პლეი ოფში კონკურენციას გაუწევდა. ასეთი ინგლისის ნაკრები აღმოჩნდა.

ინგლისელები B ჯგუფში ასპარეზობდნენ. ბოლო ტურის წინ „პომებს“ და „ლე ბლეს“ ორ-ორი მოგება ჰქონდათ და მათ შორის გამარჯვებული ჯგუფში პირველ ადგილზე გადიოდა. ინგლისელებმა მეტოქე 17:9 დაამარცხეს. არადა, პირველ ტაიმში გაცილებით უკეთ ფრანგები გაისარჯნენ, თუმცა მხოლოდ სამქულიან უპირატესობას მიაღწიეს - 6:3.

მეორე ნახევარში მგეზავ **ტომ ჰომერის** ნაცვლად კარში დარტყმა ფულბეკმა **ფრედი ბრანსმა** ითავა და გაამართლა კიდეც. ერთი ლელო მესამეხაზელი **ჯიმი გიბსონის** ანგარიშზეა.

ამავე ჯგუფში არგენტინის ნაკრებმა ირლანდიას 24:21 მოუგო და ახლა მეხუთე ადგილისთვის ითამაშებს. 14 ქულა გუნდს ცხრა ნომერმა **სანტიაგო მენდესმა** მოუტანა (ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა). ირლანდიელები, რაც უნდა საკვირველი იყოს, ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლო ადგილზე გასულს წლეულს „ჩელენჯ ტროფიზე“ გამარჯვებული იტალიის ნაკრები შეცვლის.

**B ჯგუფი**

სატურნირო მდგომარეობა: **ინგლისი - 13 ქულა, საფრანგეთი - 9, არგენტინა - 4, ირლანდია - 2**

A ჯგუფში სამიდან სამივე მატჩი მოიგო ახალი ზელანდიის ნაკრებმა. ბოლო, მესამე ტურში „ოლ ბლექსმა“ უელსის ნაკრები დაამარცხა - 43:10. „ნორჩმა კივებმა“ მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანეს, აქედან ორ-ორი უკანახაზელების **ჯულიან სავეს** და **ტომ მარშალის** ანგარიშზეა.

ამავე ჯგუფში ფიჯის ნაკრებმა სამოა დაამარცხა - 15:12. გამარჯვებული გავარდნისთვის ბრძოლას გადაურჩა.

**A ჯგუფი**

სატურნირო მდგომარეობა: **ახალი ზელანდია - 15 ქულა, უელსი - 8, ფიჯი - 4, სამოა - 1.**

მიმდინარე მსოფლიოს, ჩემპიონატის საუკეთესო მატჩი სამხრეთ აფრიკისა და ავსტრალიის ნაკრებების დაპირისპირება იყო. გუნდებმა ხუთ - ხუთი ლელო გაიტანეს. „უმცროს ვოლაბებს“ კი 42:35 მგეზავ **მეთ ტოუმას** ფეხჩუბინობამ გაამარჯვებინა, მან ორით მეტი გარდასახვა და ერთით მეტი საჯარიმო გაიტანა.

ავსტრალიელთაგან სამი ლელო გარემარბმა **დომინიკ შიპერლეიმ** მიითვალა. სამხრეთაფრიკელთა ხუთი ლელოდან კი ორი ასევე გარემარბ **ვენდილი მიეკევუს** ეკუთვნის. მარცხის მიუხედავად, „ბოკე“, ისევე როგორც „ვოლაბიზი“, პლეი ოფში პირველი ადგილისთვის ითამაშებს, რადგან მეორეადგილოსანთა შორის საუკეთესო შედეგი აქვს. ამავე ჯგუფში შოტლანდიამ იოლად სძლია ტონგას - 27:3.

**C ჯგუფი**

სატურნირო მდგომარეობა: **ავსტრალია - 15 ქულა, სამხრეთ აფრიკა - 12, შოტლანდია - 4, ტონგა - 0**

IX ადგილისთვის: **ირლანდია-სამოა, შოტლანდია-ტონგა**

V ადგილისთვის: **უელსი-არგენტინა, საფრანგეთი-ფიჯი**

ნახევარფინალი: **ავსტრალია-ინგლისი, ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკა**

● ჩერჩილის თასი

# კანადა ჩერჩილს უმიზნებს

ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე „ჩერჩილის თასის“ გათამაშებაში ჯგუფური ტურნირის დასასრული სენსაციით აღინიშნა. კანადის ნაკრებმა საფრანგეთის A ნაკრებს უშელავათო ბრძოლა გაუმართა და 33:27 მოუგო. შედეგად, ჩრდილოამერიკელებმა A ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და ტურნირის ფინალში ინგლისის A ნაკრებთან თამაშის უფლება მოიპოვეს.

ინგლისელებმა თავის მხრივ მასპინძელთა ეროვნული გუნდი დაამარცხეს - 32:9 და A ჯგუფში იპირველეს.

მესამე ადგილისთვის ერთმანეთს აშშ-ისა და საფრანგეთის A ნაკრებები დაუპირისპირდებიან. მეხუთე ადგილს კი ჯგუფებში ბოლო ადგილზე გასულები, რუსეთი და ურუგვაი შეეცილებიან ერთმანეთს.

A ჯგუფი: **კანადა - 9 ქულა, საფრანგეთი A - 6, ურუგვაი - 0**

B ჯგუფი: **ინგლისი A - 10 ქულა, აშშ - 5, რუსეთი - 0**

V ადგილისთვის: **რუსეთი-ურუგვაი**

III ადგილისთვის: **აშშ-საფრანგეთი A**

ფინალი: **ინგლისი A-კანადა**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**




აშშ-ინგლისი A

www.sport.gov.ge

ავტოსპორტი | ლე მანის 24 საათი



# აუდის ტრიუმფი, პეჟოს ფიასკო

დასრულდა ავტოსპორტის სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რბოლა - „ლე მანის 24 საათი", რომელიც წელს 78-ედ ჩატარდა. ავტომარათონი გერმანული „აუდის" სრული ტრიუმფითა და „პეჟოს" კატასტროფული გამოსვლით აღინიშნა.

რბოლის შედეგების აღწერა არც ისე იოლია. ის, რაც „პეჟოს" გუნდს დაემართა, ნამდვილი ტრაგედია იყო. ფრანგულმა საჯინიბომ შესანიშნავი მოსამზადებელი სამუშაო ჩაატარა და კვალიფიკაციაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია - პირველი სამი ადგილი. პოულის მფლობელი **სებასტიან ბურდე** გახდა, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ სკანდალით გაბაძევეს ფორმულა 1-დან.

ფრანგული მანქანის უპირატესობა აშკარა იყო - „აუდი", რომელმაც სასტარტო ბილიკზე მე-5-7 ადგილები დაიკავა, მთავარ კონკურენტთან რამდენიმე წამს აგებდა. გერმანელები მხოლოდ საკუთარი მანქანების საიმედოობაზე თუ იქნებოდნენ დამოკიდებულნი, მაგრამ საბოლოო შედეგმა თვით გერმანული საჯინიბოც კი შოკში ჩააგდო.

რბოლა ბევრი მონაწილისთვის ძალიან მალე დასრულდა. პირველივე წრედან გავარდა **მარკ ლუისი**. 20 წუთის შემდეგ კი ლე მანზე გამოსვლა დაასრულა ლეგენდარულმა **ნაიჯელ მენსელმა**. მის მანქანას საბურავი გაუსკდა და ბრიტანელი დამცავ ბარიერს შეეჯახა. თითქოს ავარია სერიოზული არ იყო, მაგრამ სამედიცინო პერსონალის ჩარევა მაინც საჭირო გახდა. საბედნიეროდ, ნაიჯელს ყველაფერი წესრიგში აქვს, მაგრამ ფორმულა 1-ის ყოფილ ჩემპიონს სხვა რამ ანაღვლებს - მისმა ვაჟებმა ვერ მოასწრეს ამ რბოლაში მონაწილეობა.

მენსელის მანქანას მეხუთე ნომერი ჰქონდა, პირველი ოთხი ნომრის მფლობელები „პეჟოს" პილოტები იყვნენ. საოცარია, მაგრამ მათგან ვერც ერთმა ვერ მიაღწია ფინიშს.

ყველაფერი **სებასტიან ბურდესგან** დაიწყო. ფრანგს უზომოდ გაუხარდა კვალიფიკაციის მოგება, მაგრამ სტარტიდან 2.5 საათის შემდეგ, მექანიკოსებმა „პეჟოს" მანქანა ჩამოწერეს - სებას მანქანას დაკიდება დაუზიანდა და ბოქსებში მისი შეკეთება ვერ მოხერხდა. ამასობაში დაღამდა, თუმცა ამჯერად სერიოზულ სიურპრიზებს ადგილი არ ჰქონია - მცირე პრობლემები შეექმნათ „პეჟოსა" და „აუდის" პირველ ეკიპაჟებს. მაგრამ ამ შემთხვევაში მექანიკოსები სირთულეებს გაუმკლავდნენ და პილოტებმა ისევ მოახერხეს ტრასაზე გასვლა.

გამთენიისას კი „პეჟოს" ამბიციებს კიდევ ერთი სერიოზული დარტყმა მიადგა. **ფრანკ მონტანის**, რომელიც დამაჯერებლად მიიწევდა ლიდერებს შორის, ძრავა აუფეთქდა. „პეჟოს" შეფს **ოლივიე კესნელსს** მეტად ნაღვლიანი სახე ჰქონდა - ტრასაზე ფრანგული გუნდის მხოლოდ ერთი ეკიპაჟი რჩებოდა, რომელიც „აუდის" ორი მანქანის უკან მესამე ადგილზე იმყოფებოდა. ეს ის მანქანა იყო, რომელსაც ღამით პრობლემები შეექმნა, მაგრამ დანებებას არ აპირებდა. **ენტონი დევიდსონს** ძალიან მაღალი ტემპი ჰქონდა და „აუდის" დროს დაახლოებით 5-10 წამს აკლებდა. სუფთა მათემატიკური გათვლით ეს საკმარისი უნდა ყოფილიყო მეორე ადგილის დასაკავებლად და გამარჯვებაც არ იყო გამორიცხული.

მაგრამ დევიდსონსაც რბოლის დასრულებამ მოუწია - ის წრეზე ჩამორჩენილი **ჯონ ო'კონელის** მანქანას დაეჯახა, ბარიერს შეასკდა და უკანა ნაწილი დააზიანა.

ამის შემდეგ, „აუდის" აღარ გასჭირვებია დუბლის შესრულება. მათ სრულიად დამსახურებულად დაიკავეს პოდიუმის სამივე საფეხური. ეს გერმანელებისთვის დიადი 24 საათი იყო.

**რბოლის შედეგები**

1. **ბერნრანდი/დიუმა/როკენფელერი** (Audi R15 TDI - LMP1) - 397 წრე; 2. **ფასლერი/ლოტერერი/ტრელიუერი** (Audi R15 TDI - LMP1) - +1 წრე; 3. **კაპელო/კრისტენსენი/მაკნიში** (Audi R15 TDI - LMP1) - +3 წრე; 4. **აიარი/ანდრე/მეირიკი** (Opeca 01-AIM - LMP1) - +28 წრე; 5. **ლევენტისი/უოტსი/კეინი** (HPD ARX.01 - LMP2) - +30 წრე; 6. **ფერნანდესი/მიუკე/პრიმა** (Lola Aston Martin - LMP1) - +32 წრე... 16. **ალეზი/ფიზიკელა/ვილანდერი** (AF Corse - Ferrari F430 GT - LMGT2) - +74 წრე...

ამბები

**ფორმულა 1**

## პირელის საბურავებით იბრძოლებენ

კანადის გრან-პრის მსვლელობისას იტალიურმა კომპანია „პირელიმ" ოფიციალური მოლაპარაკებები გამართა საჯინიბოების ხელმძღვანელებთან. როგორც ბრიტანული „ავტოსპორტი" ვარაუდობს, საბურავების კომპანიის „დიდ ცირკში" დაბრუნება თითქმის გადაწყვეტილი საკითხია.

მართალია, „პირელის" სარბოლო განყოფილების შეფმა **პოლ ჰემბრიმ** თავი შეიკავა კომენტარებისგან, მაგრამ თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ სწორედ იტალიური კომპანია გახდება მომავალი სეზონიდან ფორმულა 1-ის გუნდებისთვის საბურავების ექსკლუზიური მიმწოდებელი.

**კალათბურთი**

## პაო ლიდერებს ინარჩუნებს

ათენის „პანათინაიკოსმა" მომავალი სეზონისთვის ორი წამყვანი კალათბურთელი შეინარჩუნა. კაპიტანმა **დიმიტრის დიამანტიდისმა** სამი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი საბერძნეთის ჩემპიონატთან და მომდევნო სამ სეზონში 5.5 მილიონ ევროს გამოიმუშავებს.

დიამანტიდისი „პაოში" 2004 წლიდან თამაშობს. შარშან ის საშუალოდ 9.0 ქულასა და 4.9 შედეგიან პასს აგროვებდა.

ჯერ არ გაუფორმებია კლუბთან კონტრაქტი მცველ **ვასილის სპანულისს**, თუმცა მისი დარჩენის საკითხიც თითქმის გადაწყვეტილია. ამ კალათბურთელზე „ოლიმპიაკოსი", „რეალი" და NBA-ის რამდენიმე კლუბი აცხადებდნენ პრეტენზიას, მაგრამ სპანულისმა მკაფიოდ განსაზღვრა მთავარი პრიორიტეტი - ის საბერძნეთის ჩემპიონატში გააგრძელებს თამაშს.

წელს სპანულისის სტატისტიკური მონაგარი 10.1 ქულასა და 3.3 შედეგიან გადაცემას უდრიდა.

კალათბურთი | NBA. პლეი ოფი. ფინალი

# კობის უსარგებლო გმირობა

ფინალური სერიის მეხუთე მატჩით პრაქტიკულად ნულიდან დაიწყო ჩემპიონობისთვის ბრძოლა. აღნიშნულ შეხვედრაში „ბოსტონს" უფრო მეტად სჭირდებოდა გამარჯვება. წაგების შემთხვევაში „კელტებისთვის" თითქმის არარეალური იქნებოდა დარჩენილ ორ მატჩში კალიფორნიაში გამარჯვება. ამიტომაც იყო, რომ ბუკმეკერებმა ფავორიტად **დოკ რივერსის** გუნდი დაასახელეს: 1.74 „ლეიკერსის" 2.15-ის წინააღმდეგ.

სტატისტიკაც ბოსტონელთა მხარეს იყო. ისტორიის თანახმად, ის გუნდი, რომელიც სერიის მეხუთე მატჩს იგებდა, შემდეგ 76 პროცენტის შემთხვევაში NBA-ის ჩემპიონი ხდებოდა. ამ უპირატესობისთვის ღირდა ბრძოლა.

მასპინძლებმა კარგად დაიწყეს - **კევინ გარნეტმა** საყვარელი დისტანციიდან ჩააგდო, **პოლ პირსი** ფარქვეშ შევიდა, **რაჟონ რონდომ** კი იოლი ტყორცნა გამოიყენა - 6:0. კალიფორნიელების შეტევაში კი სრული არეულობა იყო - მათ პირველი ექვსი (!) შეტევა გააფუჭეს, თანაც მთელმა სასტარტო ხუთეულმა „გამოიჩინა" თავი. **კობი ბრაიანტამდე** ბურთი საერთოდ არ აღწევდა, რაც მეტად უცნაური ფაქტია. მიუხედავად ამისა, სტუმრებმა საპასუხო გაქცევა მოახერხეს - 8:0. ამის შემდეგ, თამაში კარგა ხანს თანაბარ ბრძოლაში მიდიოდა. „ბოსტონში" ერთი ერთზე იოლად უმკლავდებოდნენ ოპონენტებს გარნეტი და რონდო, „ლეიკერსში" კი ბრაიანტი და **ენდრიუ ბინუმი** ყოჩაღობდნენ.

მეორე მეოთხედში მოედანზე რეზერვისტები გამოჩნდნენ და ტრადიციულად 12-წუთეულის დებიუტი „სელტიქსს" დარჩა. მასპინძელთა სათადარიგოებმა ტემპს მოუმატეს და იოლად გაუსწორდნენ კალიფორნიელთა რეზერვს, რომელსაც კობი ეხმარებოდა. მეოთხედის დაწყებიდან წუთ-ნახევრის შემდეგ **ფილ ჯექსონს** ტაიმაუტის აღებამ მოუწია. საქმეს მოედანზე ბინუმისა და **რონ არტესტის** დაბრუნებამ უშველა. დიდ შესვენებამდე ხუთწუთ-ნახევრით ადრე სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა - 32:31 „ბოსტონის" სასარგებლოდ. ახლა უკვე რივერსმა მოითხოვა წუთშესვენება.

ერთ წუთში კი მოედანზე კინაღამ ჩხუბი გაჩაღდა. როგორც ეს ხშირად ხდება, დამნაშავე არტესტი აღმოჩნდა. „ლეიკერსის" ფორვარდმა საკმაოდ უხეშად ითამაშა გარნეტის წინააღმდეგ, რის გამოც რონდომ კალიფორნიელს მკერდში ხელი ჰკრა. „კელტების" პლეიმეიკერმა მაშინვე ტექნიკური ჯარიმა მიიღო - მსაჯებმა ამით კონფლიქტი აღკვეთეს. ეს ინციდენტი უფრო მასპინძლებს წაადგათ. მეოთხედის ბოლო გაცილებით მობილიზებულად ჩაატარეს და მეტოქეს ქულა არ აალებინეს. პირსმა კი ორი საშუალო ტყორცნა ჩააგდო და „ბოსტონი" დიდ შესვენებაზე თავაწეული გავიდა - 45:39.

მესამე მეოთხედის პირველივე წუთზე „ბოსტონმა" პირველად მატჩში უპირატესობა ორნიშნა გახადა - რონდო ისევ შეიჭრა მეტოქის სამწამიანში, პირსმა კი გარნეტის პასის შემდეგ სამქულიანი ჩააგდო - 50:39. ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და ბრაიანტმა სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი. „ლეიკერსის" ლიდერმა თავისი გუნდის ზედიზედ 19 ქულა დააგროვა! პირველ რიგში მჯდომი **დუეინ უეიდი** კმაყოფილი აქნევდა თავს. თუმცა „კელტების" შემადგენლობაში იყო ერთი კალათბურთელი - პოლ პირსი, რომელიც ადეკვატურად პასუხობდა „ლეიკერსის" სუპერვარსკვლავის არგუმენტებს. თავისი პირველი 13 ტყორცნიდან „სელტიქსის" ცოცხალმა სიმბოლომ 10 მოათავსა კალათში და ამაზე შეჩერებას არ აპირებდა.

საერთოდ, სიზუსტესთან დაკავშირებით „ბოსტონს" უკეთ ჰქონდა საქმე. პირველ სამ მეოთხედში ეს გუნდი ორქულიანებს 64,7 პროცენტის სიზუსტით ისროდა. შედარებისთვის: „ლეიკერსის" ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 39.3 პროცენტს უდრიდა. რომ არა ფენომენალური ბრაიანტი, სტუმრები მატჩის ბოლომდე ვერ გაძლებდნენ. ასე კი, დასკვნით მეოთხედში „ლეიკერსს" შეხვედრის გადარჩენის შანსი მიეცა - ბოლო წუთისთვის მასპინძლების უპირატესობა მხოლოდ ხუთ ქულას უდრიდა. ჩამორჩენა უფრო ნაკლებიც იქნებოდა, არტესტს ორიდან ერთი სამქულიანი მაინც რომ გამოეყენებინა და სამჯერ ზედიზედ საჯარიმო არ აეცილებინა. თუმცა ტყორცნებისას **კენდრიკ პერკინსი** და გარნეტიც ცდებოდნენ და როგორც ვთქვით, ამან საბოლოოდ ინტრიგა აღადგინა - 87:82.

ბოლო სამ შეტევაში ბრაიანტი გუნდის გადარჩენას მისთვისაც კი უიმედო შორეული ტყორცნებით ცდილობდა, მაგრამ ამან კალიფორნიელებს რეალური სარგებლობა არ მოუტანა. სანამ კობი ბრაზობდა და მსაჯებს ეკამათებოდა, მაყურებელი ფეხზე ამდგარი ესალმებოდა თავისი კერპების წარმატებას. „ბოსტონმა" სერიაში ანგარიში წაიყვანა - 3:2 და ახლა მას ერთი ნაბიჯი რჩება ტიტულის მოსაპოვებლად.

**ბოსტონი-ლეიკერსი 92:86**

22:20, 23:19, 28:26, 19:21

**ბ:** პირსი (27), გარნეტი (18+10 მოხსნა+5 ჩაჭრა+3 პასი+2 დაფარება), რონდო (18+8 პასი+5 მოხსნა), ალენი (12), უოლასი (5), პერკინსი (4+7 მოხსნა), ტ. ალენი (4), რობინსონი (4+4 პასი), დევისი.

**ლ:** ბრაიანტი (38+5 მოხსნა+4 პასი), გასოლი (12+12 მოხსნა), ფიშერი (9), ოდომი (8+8 მოხსნა), არტესტი (7), ბინუმი (6), ვუიაჩიჩი (5), ფარმარი (1), უოლტონი, ბრაუნი.

**სერია: 3:2**




# კარმელო დენვერში დარჩება?

ბოლო ორი დღეა საკალათბურთო პრესაში მეტად აქტუალურია „ნიუ ორლეან ჰორნეტსის" ყოფილი მთავარი მწვრთნელის **ბაირონ სკოტის** პიროვნება. პირველი ინფორმაციის თანახმად, „კლივლენდ კავალიერზის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა სკოტთან მოლაპარაკების ფაქტი, თუმცა მწვრთნელი პარალელურად „ლოს ანჯელეს კლიპერსის" ვარიანტს განიხილავს.

სკოტი კალიფორნიელებთან მიმართებაში მოცდას ამჯობინებს. ამ კლუბს საკმარისი ფინანსები აქვს ძლიერი თავისუფალი აგენტების გასაფორმებლად და მწვრთნელი დააკვირდება, როგორ იმოქმედებს გუნდი სატრანსფერო ბაზარზე. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბაირონ სკოტი ლოს ანჯელესში ცხოვრობს.



■ ■ ■

„დენვერ ნაგეტსის" ლიდერმა **კარმელო ენტონიმ** განაცხადა, რომ თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელების შესაძლებლობას განიხილავს, მაგრამ ამავდროულად, კალათბურთელი კარიერის გაგრძელების სხვა ვარიანტებსაც არ დატოვებს უყურადღებოდ.

*„ეს მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია. ახლა ნებისმიერი წინადადების განსახილველად ვარ მზად. ბევრ კლუბში მეპატიჟებიან, მაგრამ სპორტში ბიზნესის გამო არ ვარ. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას ვაპირებ"*, - ამბობს ენტონი.

კარმელო მომავალი სეზონის შემდეგ გახდება თავისუფალი აგენტი. ფორვარდმა ისიც დაამატა, რომ მის გადაწყვეტილებაზე დიდ როლს ითამაშებს ახალ რეგულარულ ჩემპიონატში „დენვერის" გამოსვლა და კიბოთი დაავადებული მთავარი მწვრთნელის - **ჯორჯ კარლის** ასისტენტის მუშაობის დონე.

შეგახსენებთ, რომ ენტონი „დენვერში" 2003 წლიდან თამაშობს.

■ ■ ■

არ არის გამორიცხული, „ბოსტონ სელტიქსმა" მომავალი სეზონისთვის 23 წლის თურქი ცენტრი **სემიჰ ერდენი** დაიმატოს. „კელტებმა" ეს კალათბურთელი 2008 წლის დრაფტში მე-60 ნომრად აირჩიეს და ახლა მზად არიან მას კონტრაქტი შესთავაზონ.

ერდენი 2005 წლიდან თამაშობს „ფენერბაჰჩეში" და წელს მისი სტატისტიკა ასე გამოიყურებოდა - 8.2 ქულა და 5.1 მოხსნა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# უცხოური სპორტი

ჩოგბურთი — ტურნირები



# ლეიტონმა როჯერის კომპლექსი მოიხსნა

გასული კვირის მთავარი მოვლენა ჰალეს ტურნირზე ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტის** გამარჯვება იყო. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **როჯერ ფედერერთან** 15-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა.

პარალელურად მიმდინარე ლონდონის ტურნირში გაცილებით წარმომადგენლობითი შემადგენლობა ვიხილეთ, თუმცა ჰალეს ფინალში უიმბლდონის ბოლო სამი გამარჯვებულიდან ორი შეხვდა ერთმანეთს - როჯერ ფედერერი და ლეიტონ ჰიუიტი. მათი პირადი შეხვედრების ანგარიში 17:7 იყო შვეიცარიელის სასარგებლოდ. იმის გათვალისწინებით, რომ როჯერმა ტრადიციულ მეტოქეს ზედიზედ 15 მატჩი მოუგო, ეს ციფრები კიდევ უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

მატჩის დასაწყისში ისე ჩანდა, რომ შვეიცარიელს სერიოზული პრობლემა არ უნდა შეჰქმნოდა. ის უფრო აქტიურად და საინტერესოდ თამაშობდა და პირველ გეიმში ორმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა - თუმცა შანსი ვერ გამოიყენა, მეხუთე გეიმში კი ასეთივე შანსი გაუშვა ხელიდან ლეიტონმა. სწორედ ამის შემდეგ აილო პირველი ბრეიკი ფედერერმა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ დარჩენილ დროში როჯერი იოლად იღებდა საკუთარ მოწოდებებს, მაგრამ თითქმის თანაბარ თამაშში შვეიცარიელმა სეტი 6:3 მოიგო.

მეორე პარტიაში ფედერერმა შეცდომებს უმატა, ჰიუიტმა კი პირიქით, უფრო დამაჯერებლად დაიწყო თამაში - გრძელი დარტყმებით ის შვეიცარიელს შეტევის საშუალებას არ აძლევდა. ავსტრალიელმა მოიგო ბრეიკი. თუმცა იქვე თავისი მოწოდება დათმო - ძირითადად საკუთარი შეცდომების გამო. ამის შემდეგ ორივეს ჰქონდა მეტოქის გეიმის მოგების შანსი, გადამწყვეტი მომენტი კი 4:4-ზე ფედერერის სამმაგი ბრეიკ-პოინტი გახდა. მაგრამ აქ ჰიუიტს მოწოდება დაეხმარა მატჩის გადარჩენაში და ამის შემდეგ სეტში ბრეიკ-პოინტები აღარ ყოფილა. ტაი-ბრეიკი კი შვეიცარიელმა ჩააგდო - მისმა შეცდომებმა ჰიუიტს ხუთმაგი სეტ-პოინტი მოუტანა. როჯერმა სამი სეტ-პოინტი მოიგერია, მაგრამ მეოთხეზე ბადეს გაარტყა ბურთი.

მესამე სეტი ერთგვარად ამ ტაი-ბრეიკის გაგრძელება გახდა. როჯერმა ვერ დაალაგა თამაში, შეცდომები გააგრძელა და თავიდანვე წააგო საკუთარი მოწოდება. შემდეგშიც ფედერერის გეიმებზე დიდი ბრძოლა მიდიოდა, ლეიტონი კი თავის მოწოდებებს დამაჯერებლად იგებდა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ავსტრალიელი მატჩზე ჩასანოდებლად გაემზადებოდა. ჰიუიტი 30:0 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ როჯერს სამი ბურთი ჩააგდებინა. ლეიტონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბრეიკ-პოინტზე ხელი არ აუკანკალდა, მატჩბოლზე კი გაუმართლა - ბურთი ბადეს მოხვდა და ფედერერის მხარეს გადავარდა.

ავსტრალიელმა 28-ე ტიტული მოიგო კარიერაში და პირველი - ამ სეზონში. ფედერერმა კი მეორე ფინალი წააგო მადრიდის მასტერსის შემდეგ. *„დღეს ოდნავ გამიმართლა, ვიდრე ჩემს მეტოქეს, - აღნიშნა გამარჯვების შემდეგ ჰიუიტმა. - ფინალში როჯერის დამარცხება ძალიან რთულია, ამიტომაც ამ გამარჯვებას ორმაგი ფასი აქვს“.*

■ ■ ■

ლონდონში დასრულდა უიმბლდონის კიდევ ერთი რეპეტიცია - „ქუინზ ქლაბის“ ტურნირი. ნახევარფინალში რეიტინგის საუკეთესო ათეულის ვერც ერთი წევრი ვერ ვიხილეთ - შეგახსენებთ, რომ ტურნირს ერთმანეთის მიყოლებით გამოეთიშნენ **ენდი როდიკი, ენდი მიურეი, ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **რაფაელ ნადალი.**

საბოლოოდ, უამრავი სენსაციის ფონზე გამარჯვება ამერიკელმა **სემ კუერიმ** მოიპოვა, რომელმაც ფინალში თანამემამულე **მარდი ფიში** დაამარცხა. ბოლოს ლონდონში ამერიკული ფინალი 1994 წელს ჩატარდა, როცა ლეგენდარულმა **პიტ სამპრასმა ტოდ მარტინთან** წააგო.

რაც შეეხება წლევანდელ ფინალს, ფიშს შეეძლო მატჩის თავის სასარგებლოდ დასრულება. ორივე სეტში ის ბრეიკით დაწინაურდა და ორივეჯერ დათმო ინიციატივა: პირველ შემთხვევაში ტაი-ბრეიკზე წააგო პარტია, მეორეში კი 5:4-ზე მატჩზე აწვდიდა, მაგრამ ზედიზედ სამი გეიმი და მასთან ერთად მატჩი დათმო.

კუერიმ კარიერაში მეექვსე, ამ სეზონში კი მესამე ტიტული მოიგო.

■ ■ ■

ქალებს ბირმინგემის ტურნირში უნევდათ გამოსვლა, ბირმინგემი ჭირვეული ამინდით არის ცნობილი. 1998 წელს ტურნირი საერთოდ გააუქმეს უამინდობის გამო, წელს კი წვიმებმა დროებით ცენტრალური კორტი გამოიყვანა მწყობრიდან.

ტურნირის აღმოჩენა გახდა ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან გასული **ელისონ რისკე**. 19 წლის ამერიკელს ამ ტურნირამდე WTA-ის ტურში არც ერთი მატჩი არ ჰქონდა მოგებული, აქ კი ერთბაშად ნახევარფინალში გავიდა, თანაც გზად გამოცდილი მეტოქეები - **ანა ჩაკვეტაძე, ალექსანდრა ვოზნიაკი** და **იანინა ვიკმაიერი** დაამარცხა. ასეთი შედეგის გამო უიმბლდონის ორგანიზატორებმა ამერიკელს უაილდ-ქარდი გამოუყვეს.

რისკეს შეჩერება ტურნირის მეორე ნომერმა **მარია შარაპოვამ** შეძლო. რუსი რეგულარულად თამაშობს ბირმინგემში და აქ 2004-05 წლებში ორი ტიტული აქვს მოგებული. რისკესა და მარიას შეხვედრაში სამი სეტის ჩატარება გახდა საჭირო. ამერიკელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სახელოვან მეტოქეს ერთი სეტი მოუგო, თუმცა ორ პარტიაში განადგურდა და საბოლოოდ ასეთი ანგარიშით დამარცხდა - 2:6, 6:4, 1:6.

წელს, პირველად WTA-ის ტურნირებზე ფინალში პირველმა ორმა განთესილმა ჩოგბურთელმა გაალწია. ჩინელი **ნა ლისთვის** ეს იყო ამ სეზონში პირველი ფინალი. სხვათა შორის, ბოლოს გადამწყვეტ მატჩამდე მან სწორედ ბირმინგემში მიაღწია, როცა ნახევარფინალში შარაპოვას მოუგო.

ასე რომ, მარია რევანშისთვის იყო განწყობილი და შეხვედრა ბრწყინვალედ დაიწყო. რუსმა პირველივე გეიმში სამი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და ბრეიკით დაწინაურდა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ დარჩენილ დროში შარაპოვას არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ ექნებოდა. მარიამ გარკვეული ხანი შეინარჩუნა ბრეიკით მოპოვებული უპირატესობა, თუმცა ჩინელს ბრეიკ-პოინტი მრავლად ჰქონდა და მეხუთე ცდიდან გაათანაბრა ანგარიში. შარაპოვას მოწოდება არ წაუვიდა - მხოლოდ ერთი ეისი ჩააწოდა და შვიდი ორმაგი შეცდომა დაუშვა. სეტის ბოლოს რუსმა სამჯერ ააცილა მარცხნიდან დარტყმა და პარტია დათმო - 5:7.

მეორე სეტში ბრძოლა არ ყოფილა. ლიმ მინიმუმამდე დაიყვანა შეცდომები, შარაპოვას კი მიღებაზე თამაში საერთოდ აღარ გამოსდიოდა. მთელი პარტიის განმავლობაში მან ჩინელის გეიმებზე მხოლოდ ერთი (!) გათამაშება მოიგო - 6:1. ნა ლიმ მესამე ტიტული მოიგო კარიერაში და დღეიდან რეიტინგის ათეულში შევიდა.

კვირასვე დაიწყო ტურნირები ჰერტოგენბოშსა და ისტბურნში. ჰოლანდიაში ჩავიდნენ **ჟუსტინ ანენი** და **დინარა საფინა** (ამ უკანასკნელმა უკვე მოასწრო პირველი წრის წაგება), ისტბურნში კი უფრო ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა - როლან გაროსის ჩემპიონი **ფრანჩესკა სკიავონე, კაროლინ ვოზნიაცკი, სამანტა სტოსური, სვეტლანა კუზნეცოვა** და ტრავმამოშუშებული **კიმ კლაისტერსი.**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ფინეთი** | |
| ინტერი-ვაასა | 1:0 |
| ტამპერე-ტურკუ | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კო ტე პე-ოპს | 2:0 |
| **ისლანდია** | |
| ბრეიდაბლიკი-გრინდავიკი | 2:3 |
| ფრამი-სტიარნანი | 2:1 |
| კეფლავიკი-ჰაუკარი | 1:1 |
| ვალური-სელფოსი | 2:1 |
| ჰაფნარი-რეიკიავიკი | 3:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ისტბურნი** | |
| ისტომინი-შვანკი | 6:0, 6:3 |
| ლ. მაიერი-რობერი | 6:7, 4:6 |
| სიმონი-კოროლიოვი | 6:3, 6:7, 6:4 |
| ლოდრა-ემრიხი | 6:0, 6:3 |
| ნიშიკორი-კუზნეცოვი | 4:6, 1:6 |
| ლაჩკო-სებალიოსი | 4:6, 6:4, 5:7 |
| ბლეიკი-ბენეტო | 6:7, 5:7 |
| სელა-ანდერსონი | 5:7, 6:3 |
| ჯ. ლაპენტი-ფონინი | 6:7, 7:6, 3:6 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| კლემანი-სტადლერი | 6:1, 3:6, 6:1 |
| ბრაუნი-კონტინენი | 5:7, 6:2, 6:7 |
| ბრანდსი-ჟუნაიდი | 6:1, 6:3 |
| დე ბაკერი-სისლინგი | 6:4, 2:6, 6:7 |
| მალისე-პეტცშნერი | გადაიდო |
| **WTA. ისტბურნი** | |
| ჰანტუხოვა-კეოტავონგი | 6:4, 6:2 |
| სტოსური-ოუდინი | 6:4, 6:4 |
| ზვონარევა-მარტ. სანჩესი | 3:6, 6:3, 5:7 |
| ბარტოლი-დუშევინა | 6:4, 7:5 |
| პავლიუჩენკოვა-საფაროვა | 4:6, 6:3, 4:6 |
| შავაი-გოვორცოვა | 3:6, 6:2, 7:6 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| ვინჩი-ბ. ზახვალოვა | 6:4, 7:6 |
| ერანი-ბამერი | 1:6, 3:6 |
| კირილენკო-ოლარუ | 6:4, 6:1 |
| ვესნინა-ს. ზახვალოვა | 5:7, 2:6 |
| ტანასუგარნი-როდიონოვა | 6:1, 6:7, 3:6 |
| დულგერუ-კუანი | 4:6, 7:6, 7:6 |
| ივანოვიჩი-არვიდსონი | 4:6, 6:0, 6:1 |
| კუდრიავცევა-ბრიანტი | 3:6, 6:4, 6:4 |
| მედინა გარიგესი-რუსი | 6:4, 2:6, 3:6 |
| კინგი-ფლიპკენსი | 1:6, 2:6 |
| ანენი-კერბერი | 6:4, 6:2 |

## TV პროგრამა

### 15 ივნისი. სამშაბათი

#### I არხი

**15:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**15:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. F ჯგუფი. ახალი ზელანდია-სლოვაკეთი (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**17:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. G ჯგუფი. კოტ დ'ივუარი-პორტუგალია (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. G ჯგუფი. ბრაზილია-ჩრ. კორეა (LIVE).
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

#### მზე

**13:00** იმედის ფსონი.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**07:00** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰამბურგი.
**08:50** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბორდო-ბაიერნი.
**12:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**12:45** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
**14:35** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**15:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რეალი-მილანი.
**17:15** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სევილია.
**19:00** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნ.
**20:50** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პალერმო.
**22:40** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ოსერი.
**00:30** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**01:45** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ჩელსი-ატლეტიკო.
**03:35** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი.
**05:20** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-მილანი.

#### EUROSPORT

**10:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**11:00** ველოსპორტი. რბოლა „კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". VII ეტაპი. საფრანგეთი.
**11:50** მულტისპორტი.
**12:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**12:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**13:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**13:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**14:25** ახალი ამბები.
**14:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**17:30** ახალი ამბები.
**17:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**17:45** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**20:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**22:15** ახალი ამბები.
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**22:30** პროფესიული კრივი. WBA-ის ვერსია. საჩემპიონო ბრძოლა. ნახევრადმძიმე წონა. ი. გამბოა (კუბა)-ჯ. ბაროისი (არგენტინა). გერმანია
**00:30** ახალი ამბები.
**00:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:10** ახალი ამბები.
**01:15** ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი.
**02:15** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**02:45** რალი. მსოფლიოს ტური რალი-რეიდში. VIII ეტაპი.
**03:15** ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.

## ჩოგბურთი — რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 8 745 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 8 525 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 6 545 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 5 155 |
| 5(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 4 785 |
| 6(6). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 4 755 |
| 7(7). ენდი როდიკი (აშშ) | 4 510 |
| 8(8). ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) | 4 395 |
| 9(9). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 3 645 |
| 10(10). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 185 |
| 11(11). დავიდ ფერერი (ესპ) | 3 010 |
| 12(12). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 945 |
| 13(13). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 2 825 |
| 14(14). მიხაილ იუჟნი (რუს) | 2 665 |
| 15(15). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2 215 |
| 16(16). იურგენ მელცერი (ავსტრია) | 2 125 |
| 17(17). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 2 095 |
| 18(18). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1 960 |
| 19(19). ჯონ ისნერი (აშშ) | 1 925 |
| 20(20). გაელ მონფილსი (საფ) | 1 905 |
| **ფულადი მოგება** | |
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 4 024 378 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 2 701 897 |
| 3. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 1 686 908 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტ) | 1 325 947 |
| 5. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 1 302 041 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 1 300 714 |
| 7. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 137 487 |
| 8. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 128 913 |
| 9. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 968 891 |
| 10. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 898 061 |
| 11. მარინ ჩილიჩი (ხორ) | 877 852 |
| 12. მიხაილ იუჟნი (რუს) | 864 689 |
| 13. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 833 683 |
| 14. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 816 683 |
| 15. სემ კუერი (აშშ) | 814 698 |
| 16. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 774 138 |
| 17. ჯონ ისნერი (აშშ) | 682 262 |
| 18. ნენად ზიმონჟიჩი (სერ) | 662 362 |
| 19. დანიელ ნესტორი (კან) | 645 407 |
| 20. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 518 256 |
| 20. ბობ ბრაიანი (აშშ) | 518 256 |

| WTA-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 8 475 |
| 2(2). ვენუს უილიამსი (აშშ) | 6 506 |
| 3(3). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 5 970 |
| 4(4). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 5 780 |
| 5(5). ელენა დემენტიევა (რუს) | 5 570 |
| 6(6). ფრანჩესკა სიკავონე (იტა) | 4 990 |
| 7(7). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 4 905 |
| 8(8). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 4 010 |
| 9(9). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 3 890 |
| 10(11). ნა ლი (ჩინ) | 3 475 |
| 11(10). ფლავია პენეტა (იტა) | 3 450 |
| 12(12). მარიონ ბარტოლი (საფ) | 3 246 |
| 13(13). ნადია პეტროვა (რუს) | 3 195 |
| 14(14). შაარ პეერი (ისრ) | 3 175 |
| 15(15). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 3 170 |
| 16(16). იანინა ვიკმაიერი (ბელ) | 3 110 |
| 17(17). მარია შარაპოვა (რუს) | 3 080 |
| 18(18). ჟუსტინ ანენი (ბელ) | 2 855 |
| 19(21). არავან რეზაი (საფ) | 2 825 |
| 20(19). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2 821 |
| **ფულადი მოგება** | |
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 2 644 049 |
| 2. ვენუს უილიამსი (აშშ) | 1 999 788 |
| 3. ფრანჩესკა სიკავონე (იტა) | 1 807 361 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 474 451 |
| 5. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 1 441 567 |
| 6. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 1 265 089 |
| 7. არავან რეზაი (საფ) | 1 072 110 |
| 8. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 846 602 |
| 9. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 807 636 |
| 10. ელენა დემენტიევა (რუს) | 758 358 |
| 11. ნადია პეტროვა (რუს) | 742 015 |
| 12. მ-ხ. მარტინეს სანჩესი (ესპ) | 712 651 |
| 13. ფლავია პენეტა (იტა) | 649 038 |
| 14. შაარ პეერი (ისრ) | 634 043 |
| 15. ჟიე ჟენგი (ჩინ) | 627 858 |
| 16. ნა ლი (ჩინ) | 624 436 |
| 17. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 545 612 |
| 18. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 506 062 |
| 19. მარია კირილენკო (რუს) | 484 035 |
| 20. ხისელა დულკო (არგ) | 474 834 |

# ყველაზე ძვირფასი ესპანეთი

**მსოფლიოსმიმდინარე ჩემპიონატს პროგნოზები არ აკლია - ამ ვარაუდებს მეტ-ნაკლებად იცნობს საფეხურთო საზოგადოება. პარალელურად, საკუთარი რეიტინგი გამოიყვანეს „ფინანსისტებმა“. ეს ძალიან მარტივად მოხდა - მათ, უბრალოდ, მხედველობაში მიიღეს მოთამაშეთა სატრანსფერო ღირებულება. და უნდა ითქვას, რომ როგორც სათამაშო, ასევე ფულადი რეიტინგის მიხედვით აშკარა ფავორიტი მივიღეთ - ესპანეთის ნაკრები.**

მსოფლიოს ჩემპიონატების წინ ყველა ხშირად მომავალი გამარჯვებულის შესახებ ბჭობს. ასეთ შემთხვევაში ყველაზე მეტად სპეციალისტების აზრს ენდობიან, ისინიც ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ კონკრეტულს - იშვიათად. მაგალითად, ლეგენდარული **პელე** ოთხ წელიწადში ერთხელ გვიზიარებს საკუთარ აზრებსა და პროგნოზებს მომავალი გამარჯვებულის შესახებ, მაგრამ ბოლოს ხვდები, რომ პელესაც არ შეუძლია ჩემპიონის გამოცნობა. ბრაზილიელი, როგორც წესი, იმაზე ლაპარაკობს თუ რა ბევრი კარგი გუნდი ჩავა ჩემპიონატზე და რომ ნებისმიერს შეუძლია იქ გამარჯვების მოპოვება. ასე რომ, სპეციალისტთა აზრიც კი ამ საქმეში არ არის საიმედო ორიენტირი.

არ შველის არც მეცნიერული მიდგომა. 2006 წელს Goldman Sachs-ის, ABN-AMRO-ს, UBS-ისა და Institut der Deutschen Wirtschaft-ის სპეციალისტებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეადგინეს მათემატიკური მოდელი, რომელშიც გათვალისწინებული იყო ფიფა-ს რეიტინგი, მოთამაშეთა მიღწევები, ისტორიული სტატისტიკა, სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდის ტემპი და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი. საბოლოოდ, ყველა მკვლევარმა დაადგინა, რომ ჩემპიონი ბრაზილია გახდებოდა. ვერავინ გამოიცნო. ტიტული იტალიის ნაკრებს ერგო, რომელმაც ფინალში საფრანგეთი დაამარცხა. მართალია, ეს გუნდები ფავორიტები იყვნენ, მაგრამ არც ერთ მათემატიკურ მოდელში მათი ფინალში შეხვედრა არ იყო გათვალისწინებული.

მაგრამ არიან კიდევ ბუკმეკერები, რომლებიც თავიანთი სამუშაოდან გამომდინარე, მეტად მონდომებით უდგებიან პროგნოზებს, რადგან მათ სიზუსტეზეა დამოკიდებული ტოტალიზატორის შემოსავალი. ცხადია, ისინი, ყველაფერს ვერ გამოიცნობენ, მაგრამ მეტ-ნაკლებად ზუსტ სურათს ხატავენ.

წელს ბუკმეკერები მთავარ ფავორიტად ერთხმად ასახელებენ ესპანეთის ნაკრებს. და ამაში გასაოცარი არაფერი, თუ გავიხსენებთ, რომ ეს გუნდი ევროპის მოქმედი ჩემპიონია და ბოლო ორი წელია თამაშის დონე არ დაუგდია, პირიქით, უფრო გაძლიერდა. ესპანეთმა შესარჩევი ტურნირი ბრწყინვალედ განვლო და ასპროცენტიან შედეგს მიაღწია.



მაგრამ საინტერესო შემდეგში მდგომარეობს: ესპანეთი პირველ ადგილზე დგას არამარტო ბუკმეიკერთა ჩამონათვალში, არამედ ყველაზე მდიდარი გუნდების სიაში. ეს მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რადგან თანამედროვე ფეხბურთში მოთამაშის ნიჭი სწორედ ფულით იზომება: ცუდი ფეხბურთელისთვის თავმოყვარე გუნდი დიდ თანხას არ გადაიხდის. ევროპის ჩემპიონთა რიგებში კი თითქმის ყველა ფეხბურთელი ვარსკვლავია. სამივე მეკარეც კი აქ ძალიან ძვირად ფასობს - **ვიქტორ ვალდესის** 18 მილიონ ევროთი დაწყებული და **იკერ კასილიასის** 32 მილიონით დამთავრებული. ძვირი მეკარეები არიან სხვა გუნდებშიც, მაგრამ არც ერთს არ ჰყავს მესამე მეკარე, რომელიც თითქმის ორ ათეულ მილიონ ევროდ ფასობს. წინა ხაზზე კიდევ უფრო დიდი ფუფუნებაა. ნახევარმცველთა სამეული - **ანდრეს ინიესტა, ჩავი** და **სესკ ფაბრეგასი** - ჯამში 180 მილიონ ევროდ არის შეფასებული. დაუმატეთ ამათ ფორვარდების წყვილი - 45-მილიონიანი **დავიდ ვილია** და 50-მილიონიანი **ფერნანდო ტორესი**, თანაც გაითვალისწინეთ, რომ ესპანეთის ნაკრებში მხოლოდ ერთი ფეხბურთელია, რომელიც 10 მილიონზე ნაკლები ღირს. ამიტომაც ნუ გიკვირთ, რომ მთელი გუნდი ფანტასტიკურ თანხად - 650 მილიონ ევროდ ფასდება.

თითქოს, სათამაშო და ფულად რეიტინგში ლიდერობას ესპანეთისთვის უდავო ფავორიტობა უნდა მოეტანა. ასეთ შემთხვევაში პირენეელთა კოეფიციენტი 2.5 იქნებოდა და არა ამჟამინდელი - 5.0. მაგრამ ასე არ მოხდა. უფრო მეტიც, თითქმის ასეთი კოეფიციენტი (5.5) აქვს ბრაზილიის ნაკრებს.

ამასთან, ბრაზილია, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მეორე ადგილზეც არ არის ფინანსურ რეიტინგში. ამ კლასიფიკაციაში ისინი მხოლოდ მეოთხე ადგილს იკავებენ და თითქმის ორჯერ ჩამორჩებიან ესპანეთს. თუმცა ღირებულებაში შესამჩნევად მცირე სხვაობა იქნებოდა, მთავარ მწვრთნელ **დუნგას** ტურნირზე **რონალდინიო** და **ალეშანდრე პატო** რომ წაეყვანა, რომელთა ღირებულება ერთად 65 მილიონ ევროს შეადგენს (მათი შემადგენლობაში მოხვედრის შემთხვევაში, ბრაზილია ამ რეიტინგში მეორე იქნებოდა).

მეორე ადგილზე კი ინგლისის ნაკრებია, რომლის ფასმა ოთხი წლის განმავლობაში 471 მილიონ ევრომდე აიწია. **ფაბიო კაპელოს** გუნდში მართლაც შესანიშნავი ფეხბურთელები არიან შეკრებილნი. ეს ბუკმეიკერებმაც შენიშნეს და ინგლისი მეოთხე ადგილზე დააყენეს კოეფიციენტით - 8.0.

ყველაზე ძვირი გუნდების სიაში მესამე ადგილი უკავია საფრანგეთს, რომლის შესაძლებლობებს ბუკმეკერები სერიოზულად არ აღიქვამენ: **რაიმონ დომენეკის** გუნდის კოეფიციენტი - 20.0-ის ტოლია. მაგრამ ამ შეუსაბამობას იოლი ახსნა აქვს. ფულადი რეიტინგის საუკეთესო ხუთეულში საფრანგეთი **ფრანკ რიბერის** პოპულარობის ხარჯზე მოხვდა - „მამლების“ ლიდერის ფასი 50 მილიონ ევროს უტოლდება. ამას ემატება **ნიკოლა ანელკას** 30 მილიონი, რაც 31 წლის ფორვარდისთვის აშკარად ბევრია, მაგრამ „ჩელსის“ სწორედ ამ ფასად უღირს ეს თავდამსხმელი.

მილიონერთა რეიტინგის ხუთეულში შედის არგენტინის ნაკრები, რომელიც ასეთ მაღალ ადგილზე შეიძლება ვერც ასულიყო. **დიეგო მარადონას** გუნდში არიან მოთამაშეები, რომელთა ფასი მილიონ ევროზე ოდნავ მეტია, რამდენიმე ფეხბურთელი 7.5 მილიონზე მეტი არ ღირს, რაც დღევანდელი საზომით არც ისე მაღალია. სამაგიეროდ, არგენტინას ჰყავს **ლეო მესი**. მისი ფასი მაგალითად, მთელ პარაგვაის ნაკრებს უდრის, ან ერთად აღებულ ჰონდურასისა და სლოვენიის ნაკრებებს, ან კიდევ ტრიოს - სამხრეთ აფრიკას, ახალ ზელანდიასა და ჩრდილოეთ კორეას - ეს კი, სხვათა შორის, 69 ფეხბურთელია. სწორედ მესის ფაქტორია მთავარი იმაში, რომ არგენტინელებს 7.5 კოეფიცენტით ბუკმეიკერები მესამე ადგილზე აყენებენ.

ზემოთ ნათქვამიდან გამოდის, რომ ბუკმეკერთა ვერსიით ლიდერთა ხუთეული და ფინანსური რეიტინგის მაჩვენებლები თითქმის დაემთხვა ერთმანეთს (გამონაკლისი მხოლოდ საფრანგეთია, რომლის ადგილიც ბუკმეკერთა აზრით, ჰოლანდიას უნდა დაეკავებინა). ასე რომ, მომავალი ჩემპიონი ამ ჯგუფში უნდა ვეძებოთ. ასე იყო წინა ჩემპიონატზეც. მაშინდელ ფინალისტებს - იტალიასა და საფრანგეთს ფულად რეიტინგში შესაბამისად - მეორე და მეხუთე ადგილები ეკავათ. თუ დღევანდელი რეიტინგის მონაცემებს გავითვალისწინებთ, ფინალში ინგლისმა და არგენტინამ უნდა ითამაშონ.

მაგრამ ისტორიაში საკმარისია შემთხვევები, როცა ბუკმეკერები და მათემატიკოსები ცდილობდნენ გამარჯვებულის პროგნოზირებას, მაგრამ იმედგაცრუებულნი რჩებოდნენ. მოგებაში კი ისინი იყვნენ, რომლებიც უცნაურ ფსონს აკეთებდნენ და მთელ თანხას იმ გუნდზე ჩადიოდნენ, ვისი მოგებაც წინასწარი გათვლებით გამორიცხული იყო. ამის ნათელი მაგალითია საბერძნეთის ნაკრები ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე. სტარტის წინ ბერძნების კოეფიციენტი 150-ს უტოლდებოდა.

წელს ვის შეუძლია „გაისროლოს“? მაგალითად, პორტუგალიას, რომელსაც განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. ამ გუნდს ნებისმიერი სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია. გუნდმა ბეკმეიკერთა სიასა და ფინანსურ რეიტინგში პრაქტიკულად ერთნაირი პოზიცია დაიკავა - შესაბამისად, მეცხრე და მერვე პოზიციები. მისი საერთო თანხის (285 მილიონი) ლომის წილი **კრისტიანო რონალდოზე** მოდის, რომლის ამჟამინდელი ფასი 80 მილიონ ევროს უდრის.

### ფინანსური რეიტინგი

1. ესპანეთი - 650 მლნ; 2. ინგლისი - 471,5; 3. საფრანგეთი - 367,5; 4. ბრაზილია - 353,1; 5. არგენტინა - 349,3; 6. იტალია - 319,5; 7. გერმანია - 292,5; 8. პორტუგალია - 285,4; 9. ჰოლანდია - 255,55; 10. კოტ დ'ივუარი - 198,975; 11. სერბეთი - 188,45; 12. კამერუნი - 150,2; 13. ნიგერია - 132,6; 14. ურუგვაი - 130; 15. შვეიცარია - 104,25; 16. მექსიკა - 88,05; 17. სლოვაკეთი - 87,8; 18. საბერძნეთი - 87,3; 19. დანია - 84,75; 20. პარაგვაი - 80,45; 21. ჩილე - 79,85; 22. იაპონია - 73; 23. ავსტრალია - 71,175; 24. განა - 58,45; 25. აშშ - 57,65; 26. ალჟირი - 51,7; 27. ს. კორეა - 48,8; 28. ჰონდურასი - 48,65; 29. სლოვენია - 47,35; 30. ს. აფრიკა - 24,3; 31. ახ. ზელანდია - 13,475; 32. ჩრ. კორეა - 9,55.

### 1. ესპანეთი

კასილიასი - 32; ვალდესი - 18; რეინა - 20; რაულ ალბიოლი - 18; პიკე - 25; კარლოს მარჩენა - 8; პუიოლი - 28; კაპდევილია - 10; სერხიო რამოსი - 27; არბელოა - 12; ინიესტა - 60; ჩავი - 65; ფაბრეგასი - 55; ჩაბი ალონსო - 30; ბუსკეტსი - 20; მარტინესი - 15; დავიდ სილვა - 32; ხესუს ნავასი - 28; ვილია - 45; ფერნანდო ტორესი - 50; მატა - 23; პედრო - 14; ფერნანდო ლორენტე - 15; სულ - 650.

### 2. ინგლისი

ჰარტი - 7; გრინი - 8; ჯეიმსი - 3; კარაგერი - 17; კინგი - 9; უორნოკი - 8,5; აპსონი - 9; ჯონსონი - 17; ე. კოული - 27; ფერდინანდი - 31; ტერი - 35; რაიტ-ფილიპსი - 15; ბერი - 18; მილნერი - 17; ლენონი - 21; კერიკი - 26; ჯერარდი - 50; ლემპარდი - 45; ჯ. კოული - 21; კრაუჩი - 12; ჰესკი - 5; დეფო - 17; რუნი - 53; სულ - 471.5.

### 3. საფრანგეთი

ლორისი - 14; მანდანდა - 12; კარასო - 8,5; სანია - 14,5; აბიდალი - 20; რევეიერი - 6,5; გალასი - 16; პლანუსი - 7; ევრა - 27; სკილაჩი - 8; კლიში - 15; რიბერი - 50; გურკუფი - 24; ტულალანი - 22; მალუდა - 18,5; დიარა - 14; დიაბი - 7; ვალბუენა - 4,5; სისე - 12; გოვუ - 9,5; ჟინიაკი - 15; ანრი - 12; ანელკა - 30; სულ - 367.5.

### 4. ბრაზილია

ჟულიო სეზარი - 25; გომეში - 9; დონი - 4,5; მაიკონი - 30; ლუსიო - 16,5; ჟუანი - 16; დანი ალვეში - 30; ლუიზაო - 10,5; ტიაგო სილვა - 15,5; ფელიპე მელო - 17; მიშელ ბასტოსი - 16; ელანო - 11,58 ჟილბერტო სილვა - 7,5; კაკა - 50; ჟილბერტო - 1,6; ჟოზე - 8; რამირესი - 9; ჟულიო ბაპტიშტა - 7; კლებერსონი - 2,5; ლუიშ ფაბიანო - 28; რობინიო - 15; გრაფიტე - 9; ნილმარი - 14; სულ - 353.1.

### 5. არგენტინა

პოცო - 1,6; ანდუხარი - 4; რომერო - 6; ინსაურალდე - 2; როდრიგესი - 3,5; სამუელი - 15; დემიკელისი - 10; ბურდისო - 7; ჰაინცე - 6; ოტამენდი - 5; გარსე - 1,2; ბოლატი - 5; დი მარია - 9,5; ვერონი - 3,5; მასკერანო - 26; გუტიერესი - 8; მაქსი როდრიგესი - 18; პასტორე - 8,5; მილიტო - 28; იგუაინი - 32; მესი - 80; ტევესი - 30; აგუერო - 36; პალერმო - 3,5; სულ - 349,3.

### ოქროს შემადგენლობა

იკერ კასილიასი (32 მლნ, ესპანეთი)
მაიკონი (30 მლნ, ბრაზილია)
ჯონ ტერი (35 მლნ, ინგლისი)
კარლეს პუიოლი (28 მლნ, ესპანეთი)
ეშლი კოული (27 მლნ, ინგლისი)
ლეონელ მესი (80 მლნ, არგენტინა)
კაკა (50 მლნ, ბრაზილია)
სესკ ფაბრეგასი (55 მლნ, ესპანეთი)
კრისტიანო რონალდო (80 მლნ, პორტუგალია)
ფერნანდო ტორესი (50 მლნ, ესპანეთი)
უეინ რუნი (53 მლნ, ინგლისი)
**მთავარი მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო (12 მლნ, ინგლისი)

**გია თვალაბეიშვილი**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www. tqveniurologi.ge

